


წარსულის გაკვეთილები, ქმედება მომავლისთვის


**ინტერდისციპლინური მიდგომა ჰოლოკოსტის,
ადამიანის უფლებებისა და ინტერკულტურული
განათლების მიმართ**



The Olga Lengyel Institute for
Holocaust Studies and Human Rights

წარსულის გაკვეთილები, ქმედება მომავლისთვის

ინტერდისციპლინური მიდგომა
ჰოლოკოსტის, ადამიანის უფლებებისა და
ინტერკულტურული განათლების მიმართ



Learning from the Past, Acting for the Future

An Interdisciplinary Approach to Holocaust, Human Rights and Intercultural Education

ISBN: 978-606-8311-20-3

© The Olga Lengyel Institute and Intercultural Institute Timisoara, 2022

ავტორი: ოანა ნესტიან-სანდუ

წიგნზე მუშაობის პროცესში ჩართულნი იყვნენ:

ოანა ბაჟუკა, ტიმიშოარას ინტერკულტურული ინსტიტუტი / TOLI - ოლგა ლენგიელის ინსტიტუტი
კალინ რუსი, ტიმიშოარას ინტერკულტურული ინსტიტუტი
მანუელა ოპრეა, ტიმიშოარას ინტერკულტურული ინსტიტუტი
გადი ლუზატო ვოგერა, CDEC ფონდი
პატრიცია ბალდი, Big Picture
მიქაელ ფრანკე, განათლების სპეციალისტი
სონია კრანჩევა, მასწავლებელი
დრაგომირ დაჩევი, მასწავლებელი

ავტორი მადლობას უხდის ემერიტუს პროფესორ სონდრა პერლს, TOLI-ის აშშ პროგრამების დირექტორს, რომელმაც წამოიწყო ჰოლოკოსტის შესახებ განათლების პროგრამები 2006 წელს, აუშვიცს გადარჩენილი ოლგა ლენგიელის პატივისცემის ნიშნად. დოქტორ ჯენიფერ ლენგერთან ერთად, აშშ-ში მასწავლებლებთან მისი საქმიანობა აღმოჩნდა TOLI პროგრამების შთაგონების წყარო ევროპაში.

მხარდაჭერისთვის ავტორი ასევე მადლობას უხდის ევროპის სოლიდარობის კორპუსის მოხალისეებს: მარია ელენა კონსორტის, ჰუსეინ ალ-ლამისა და მეგნა სინგს.

მთარგმნელი: ბერიკა შუკაკიძე

რედაქტორები: მაია მენაბდე, ნათია ნაცვლიშვილი

ყდის დიზაინი: ტიმეა სერბი

ყდაზე გამოყენებულია იან ჰენდრიქსთან თანამშრომლობით შექმნილი, მეხიკოს Museo Memoria y Tolerancia-ში დაცული ქანდაკების დეტალის ფოტო. 20 000 ცრემლის კასკადი სიმბოლურად გამოხატავს 2 000 000 ბავშვს, რომელიც ემსხვერპლა საშინელ გენოციდებს. ფოტო გადაღებულია ოანა ნესტიან-სანდუს მიერ.

ქართული გამოცემა მომზადდა

„განათლებისა და კვლევების ცენტრის“ მიერ, 2024.

ISBN: 978-9941-8-6968-6

გამოყენება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებითა და წყაროს მითითებით.

სარჩევი

შესავალი	4
რატომ ინტერდისციპლინური მიდგომა?	5
ინტერდისციპლინური მიდგომა კომპეტენციების განვითარებისთვის	10
მეთოდოლოგიური მოსაზრებები.	14
საგანმანათლებლო აქტივობები.	18
სტერეოტიპები, ცრურწმენები, დისკრიმინაცია.	19
ადამიანის ღირსება	19
იდენტობა და სტერეოტიპები	22
ანტისემიტობა - მაშინ და ახლა	30
ანტიბოშური რასიზმი - მაშინ და ახლა	38
კანონები და უფლებები	45
ანტისემიტური კანონები ევროპის ქვეყნებში	45
ადამიანის უფლებები არ არის აბსტრაქტული	49
ფოკუსი: მოქალაქეობის უფლება	54
ფოკუსი: გამოხატვის თავისუფლების უფლება	56
კულტურა და თემები	58
კულტურული ცხოვრების უფლება/რწმენისა და რელიგიის თავისუფლება	58
ცხოვრება ჰოლოკოსტამდე და შემდგომ	62
მემკვიდრეობა და სიცარიელე	62
ებრაული კულტურის შესწავლა.	65
ბოშების კულტურის შესწავლა	70
მსხვერპლები, გადარჩენილები, მებრძოლები	76
ინდივიდუალური ისტორიები - ამოსავალი წერტილი ისტორიის გასაგებად.	76
ასია რაბერმანი	76
იუსტინიან ბადეა.	81
წინააღმდეგობა	84
დამცველები, დამკვირვებლები, თანამშრომლები	89
დამცველები	89
ინდივიდუალური გადანაცვლებები.	94
ლტოლვილები - ადრე და ახლა	98
მეხსიერების შესწავლა ადამიანის ღირსების პერსპექტივიდან	102
სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული რესურსები და გაიდლაინები	106
ბიბლიოგრაფია	107

შესავალი

ამ სახელმძღვანელოს შექმნა განაპირობა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ათასობით მასწავლებლის საქმიანობამ, ოლგა ლენგიელის ჰოლოკოსტის კვლევისა და ადამიანის უფლებების ინსტიტუტისა (TOLI) და მისი პარტნიორების ხელმძღვანელობით, ევროპის 10 ქვეყანაში ბოლო 10 წლის განმავლობაში.

პროექტის „სწავლა წარსულიდან, ქმედება მომავლისთვის – სწავლება ჰოლოკოსტისა და ადამიანის უფლებების შესახებ“ ფარგლებში, რომელიც თანადაფინანსებულია ევროკავშირის „ევროპა მოქალაქეებისთვის“ პროგრამის მიერ, 2021-2022 წლების ღონისძიებებში მონაწილეობდნენ მასწავლებლები იტალიიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან და ბულგარეთიდან. კონსორციუმს ხელმძღვანელობდა ტიმიშოარას ინტერკულტურული ინსტიტუტი, Fondazione CDEC-ის (იტალია), Big Picture-ის (პოლონეთი) და Amalipe-ის (ბულგარეთი) მონაწილეობით. პროექტში ჩართული მასწავლებლების გამოცდილება, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნების მასწავლებლების -ავსტრია, საბერძნეთი, ლიტვა, პორტუგალია, სერბეთი, უკრაინა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა TOLI თავის ეროვნულ პარტნიორებთან ერთად, საფუძვლად დაედო ამ სახელმძღვანელოს.

წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ინტერდისციპლინური მეთოდოლოგია ჩვენი პროგრამების მონაწილე მასწავლებლებმა წარსულის მომავალთან დაკავშირების მნიშვნელოვან გზად შეაფასეს. მადლობელი ვართ, რომ გვაქვს შესაძლებლობა, ვიმუშაოთ მონდომებულ მასწავლებლებთან და მხარი დავუჭიროთ მათ, როცა ისინი რთავენ თავიანთ მოსწავლეებს ისეთ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო აქტივობებში, რომლებიც გამსჭვალულია ისტორიული ჭეშმარიტებითა და ადამიანის ღირსების პატივისცემით. შემოთავაზებული საგანმანათლებლო მიდგომა ფოკუსირებულია აქტიური სწავლის პროცესებზე, რომლებიც უვითარებს მოსწავლეებს უნარებს, იყვნენ აქტიური მოქალაქეები და შეძლებენ, წინ აღუდგნენ უსამართლობას.

ამ სახელმძღვანელოში მასწავლებლებს შეუძლიათ: მოიძიონ ინტერდისციპლინური მიდგომის დასაბუთება, რომელიც აერთიანებს განათლებას ჰოლოკოსტის შესახებ, განათლებას ადამიანის უფლებების შესახებ და ინტერკულტურულ განათლებას; ახსნა იმ გზებისა, რომლებითაც ეს ინტერდისციპლინური მიდგომა შეიძლება დაგვეხმაროს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაში; მეთოდოლოგიების მიმოხილვა, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება ინტერდისციპლინურ მიდგომას; საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ მასწავლებლებმა მოსწავლეებთან ერთად; ასევე, რეკომენდაციები შემდგომი საკითხავი რესურსების შესახებ.

თეოდორ ადორნომ განაცხადა, „განათლების მთავარი მოთხოვნაა, რომ ოსვენციმი აღარ განმეორდესო“ (Adorno, 2005 [1996], p. 191). ადორნო არ გულისხმობდა უშუალოდ ისტორიის, ან რომელიმე კონკრეტული საგნის სწავლებას, არამედ მოიაზრებდა ზოგადად განათლებას, განათლებას, რომელიც „აყალიბებს ინტელექტუალურ, კულტურულ და სოციალურ კლიმატს, რომელშიც განმეორება შეუძლებელი იქნება, შესაბამისად, კლიმატი, რომელშიც მოტივები, რამაც ის გაუგონარი საშინელება გამოიწვია, შედარებით ცნობიერი გახდება“. ვიმედოვნებთ, რომ ეს სახელმძღვანელო შთააგონებს მასწავლებლებს, გამოიყენონ შემოთავაზებული მიდგომა და აქტივობები თავიანთ მოსწავლეებთან ერთად; ადაპტირება გაუკეთონ და განახორციელონ ინტერდისციპლინური აქტივობები, ასევე, გადახედონ თავიანთ საგანმანათლებლო პრაქტიკას ადამიანის ღირსებისა და უფლებების თვალსაზრისით. ეს კი, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელშიც გენოციდი, ძალადობა და დისკრიმინაცია დაუშვებელია.

რატომ ინტერდისციპლინური მიდგომა?

ჰოლოკოსტი მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული ფენომენია და ის არასოდეს არ უნდა დავიყვანოთ გამარტივებულ ახსნამდე. ჩვენი აზრით, ერთი დისციპლინის არეალი არ არის საკმარისი მისი არსის რეალურად გასაგებად (თუნდაც მისი გაგების მცდელობისთვის). ინტერდისციპლინური მიდგომის საშუალებით, ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ კომპლექსური პასუხები კომპლექსურ კითხვებზე, მაშინაც კი, თუ ამ პასუხების მიღება თავისთავად რთულია. ინტერდისციპლინური მიდგომა გვაიძულებს, საკუთარ თავს კიდევ უფრო მეტი კითხვა დავეუსვათ, გავაანალიზოთ ჩვენი წარსული და აწმყო სხვადასხვა პერსპექტივიდან, რათა საკითხი უფრო დეტალურად და მიუკერძოებლად გავიაზროთ.

ამის მისაღწევად, სწავლების პროცესში უნდა მოიძებნოს სწორი ბალანსი კოგნიტურ და ემოციურ ელემენტებს შორის; ბალანსი ჰოლოკოსტის საშინელებებსა და ებრაელი ხალხის ჰოლოკოსტამდე და ჰოლოკოსტის შემდეგ ცხოვრების შესახებ ინფორმაციას შორის - უფრო რთული ნარატივისთვის; ბალანსი ცალკეულ ამბებსა და ისტორიულ ნარატივებს შორის; ბალანსი რეფლექსიასა და მოქმედებას შორის - სწავლა არ არის საკმარისი, მხოლოდ და მხოლოდ ნასწავლის საფუძველზე მოქმედებაა სოციალური ცვლილების გასაღები.

განათლება ჰოლოკოსტის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა ჰოლოკოსტის ისტორიის გაცნობის საშუალებად, ისტორიულ მოვლენებს შორის მის უნიკალურობაზე ხაზგასმით. მიუხედავად იმისა, რომ ეს რჩება ჰოლოკოსტის განათლების მნიშვნელოვან ნაწილად, არ შეიძლება უგულებელვყოთ ის გაკვეთილები, რომლებიც ჰოლოკოსტს შეუძლია გვასწავლოს აწმყოსა და მომავალში.

ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელსაც ჩვენ შემოგთავაზებთ ამ სახელმძღვანელოში, აერთიანებს განათლებას ჰოლოკოსტის შესახებ, ადამიანის უფლებების სწავლებისა და ინტერკულტურული განათლების მიდგომებსა და მეთოდებს, რათა ეფექტურად დავეხმაროთ მოსწავლეებს წარსულის გაცნობაში, იმის გაგებაში, თუ როგორ უკავშირდება წარსული აწმყოს; თუ როგორ შეუძლიათ მათ, წვლილი შეიტანონ დემოკრატიული და ინტერკულტურული საზოგადოებების განვითარებაში, სადაც თითოეულ ინდივიდს შეუძლია დირსეული ცხოვრება.

როდესაც წარსულს ადამიანის უფლებების კუთხით ვუყურებთ, ჩვენ შეგვიძლია უკეთ გავიგოთ, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ჰოლოკოსტის მსგავსი მოვლენა, როგორ ფუნქციონირებდა პროპაგანდა და როგორ ჩამოართვეს ებრაელ ხალხს - და ადამიანთა სხვა ჯგუფებს - უფლებები წინასწარგამიზნულად და თანდათანობით. ამავდროულად, ჰოლოკოსტის გაკვეთილიდან გამომდინარე, ჩვენ ყურადღებით უნდა ვიყოთ, რადგან დღესაც გვჭირდება შესაბამისი ზომების მიღება, როდესაც ადამიანის უფლებები ირღვევა ან დაირღვა ჩვენს საზოგადოებებში მცხოვრები ნებისმიერი ჯგუფის წევრებისთვის. სწორედ ასეთი მიდგომა ავითარებს მოსწავლის კრიტიკულ აზროვნებას და უნარს, დავუპირისპირდეთ პოპულისტურ გზავნილებს, რომლებიც გავრცელებულია ევროპულ საზოგადოებებსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ეს აამაღლებს მოსწავლეთა ცნობიერებას ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მიმართ უსამართლო მოპყრობისა და შესაბამისი ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ.

ასევე, ჰოლოკოსტისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ინტერდისციპლინურმა მიდგომამ თავისი წვლილი შეიტანა შეიტანოს ისტორიის სწორად სწავლებაში. ნაციონალისტური პერსპექტივები (არ ავურიოთ ეროვნულ პერსპექტივაში) ეხება ერის უპირატესობის რწმენასა და ისტორიის არასწორ გამოყენებას, როგორც ამ უპირატესობის დადასტურების ინსტრუმენტს, ფაქტების დამახინჯებითა და სხვადასხვა პერსპექტივის უგულებელყოფით. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში ინსტიტუტებს, პოლიტიკოსებსა და თუნდაც განათლების მუშაკებს არ სურთ, აღიარონ თავიანთი თანამოქალაქეების პასუხისმგებლობა ჰოლოკოსტში. კლაუდია ლენცი (2016) საუბრობს „მეტ-ნაკლებად ღია დაძაბულობაზე“ ისტორიის განათლების ნაციონალისტური პარადიგმის მემკვიდრეობასა და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებზე ორიენტაციის შესახებ, რომელიც ხაზს უსვამს ისტორიის კრიტიკულ, რეფლექსურ და დენაციონალიზებული გაგების მნიშვნელობას.

ლიამ ნოქსის თქმით, „ჰოლოკოსტის განათლების/ შესწავლის მთავარი არსი არის საზოგადოების გაფრთხილება საშიში მოვლენების შესახებ, რომლებიც იწვევენ ადამიანის უფლებების დარღვევას, ტკივილსა და ტანჯვას; ამოცანის არსი მდგომარეობს დროისა და სივრცის მსგავსებაზე მითითებაში“ (2019, გვ.2). მიუხედავად ამისა, ისტორიის შესწავლას თავისთავად არ აქვს ეს გავლენა (განსაკუთრებით, მცირეწლოვან მოსწავლეებზე), თუ მოსწავლეებს არ ავუხსენით და გავაგებინებთ, როგორ მოქმედებს წარსული აწმყოზე და როგორ არის დაკავშირებული მათი იდენტობა და სოციალური კონტექსტი ამ საგანთან (ისტორიასთან).

ინტერდისციპლინური მიდგომა საშუალებას გვაძლევს, შევადაროთ სოციალური უსამართლობის სხვადასხვა შემთხვევა, ასევე, გავიგოთ ჰოლოკოსტის გენოციდური მასშტაბები და მისი უნიკალურობა ჩვენს ისტორიაში. ჰოლოკოსტი თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. საჭიროა, გაგრძელდეს მისი შესწავლა უფრო ღრმა ისტორიული კვლევის ინსტრუმენტებით. ამავე დროს, არ შეიძლება უარყოფით გაკვეთილები, რომლებსაც ჰოლოკოსტი გვასწავლის: პროპაგანდის ძალა, თანაგრძნობა, როგორ ვიყოთ უკეთესი მოქალაქეები და ა.შ. ჰოლოკოსტის შესწავლის პროცესში ჩვენ შეგვიძლია გავაცნობიეროთ ჩვენი, დღევანდელი ადამიანის, უფლებები და პასუხისმგებლობა, წინ აღვუდგეთ უსამართლობას.

ჰოლოკოსტის ისტორიისა და ადამიანის უფლებათა პრინციპების უფრო ღრმა გაგებისთვის საჭიროა ისტორიული მოვლენებისა და აწმყოს შედარება მიზანმიმართულად, ყურადღებითა და კონტექსტის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, დავრწმუნდეთ, რომ ჰოლოკოსტს არ იყენებენ, როგორც მანიპულაციურ ინსტრუმენტს პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნებისთვის. ელი ვიზელის სიტყვებით, „ჩვენ არა მხოლოდ მიცვალებულთა მოგონებებზე ვართ პასუხისმგებელი, არამედ იმაზეც, რასაც ვაკეთებთ ამ მოგონებებით“ (1993).

ლოზუნგი „აღარასდროს“ ათწლეულების განმავლობაში იყო მასწავლებლებისა და განათლების პოლიტიკის შემქმნელების მიზანი, მაგრამ მისი რეალობად გადაქცევა დღესაც კი დიდ გამოწვევად რჩება. ჰოლოკოსტის შემდეგ არაერთი სხვა გენოციდი მოხდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში; სისტემური დისკრიმინაცია ყოველდღიური რეალობაა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომელსაც წარმოუდგენლად დიდი რაოდენობის ადამიანი ეწირება; ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ, პოლიტიკურ დისკურსში კვლავ ქარბობს დიქტომია „ჩვენ მათ წინააღმდეგ“; ტოტალიტარული რეჟიმების რაოდენობა ჯერ კიდევ მაღალია და ე.წ. შემდგარი დემოკრატიებიც კი, გარკვეულწილად, გაჯერებულია პოპულისტური პოლიტიკური მოძრაობებით, რომლებიც ზოგჯერ უგულებელყოფენ ადამიანის უფლებებს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ჰოლოკოსტის ისტორიის შესახებ ვრცელი კვლევა, უფრო ადეკვატური მიდგომებია საჭირო იმისათვის, რომ ეს კვლევა ინტეგრირდეს საგანმანათლებლო პრაქტიკაში. წარსულის შესწავლა საკმარისი არ არის, თუ ადამიანებს არ შეუძლიათ, გამოიყენონ ეს სწავლა უფრო დემოკრატიული და ინტერკულტურული საზოგადოებების შესაქმნელად - ეს, შეიძლება

ითქვას, ერთადერთი ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია, მშვიდობიანი გზით, ხელი შეუშალოს ავტორიტარიზმსა და ადამიანის უფლებების დარღვევებს.

გრეგორი ვეგნერი მაღალ შეფასებას აძლევს გაკვეთილებს, რომლებიც შეგვიძლია მივიღოთ ჰოლოკოსტიდან სამოქალაქო კომპეტენციების სწავლებისთვის. მკვლევარი ჰოლოკოსტის განათლებას/სწავლებას განსაკუთრებით დროულად თვლის, გლობალურად ულტრამემარჯვენე მოძრაობების გაჩენის გათვალისწინებით, როგორც გზას იმის ხაზგასასმელად, თუ რა შეიძლება მოხდეს, როდესაც დემოკრატიას საფრთხე ემუქრება (Wagner, 1998). სამწუხაროდ, ბოლო წლებში პოლიტიკური ექსტრემიზმი აგრძელებს განუხრელ ზრდას და საფრთხეს უქმნის ევროპულ და მსოფლიოს ქვეყნების საზოგადოებებს.

ჰოლოკოსტის შესახებ განათლების სარგებელი და, ზოგადად, პოტენციური - ისტორიის სწავლით გაგვაცნობიერებინოს დღევანდელი გაკვეთილები, აღიარებულია მრავალი მეცნიერისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. თუმცა, ვან დრიელი (2010) ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ დიდი ყურადღება ეთმობა ისტორიულ საკითხებს, დღემდე გამოწვევად რჩება სტერეოტიპების, ცრურწმენების, დისკრიმინაციისა და რასიზმის მნიშვნელობის გაცნობიერება დღევანდელ მსოფლიოში. მკვლევარი ამტკიცებს, რომ ამის შესაძლო მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა არ არის მზად ცრურწმენებისა და დისკრიმინაციის შესახებ სასაუბროდ ისეთ თემებზე, რამაც შესაძლოა მოსწავლეებში სხვადასხვა ემოცია წარმოშვას. მისი აზრით, იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ იმის შესწავლა, თუ რა გადახდათ თავს ებრაელებს ევროპაში თითქმის ერთი საუკუნის წინ, მომავალი თაობის აღქმაში გამოიწვევს ერთგვარ რევოლუციურ ცვლილებას და ისინი გახდებიან უფრო ემპათიური და მაღალი სამოქალაქო აზროვნების ადამიანები.

ადამიანებისა და ერების უმრავლესობისთვის რთული შემამოთხებელი წარსულის მიღება, რადგან ეს წარსული საფრთხეს უქმნის თვითშეფასებას და გავლენას ახდენს როგორც პიროვნულ იდენტობაზე, ასევე, ეროვნულ მითებზე (Ambrosewicz-Jacobs and Szuchta, 2014). საჭიროა ჩადენილი უსამართლობის სწორი ანალიზი, რომელიც ნაკლებად ემოციურად იქნება დატვირთული, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს, უფრო ღიად ისაუბრონ ფაქტებზე. ეს შეიძლება დაეხმაროს მათ, გავაცნობიერონ, რომ ისტორია არ არის ინსტრუმენტი ეროვნული იდენტობისა და სიამაყის გაზრდისათვის - როგორც ამას ძალიან ხშირად იყენებდნენ - არამედ მოვლენების სერიაა, რომელიც უნდა ვეცადოთ და გავიგოთ რაც შეიძლება ზუსტად, რათა წარსულიდან ვისწავლოთ გაკვეთილები და ავაშენოთ უკეთესი საზოგადოება. ამავდროულად, უნდა გავაცნობიეროთ, რომ თანამედროვე ადამიანები არ არიან დამნაშავენი იმაში, რაც წარსულში მოხდა. თუმცა ისინი პასუხისმგებელნი არიან წარსულის გახსენებაზე, მსხვერპლთა და გადარჩენილთა პატივისცემაზე, უკეთესი ანმყოსა და მომავლის შექმნაზე.

უფრო მეტიც, ჰოლოკოსტი და განათლება ადამიანის უფლებათა შესახებ კვეტს ინტერკულტურულ განათლებას, მათი საერთო მიზნის მისაღწევად, სოციალური უსამართლობისა და მრავალფეროვნების შეუწყნარებლობის აღმოფხვრის მიზნით. ასევე, ის ხელს უწყობს მრავალფეროვნების პატივისცემასა და დისკრიმინაციის აღმოფხვრას. 21-ე საუკუნეში ნებისმიერი საგნის სწავლება ინტერკულტურული განათლების, გამჭოლი თემის გარეშე, ნიშნავს სწავლებას სტერილურ გარემოში, რომელიც არ შეესაბამება იმ რეალობას, რომელშიც ახალგაზრდები ცხოვრობენ.

ჩვენი საზოგადოებები უფრო და უფრო მრავალფეროვანია და ყოველდღიური ურთიერთობა სხვადასხვა კულტურის ადამიანებთან - პირისპირ თუ ონლაინ - რეალობაა სკოლის მოსწავლეების უმეტესობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ზოგადი მოსაზრება, რომ ახალგაზრდა თაობა

არ არის ემპათიური და არ არის დაინტერესებული პოლიტიკით, სინამდვილეში, ახალგაზრდების ჩართულობა შორდება ტრადიციულს და არატრადიციული და სამოქალაქო მონაწილეობისკენ უფრო იხრება. ახალგაზრდებს იზიდავთ ახალი სოციალური მოძრაობები და ამითი ვითარებიან კიდევ (Chrysochoou and Barrett, 2017). ეს კონტექსტი მოითხოვს განათლებას, რომელიც „ხელს უწყობს მრავალფეროვნებას, საზოგადოებაში არსებულ სტატუს კვოს და ძალაუფლების მქონე სტრუქტურებს კი მუდმივად გამონვევის წინაშე აყენებს“ (Nestian – Sandu და Liamour-Baja, 2018, p. 21), და ამგვარი განათლება არის ინტერკულტურული ბუნების.

ტოტენი და ფეინბერგი (2001) გამოყოფენ ჰოლოკოსტის შესახებ სწავლების 17 „დასაბუთებას“, რომელთაგან რამდენიმე პირდაპირ შეესაბამება ინტერკულტურული განათლების მიზნებს, როგორცაა: ცრურწმენების, დისკრიმინაციის, რასიზმის, ანტისემიტის, ავტორიტეტისადმი მორჩილების, კონფლიქტისა და მისი მოგვარების, გადანყვეტილების მიღებისა და სამართლიანობის შესწავლა; იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება ადვილად გარდაიქმნას „პატარა“ ცრურწმენები ბევრად უფრო სერიოზულ დამოკიდებულებებად; ეთნიკური და რელიგიური სიძულვილის შესახებ ცნობიერების ამაღლება; პლურალიზმისა და მრავალფეროვნების დაფასება.

ჰოლოკოსტის შესახებ განათლების, ადამიანის უფლებების სწავლებისა და ინტერკულტურული განათლების გზაჯვარედინზე მოსწავლეები შეიძლება ჩაერთონ იმ პროცესებში, რომლებიც მათ დაეხმარება:

- ისწავლონ ჰოლოკოსტის ისტორია დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების პოპულარიზაციის მიზნით;
- გააცნობიერონ, რა როლი ითამაშა იდენტობამ ჰოლოკოსტის დროს ებრაელებისა და სხვა ჯგუფების დევნაში და რა როლს თამაშობს ის დღევანდელ საზოგადოებებში;
- გაიაზრონ თავიანთი იდენტობა ისტორიასა და იმ საზოგადოებასთან დაკავშირებით, რომელშიც ცხოვრობენ;
- ჰოლოკოსტის შესწავლით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ნაციონალისტური პერსპექტივები;
- გააცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობა, აღიარონ და დაიმახსოვრონ ჰოლოკოსტით გამონვეული ტკივილი, ტრავმა და დანაკარგი;
- შეინარჩუნონ ებრაული მემკვიდრეობა და აღიარონ ებრაელი ხალხის წვლილი სხვადასხვა ქვეყნის ისტორიაში, სადაც ისინი აღარ სახლობენ;
- გაეცნონ ანტისემიტის ისტორიას და დააკავშირონ ის დღევანდელობაში გამოვლენილ ანტისემიტთან;
- ესმოდეთ, რომ ევროპაში ბოშათა დღევანდელი დისკრიმინაცია და მარგინალიზაცია არის დევნის, მონობისა და ბოშების გენოციდის ხანგრძლივი ისტორიის პირდაპირი შედეგი;
- შეისწავლონ სხვადასხვა კულტურა და ის, თუ როგორ დაამყარონ მნიშვნელოვანი ურთიერთობები სხვადასხვა წარმოშობის, კულტურისა და გამოცდილების მქონე ადამიანებთან;
- დაფიქრდნენ საკუთარ სტერეოტიპებზე და მათი დაძლევის გზების პოვნაზე;
- გაიგონ, რომ ცვლილება მოხდა წარსულში და საზოგადოებები ცვალებადია;
- განუვითარდეთ ადამიანის უფლებებისა და ღირსების პატივისცემა;

- გააცნობიერონ სოციალური მოქმედების აუცილებლობა თანამედროვე საზოგადოებებში ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად;
- წინ აღუდგნენ უსამართლობას.

ამ მიზნების მისაღწევად, საჭიროა, არსებობდეს კარგად გააზრებული და კარგად შემუშავებული საგანმანათლებლო პროცესი, რომელიც გამჭოლად გასდევს მთლიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სხვადასხვა საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლების ჩართულობით, რომლებიც თანამშრომლობენ სოციალური და ისტორიული კონტექსტისა და ადამიანური ქცევის სირთულეების საჩვენებლად. ჯენიფერ ლემბერგი საუბრობს საგნებს შორის კავშირის აუცილებლობაზე, „რომელიც აერთიანებს ჰოლოკოსტის კვლევების ინოვაციური მიდგომების კავშირებს სწავლა-სწავლების პროცესთან, რაც გვეხმარება, გავიაზროთ, თუ როგორ უკავშირდება ჰოლოკოსტის შესახებ სწავლა-სწავლება იმას, თუ ვინ ვართ ჩვენ, როგორც ადამიანები (Lemberg, 2021, p. 113).

ინტერდისციპლინური მიდგომა კომპეტენციების განვითარებისთვის

ჰოლოკოსტის შესახებ სწავლება არ შეიძლება იმგვარად, როგორც ნებისმიერი სხვა ე. წ. ტრადიციული საგნის. ასევე, არ შეიძლება მისი სწავლება განცალკევებულად, ემოციური შედეგების თავიდან აცილების მიზნით. ამასთანავე, ის არ უნდა იქცეს მარტივ მიზეზად ზნეობის გაკვეთილისთვის. თუ ვერ დავეხმარებით მოსწავლეებს გამომწვევი მიზეზებისა და კონტექსტის გაგებაში, რამაც საფუძველი დაუდო ჰოლოკოსტს, განსაკუთრებით მის კავშირს ევროპისა და ანტისემიტიზმის ისტორიასთან, შეიძლება მათ დაიჯერონ, რომ ჰოლოკოსტი იყო იზოლირებული მოვლენა, ანომალია. ამან შეიძლება გამოიწვიოს ჰოლოკოსტის ხსოვნის გაუფასურება.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები გაეცნონ ზუსტ ფაქტებს ჰოლოკოსტის შესახებ, რომ მათი სწავლა დაიწყოს ჰოლოკოსტის ზუსტი განმარტებით. ასევე, საჭიროა, მოსწავლეებმა ისწავლონ ამ მოვლენასთან დაკავშირებული სხვა ტერმინების სწორად გამოყენება. პირველადი წყაროებიდან სწავლა შეიძლება დაეხმაროს მოსწავლეებს ჰოლოკოსტის უფრო ობიექტურად გაგებაში. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ წყაროების კრიტიკული ანალიზია საჭირო, მაშინაც კი, როცა საქმე პირველად წყაროებს ეხება. აუცილებელია, გავითვალისწინოთ, რომ მრავალი პირველადი წყარო შექმნეს თავად მოძალადეებმა და იმის ანალიზი, თუ რატომ და როგორ შეიქმნა თითოეული წყარო, ეხმარება მოსწავლეებს რთული და ღრმად შემაშფოთებელი მოვლენის სიღრმისეულად გაგება-გააზრებაში. ამავე დროს, ჰოლოკოსტის შესწავლა არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ ფაქტებსა და ციფრებზე, რაც უგულებელყოფს ადამიანურ ფაქტორს; არც მასწავლებლებმა უნდა წარმოადგინონ ცალკეული ამბები ისტორიული კონტექსტის ზოგადი გაგების გარეშე. მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებამ, როგორცია ლიტერატურა, ხელოვნება, პირადი ნარატივები, ფილმი და ა.შ., შეიძლება ხელი შეუწყოს მოვლენის უფრო დაბალანსებულ გააზრებას. მოსწავლეებისთვის ჰოლოკოსტის ისტორიული კონტექსტის გაგებაში ხელშეწყობა „გვეხმარება იმის გააზრებაში, რომ ნაცისტური დევნა იყო გამიზნული, მაგრამ არა გარდაუვალი“ (Polgar, 2018, p. 20).

ჰოლოკოსტის შესწავლამ შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი ემოციები, რაც საკუთარი აზრებისა და აღქმების ადეკვატურ რეფლექსიას მოითხოვს. ამან შეიძლება მოსწავლეებს უმწეობის, გაბრაზებისა და იმედგაცრუების შეგრძნება დაუტოვოს. ამ ფაქტის აღიარება და ამ გრძნობების განხილვა შეიძლება იყოს ძლიერი მოტივაცია ანმყოფი სწორი მოქმედებისთვის. ჰოლოკოსტის შესწავლამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს იმას, რომ მოსწავლეებმა დღევანდელ საზოგადოებაში ბევრი რამ სწორად შეცვალონ. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსწავლეები გრძნობენ, რომ სასწავლო კონტექსტი უსაფრთხო და მოტივაციის მიმცემია და მათ შეუძლიათ, დააკავშირონ საკუთარი იდენტობა და მსოფლმხედველობა იმ თემებთან, რომლებსაც სწავლობენ.

პიტერ კუკი მხარს უჭერს მიდგომას - „კულტურა შინაარსზე წინ“ (2021), რაც გულისხმობს საკლასო კულტურის შექმნის მნიშვნელობას ძლიერი დემოკრატიული ღირებულებებით, რათა შესაძლებელი იყოს კომპლექსური და ემოციურად დატვირთული შინაარსის განხილვა. მოსწავლეებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნით, რომელშიც მათ (მოსწავლეებს) არ განიკითხავენ თავიანთი იდეების გამოხატვისას

და უფრო აქტიურად იქნებიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საკუთარი თავის, სხვებისა და ადამიანის ღირსების პატივისცემა განიხილება ფუნდამენტურ ღირებულებებად. „ისტორიის სწავლებისას, ფუნდამენტურია, სწავლის პროცესი მოერგოს იმას, რაც მოსწავლეებისთვის რელევანტური და მნიშვნელოვანია. სწავლის პროცესმა უნდა წაახალისოს ისინი, გამოხატონ თავიანთი შეხედულებები და ინტერპრეტაციები, ოღონდ ეს უნდა გააკეთონ სხვების პატივისცემითა და უფლებების დაცვით“ (Lenz, 2016).

ისტორიულად არსებობს მჭიდრო კავშირი ჰოლოკოსტსა და ადამიანის უფლებათა თანამედროვე ჩარჩოს განვითარებას შორის: ჰოლოკოსტი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსების ერთ-ერთი მთავარი კატალიზატორი; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (UDHR) შემუშავება და ფუნდამენტური უფლებების დაცვის სამართლებრივი სისტემების ჩამოყალიბება, გარკვეულწილად, განაპირობა მეორე მსოფლიო ომის სისასტიკემ. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი კავშირების დამყარება წარსულსა და აწმყოს შორის მოითხოვს მასწავლებლების მნიშვნელოვან მომზადებას, ასევე, ისტორიული ქეშმარიტების პატივისცემას, დემოკრატიული პრინციპებისა და მრავალფეროვნების დაფასებას, სხვა მასწავლებლებთან თანამშრომლობის სურვილს.

მასწავლებლებს შეუძლიათ, მიიღონ შესანიშნავი რესურსები ჰოლოკოსტის შესახებ სწავლებისთვის, როგორცაა *IHRA რეკომენდაციები ჰოლოკოსტის სწავლებისა და სწავლისთვის*, *USHMM სახელმძღვანელო ჰოლოკოსტის შესახებ სწავლებისთვის* და მრავალი სხვა.¹ ეს რესურსები, ოღვა ლენგიელის ინსტიტუტისა და მისი ევროპელი პარტნიორების მეშვეობით, ათასობით მასწავლებლის პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად, ამ სახელმძღვანელოს შთაგონებად იქცა. სახელმძღვანელოს ღირებულებას ჰმატებს ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც ეყრდნობა თითოეული დისციპლინის ყველაზე რელევანტურ ასპექტებს, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს, გააცნობიერონ კავშირი წარსულსა და აწმყოს შორის და მისცეს მათ საშუალება, გახდნენ უფრო აქტიური მოქალაქეები, რომლებიც წინ აღუდგებიან უსამართლობას.

ადამიანის უფლებების შესახებ განათლება ხშირად აღწერილია შემდეგნაირად:

- ადამიანის უფლებების შესახებ სწავლა გულისხმობს ადამიანის უფლებების ისტორიისა და მექანიზმების, ინსტიტუტებისა და სამართლებრივი სისტემების ცოდნას, ადამიანის უფლებების მნიშვნელობასა და შინაარსს;
- ადამიანის უფლებების მეშვეობით სწავლა გულისხმობს სწავლას, რომელიც მიმდინარეობს საგანმანათლებლო მიდგომებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებიც ასახავს ადამიანის უფლებათა იდეებს - სასწავლო პროცესი ორგანიზებულია დემოკრატიულად, ის ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ მონაწილეობას და იცავს თითოეული მოსწავლის ადამიანურ ღირსებას;
- ადამიანის უფლებებისთვის სწავლა გულისხმობს ამ უფლებების დასაცავად მოქმედებას და ქცევას ისე, რომ თავიდან ავიცილოთ უსამართლობა, უთანასწორობა და ადამიანის უფლებების დარღვევა.

ინტერდისციპლინური მიდგომა, რომლის გამოყენებითაც ადამიანის უფლებები ისწავლება ჰოლოკოსტთან და ინტერკულტურულ განათლებასთან დაკავშირებით, მოსწავლეებს სთავაზობს წარსულის აწმყოსთან დაკავშირებულ ყოვლისმომცველ გზებს, რათა უკეთ გაიგონ თავიანთი ვინაობა და გაიჩინონ თანამოაზრეები. გაიაზრონ იდენტობა, ზოგადად, ისტორიასა და, კონკრეტულად,

¹ რესურსებისა და გაიდლაინების ჩამონათვალი მოცემულია ბოლო თავში.

ჰოლოკოსტთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს ხშირად აინტერესებთ ადამიანის უფლებების საკითხები, მათ „შეიძლება არ იცოდნენ, თუ როგორ იყო ადამიანის უფლებების დარღვევა ისტორიულად სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებისა და პროცესების შედეგი, ან ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლას რომ საკუთარი ისტორია აქვს“ (Tibbitts, 2016). ინტერდისციპლინურ მიდგომას შეუძლია, წაახალისოს მოსწავლეები, ჩაერთონ კომპლექსურ დისკუსიებში ისტორიის, ანმეოსა და მომავლის შესახებ. ასევე, შესაძლოა, გაუჩნდეთ სურვილი, წვლილი შეიტანონ წარსულში დეჰუმანიზებული ადამიანების ხსოვნის ღირსეულად შენარჩუნებაში.

აზადე აალაისთვის გადამწყვეტია იმის აღიარება, რომ „ყველა გამოცდილება ან ისტორიული მოვლენა ბოლომდე არ არის გაგებულნი და გააზრებულნი“. ასეთი აღიარება შეიძლება იყოს სტიმულის მიმცემი როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე, მასწავლებლებისთვის (Aalai, 2020, გვ. 215). ამ თვალსაზრისით, იგი ამტკიცებს, რომ თემის თავისუფლად არჩევა საშუალებას მისცემს მასწავლებლებს, თავიდან აიცილონ ჰოლოკოსტის შესახებ განათლების პრობლემური მხარეები, როგორცაა „სისასტიკის გამარტივება, „ადვილი“ ან შეფუთული დასკვნების შეთავაზება“ (Aalai, 2020). თემა არის ლინზა, ფილტრი, რომელიც მოსწავლეებს სთავაზობს ერთგვარ საცნობარო ჩარჩოს, რაც მათ საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად გაიაზრონ ასეთი რთული და გაუგებარი სისასტიკე. ადამიანის უფლებების ობიექტივი კი ქმნის პერსპექტივას, საიდანაც მოსწავლეები შეძლებენ, აღიქვან ეს სისასტიკე. იმის ნაცვლად, რომ მოსწავლეებს შევთავაზოთ მზა პასუხები, მათ ეძლევათ უფრო მრავალფეროვანი პერსპექტივა, გაიაზრონ საკითხის კომპლექსურობა.


დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო (RFCDC), რომელიც გამოქვეყნდა ევროპის საბჭოს მიერ 2018 წელს, შეიძლება იყოს სახელმძღვანელო ინსტრუმენტი მასწავლებლებისთვის მათი ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვისა და შეფასებისას (როგორც კურიკულუმის ფარგლებში, ასევე, კლასგარეშედ).

ჩარჩო წარმოადგენს განათლების კომპეტენციებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც გვთავაზობს კომპეტენციების კონცეპტუალურ მოდელს. მოდელი მოიცავს 20 კომპეტენციას, რომელიც ოთხ კატეგორიად იყოფა: ღირებულებები, დამოკიდებულებები, უნარები და ცოდნა და კრიტიკული გაგება (იხ. სურათი 1).

მოდელის მნიშვნელოვანი ასპექტია ის ფაქტი, რომ ცოდნა ასოცირდება კრიტიკულ გაგებასთან, რაც ნიშნავს, რომ ახალი ცოდნის მიღება ღირებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი გვეხმარება საკითხის კრიტიკულად გააზრებაში, გვაძლევს საშუალებას, ერთმანეთს დავეკავშიროთ სხვადასხვა საკითხი და უფრო ნათლად წარმოჩინდეს მისი მნიშვნელობა (Rus, 2019). საგანმანათლებლო პროცესში ეს „ითარგმნება“, როგორც საჭიროება, შექმნას ისეთი შესაძლებლობები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, დაამუშაონ, განიხილონ და გააერთიანონ ახალი ცოდნა თავიანთ მსოფლმხედველობასთან. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცოდნის გათავისებას და გაზრდის იმის შანსებს, რომ მოსწავლეებს ახალი ინფორმაცია დიდხანს დაამახსოვრდეთ. მოდელის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ის, რომ წინა პლანზეა წამოწეული ღირებულებები, როგორც კომპეტენციების ძირითადი ელემენტები. დემოკრატიული ღირებულებების გარეშე ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულების განვითარება საფრთხეს უქმნის ისეთი საზოგადოებების შექმნას, რომლებიც საპირისპიროა იმისა, რასაც სლოგანი „აღარასდროს“ გულისხმობს.

საგანმანათლებლო პროცესებში დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები შეიძლება განვითარდეს კლასტერებად. ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ნებისმიერ სიტუაციაში,

მათ შორის, სასწავლო პროცესის ჩათვლით, ადამიანს შეუძლია გამოიყენოს და განავითაროს ერთზე მეტი კომპეტენცია. ამიტომაც ინტერდისციპლინური სასწავლო პროცესები კარგად არის მორგებული დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარების პროცესს.



სურ. 1. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები. წყარო: Council of Europe Reference Framework of Competences for Democratic Culture, vol. 1.

ეს ჩარჩო შემოთავაზებულია ევროპის საბჭოს მიერ, როგორც ძირითადი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ადამიანის უფლებების სწავლება და ინტერკულტურული განათლება შეიძლება განხორციელდეს წევრი ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებში. ამ ჩარჩოს გამოყენება ჰოლოკოსტის განათლებასთან დაკავშირებით გამოცდილია მასწავლებელთა მომზადების რამდენიმე პროგრამაში, რომელსაც ახორციელებს ოლგა ლენგიელის ინსტიტუტი და მისი პარტნიორები ევროპაში. 100-ზე მეტი მასწავლებელი იყო ჩართული იმ კომპეტენციების იდენტიფიცირების პროცესში, რომელიც მათ მოსწავლეებს შეუძლიათ განავითარონ ჰოლოკოსტის საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობით და გამოვლინდა, რომ ეს ჩარჩო არის სასარგებლო ინსტრუმენტი როგორც საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვისა და მოსწავლეებზე მათი გავლენის შესაფასებლად, ასევე, კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა დემოკრატიული და ინტერკულტურული განათლების მასწავლებლისთვის.

RFDC-ის გამოყენება იმ ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში, რომლებიც აერთიანებს ჰოლოკოსტს, ადამიანის უფლებებსა და ინტერკულტურულ განათლებას, აძლევს მასწავლებლებს კომპეტენციების გაერთიანებულ მოდელს და სახელმძღვანელო ინსტრუმენტს აკადემიურად გამართული, მონაწილეობითი და შინაარსიანი საგანმანათლებლო აქტივობების შესაქმნელად. ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საგანმანათლებლო აქტივობები შემუშავებულია RFDC-ის საფუძველზე.

მეთოდოლოგიური მოსაზრებები

ისეთმა დიდმა პედაგოგებმა, როგორებიც არიან მარია მონტესორი, ჯონ დიუი, პაოლო ფრეირე და დევიდ კოლბი, გამოთქვეს მოსაზრება, რომ სწავლა ყველაზე ეფექტურია, როდესაც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული. მეთოდოლოგიები, როგორცაა კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება ან პროექტზე დაფუძნებული სწავლება, შესაფერისია სწავლის ინტერდისციპლინური მიდგომებისთვის, რომლებიც აერთიანებს განათლებას ჰოლოკოსტის შესახებ, ადამიანის უფლებათა შესახებ და ინტერკულტურულ განათლებას.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლება - ეფუძნება სიღრმისეული, კრიტიკული კითხვის დასმას ცხოვრებაზე, ადამიანის ქცევაზე, საზოგადოებაზე. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ამოსავალ წერტილად კითხვების გამოყენება ნიშნავს, რომ „მასწავლებლებს აქვთ უამრავი გზა, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ტექსტის გაშინაარსებასა და გააზრებას. ისინი ირჩევენ კითხვებს, რომლებიც აღძრავს მოსწავლეებში ინტერესს. ასევე, წაახალისებს მოსწავლეებს, თვითონ დასვან კითხვები“ (Lemberg & Pope IV, 2021).


ამ მეთოდის გამოყენება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, შეისწავლონ ისტორია ადამიანური პერსპექტივიდან და გააცნობიერონ კავშირები საკუთარ რეალობასა და ისტორიულ რეალობას შორის. „ხშირად მოვუწოდებ ჯგუფის წევრებს, იყვნენ მშვიდად, კარგად გაიაზრონ და გამოიკვლიონ კითხვის არსი, დაუკავშირონ ის საკუთარ ცხოვრებასა და განცდებს. ჩემთვის ეს ნიშნავს, ასწავლო მოსწავლეს კაცობრიობაზე დაკვირვებით კაცობრიობისთვის (Zagray Warren, 2021). როდესაც მოსწავლეები სწავლობენ ჰოლოკოსტს, მათ ხშირად უფრო მეტი კითხვა უჩნდებათ, ვიდრე თავდაპირველად ჰქონდათ. როდესაც საქმე ეხება კითხვებს ადამიანის მდგომარეობისა და სხვების ტანჯვის შესახებ, ყოველი ახალი პასუხი ბადებს მინიმუმ ერთ ახალ კითხვას შემდგომი კვლევისთვის.

იმისათვის, რომ მოსწავლეები ჩაერთონ საგანმანათლებლო პროცესებში, რომლებიც ორიენტირებულია ჰოლოკოსტსა და ადამიანის უფლებებზე, კვლევები შეიძლება მოიცავდეს კითხვებს, როგორცაა: რამ განაპირობა ჰოლოკოსტი? რატომ ებრაელები? რა იცოდნენ მაშინდელმა მოქალაქეებმა ჰოლოკოსტის შესახებ? რატომ თანამშრომლობდნენ ევროპის სხვა ქვეყნები ნაცისტებთან? რა იყო ქრისტიანული ეკლესიის როლი? შეუძლიათ თუ არა ომში ნეიტრალურ ქვეყნებს ჰოლოკოსტის მიმართ ჰქონდეთ ნეიტრალიტეტის პრეტენზია? რას ნიშნავს, იყო გვერდით მყოფი ან, უბრალოდ, დამკვირვებელი? როგორ გავხდეთ აქტიური მოქალაქეები? რა პირობებში შეგვიძლია უარი ვთქვათ ბრძანებების შესრულებაზე? როგორ გავიგოთ, როდის არის მოქმედების დრო? ზოგიერთი ადამიანის უფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვების?

ასეთ კითხვებს შეუძლია მოსწავლეების ფოკუსირება კვლევის პროცესზე, რაც მათ უბიძგებს, მიმართონ სხვადასხვა წყაროს, შექმნან კატეგორიები კვლევისთვის, გაიღრმავონ წარსულის ცოდნა და დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს წარსული აწმყოზე და აწმყო რა გავლენას ახდენს მომავალზე. მათ სჭირდებათ მედიუმის მსგავსი მდგომარეობა ისტორიკოსის როლსა და რიგითი მოქალაქის როლს შორის. ეს დაეხმარება მათ, გაიაზრონ თავიანთი იდენტობა და როლი ფართო საზოგადოებაში.

ექსპერიმენტული სწავლა არის სწავლის პროცესი პრაქტიკული გამოცდილებითა და რეფლექსიით. დემოკრატიული კომპეტენციების სწავლება უბრალოდ, მარტივად შეუძლებელია, საჭიროა პრაქტიკული გამოცდილების რეგულარულად გამოყენება.

დევიდ კოლბმა, დიუსის, ლევინისა და პიაჟეს ნაშრომებზე დაყრდნობით, შეიმუშავა ექსპერიმენტული სწავლის ციკლი, როგორც ოთხსაფეხურიანი სწავლის პროცესი, რომელიც იწყება მოსწავლის ურთიერთობით თემასთან და ამ თემის *კონკრეტულ გამოცდილებასთან* დაკავშირებით. *დაკვირვებისა და რეფლექსიის* პროცესის მეშვეობით, მოსწავლეები შეძლებენ ნასწავლის გააზრებას. შემდეგ რეფლექსიის შედეგად მიღებული დასკვნები უნდა დაუკავშირდეს *აბსტრაქტულ ამროვნებას*, რათა მოსწავლეებმა შეძლონ, ჩამოაყალიბონ ცნებები, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ახალ სიტუაციებში, რათა ნასწავლი *გადაიტანონ პრაქტიკაში* და გამოიყენონ. როდესაც ან უკვე ჩამოყალიბებული კომპეტენციები გამოიყენება ახალ კონტექსტში, ისინი მყარდება და საფუძვლად ედება ახალ სასწავლო ციკლს.



სურ. 2. კოლბის ექსპერიმენტული სწავლების ადაპტირებული მოდელი

ტრანსფორმაცია მოსწავლეების ცნობიერებაში ხდება მაშინ, როდესაც ისინი ხდებიან აქტიური სუბიექტები მსოფლიოში, როდესაც იცვლება მათი მსოფლმხედველობა (Hoggan, 2016) და „ტრანსფორმაციის კატალიზატორად გამოგვადგება ისეთი პროცესის ორგანიზება, რომლის დროსაც მოსწავლეები გაეცნობიან შეხედულებებს, რომლებიც შეიძლება მიუღებელი იყოს მათთვის“

(Cranton, 2002). თუმცა მოსწავლეებისთვის განსხვავებული შეხედულებების უბრალოდ „გაცნობას“ მცირე ეფექტი აქვს საიმისოდ, რომ მათ თავიანთი შეხედულებები შეიცვალონ. აუცილებელია მათი ჩართვა იმ პროცესებში, რომლებშიც მათ შეუძლიათ აქტიური ურთიერთობა ადამიანებთან, ტექსტებთან, ვიდეორესურსებსა და იმ სუბიექტებთან, რომლებიც წარმოაჩენს მრავალფეროვან თვალსაზრისებს. ასევე, მოსწავლეები ეჭვქვეშ აყენებენ სტერეოტიპებსა და სტატუს-კვოს ნაციონალისტურ პერსპექტივებს ისტორიის სწავლებაში. როდესაც ამ აქტიურ ექსპერიმენტს მოჰყვება რეფლექსიის მართვადი პროცესი, ეს ზრდის მოსწავლეთა ღიაობას, თანაგრძნობასა და პირად კავშირს ისტორიასთან. ამან, თავის მხრივ, შეიძლება გაზარდოს მოსწავლეების სწავლისადმი ინტერესი, რაც დიდწილად შეიძლება აისახოს მათ მიერ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანით.

თანამშრომლობითი სწავლა ექსპერიმენტული სწავლის მნიშვნელოვანი ასპექტია. ის აუმჯობესებს რთული ცნებების გაგებას და ზრდის პრობლემის გადაჭრის უნარს, რაც მონაწილეებს საშუალებას აძლევს, მიიღონ უფრო შემოქმედებითი და პრაქტიკული გადაწყვეტილებები. ის, ასევე, ხელს უწყობს ჯგუფის ერთიანობის ჩამოყალიბებასა და ჯგუფის წევრებს შორის მიკერძოების შემცირებას. თანამშრომლობითი მუშაობა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, სხვებს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება, გამოხატონ თავიანთი აზრები და ამით გარკვეული გავლენა მოახდინონ სტატიკურ, ტრადიციულ სასწავლო პროცესზე.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება (PBL) არის სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც მოსწავლეს აქცევს რეალურ სამყაროში, მათთვის აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილედ. მოსწავლეები ჯგუფებად ან/და წყვილებში მუშაობენ აქტუალურ თემატიკაზე შექმნილ პროექტებზე. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში მრავალფეროვანი უნარების განვითარებას. PBL-ის დროს მოსწავლეები მუშაობენ ერთობლივად - მცირე და დიდ ჯგუფებში, ასევე, ინდივიდუალურად. ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ცოდნას, პირად შეხედულებებსა და დამოუკიდებელ მოსაზრებებს, იღებენ გადაწყვეტილებებს სწავლის შინაარსის შესახებ, იკვლევენ, მსჯელობენ და ხშირად კამათობენ კიდევ. როდესაც მოსწავლეები იმასხვრებენ ფაქტებს ან პოულობენ მარტივ პასუხებს, შანსი იმისა, რომ მათ დაივიწყონ ეს ინფორმაცია, საკმაოდ დიდია. მეორე მხრივ, თუ მოსწავლეებს იძულებთან შეჭიდებისა და თვითგააზრების საშუალებას მივცემთ, მაშინ დიდია ალბათობა, რომ მათ განუვითარდეთ მრავალფეროვანი და ინტეგრირებული კომპეტენციები. ეს პროცესი ასევე ხელს უწყობს უფრო მაღალი დონის ავტონომიის შექმნას სკოლაში.

PBL-ის გამოყენებისას, მასწავლებელი მოსწავლეებთან უფრო სამართლიანია, უარს ამბობს მასწავლებლის ტრადიციულ „ძალაუფლებაზე“. მისი როლი არის არა იმდენად ინფორმაციის მიწოდება, არამედ სწავლის პროცესის წარმართვა და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, თვითონ მიიღონ გადაწყვეტილებები, აღმოაჩინონ, დასვან კითხვები, მოიძიონ რესურსები, რომლებიც დაეხმარება მათ ამ კითხვებზე პასუხის პოვნაში და, საბოლოოდ, ფართო საზოგადოებას გაუზიარონ ის, რაც ისწავლეს. საბოლოო პროდუქტს ან პრეზენტაციას მოსწავლეები უზიარებენ სკოლის სხვა მოსწავლეებს ან სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს. შეფასებად გამოიყენება უკუკავშირისა და ასევე რეფლექსიის საფუძვლიანი პროცესი.

PBL-ის მთავარი მიზანი არ არის „საუკეთესო“ პროექტის ან პროდუქტის შემუშავება. აქცენტი კეთდება პროცესსა და სწავლის გამოცდილებაზე. თავად პროექტი მხოლოდ საშუალებაა, რომლითაც მოსწავლეები ივითარებენ თავიანთ კომპეტენციას. საბოლოო პროდუქტის ხარისხი არაა ყველაზე მნიშვნელოვანი. პროცესის ხარისხი არის ის, რაზეც მასწავლებელმა უნდა გაამახვილოს ყურადღება, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ, ითანამშრომლონ, მიიღონ გადაწყვეტილებები თუ უკუკავშირი და, რაც მთავარია, ჰქონდეთ შესაძლებლობა, საფუძვლიანად დაფიქრდნენ პროცესზე, შედეგებსა და ზოგადად, სწავლაზე.

რეფლექსიას, როგორც ნებისმიერი საგანმანათლებლო აქტივობის განუყოფელ ნაწილს, შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს მათი კომპეტენციების კონსოლიდაციაში, ასევე, დაეხმაროს მასწავლებლებს, გაიგონ მეტი თავიანთი მოსწავლეების მსოფლმხედველობის შესახებ. რეფლექსია კარგი შესაძლებლობაა მოსწავლეებისთვის, ჩამოაყალიბონ, გამოხატონ თავიანთი აზრები და მოსაზრებები. რეფლექსიის პროცესის დროს - საგანმანათლებლო აქტივობის მიმდინარეობისას ან დასასრულს - მასწავლებელს შეუძლია, უკეთ გაიგოს, თუ როგორ შეიმეცნეს მოსწავლეებმა საგანმანათლებლო აქტივობა, რა ისწავლეს მისგან და როგორ დააკავშირეს ის წინარე ცოდნასთან. ეს, თავის მხრივ, მასწავლებლებს მისცემს ინსპირაციას მომავალი საგანმანათლებლო აქტივობების მომზადებისთვის, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტულ კონტექსტსა და ინტერესებზე. რეფლექსიის პროცესის ხანგრძლივობა და შინაარსი უნდა იყოს მორგებული განხორციელებული აქტივობის ტიპზე. პროექტზე დაფუძნებული სწავლისთვის რეფლექსია, ჩვეულებრივ, ფოკუსირებულია სამ ასპექტზე: პროცესი - როგორ გაიაზრეს მოსწავლეებმა პროცესი და რას გააკეთებდნენ ისინი განსხვავებულად მომავალში; შედეგები - რას ფიქრობენ მოსწავლეები შედეგებზე; და განვითარებული კომპეტენციები - გზები, რომლებითაც მოსწავლეები მომავალში უნარებს გამოიყენებენ.

სწავლა-სწავლების ეს მეთოდოლოგია კარგად შეეფერება გამჭოლ მიდგომებს და მათი ეფექტურობა იზრდება, როდესაც მასწავლებლები არა მხოლოდ ხელს უწყობენ თანამშრომლობას მოსწავლეებს შორის, არამედ ისინი ასევე თანამშრომლობენ თავიანთი სკოლის სხვა მასწავლებლებთან, რომლებიც ასწავლიან სხვადასხვა საგანს. ასევე, ისინი თანამშრომლობენ სხვა მასწავლებლებთანაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.²

² ბუკლეტი ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, ჰოლოკოსტისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლების სპეციალისტებს შორის, მოცემულია შედეგ ბმულზე: <https://www.intercultural.ro/en/booklet-collaboration-holocaust-human-rights-educators/>.

საგანმანათლებლო აქტივობები

ეს აქტივობები შემუშავდა მასწავლებლებისთვის, რათა მათ ჩართონ თავიანთი მოსწავლეები ინტერდისციპლინურ სასწავლო პროცესებში. ისინი დაჯგუფებულია ექვსი ძირითადი თემის მიხედვით, რომელიც მოიცავს ჰოლოკოსტის ინტერდისციპლინურ მიდგომას, ადამიანის უფლებებსა და ინტერკულტურულ განათლებას. თითოეული თემისთვის შემოთავაზებულია რამდენიმე საგანმანათლებლო აქტივობა. მასწავლებლებს შეუძლიათ, აირჩიონ ის, რაც ყველაზე მეტად შეესაბამება მათ მოსწავლეებს და გააერთიანონ ისე, რომ პასუხობდეს მათი გარემოს კონკრეტულ სპეციფიკას. თითოეულ აქტივობას აქვს შესაძლებლობები შემდგომი დაკვირვებისთვის, საგნის უფრო ღრმად შესწავლისთვის ან პროექტზე დაფუძნებული სასწავლო პროცესების ორგანიზებისთვის. სასურველია, მოარგოს ადგილობრივ კონტექსტსა და მოსწავლეთა საჭიროებებს. აქტივობები გათვალისწინებულია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, მაგრამ მათი უმეტესობის გამოყენება შესაძლებელია, გარკვეული მოდიფიკაციით, საბაზო საფეხურზეც. აქტივობების არჩევისას, მნიშვნელოვანია დავრწმუნდეთ, რომ მოსწავლეებს აქვთ საკმარისი თემატური რესურსი აქტივობებში სრულად ჩართვისთვის. ჰოლოკოსტი არ ისწავლება განყენებულად როგორც ცალკე მოვლენა, ის მრავალი ისტორიული, კულტურული და სოციალური მოვლენის ქრილში განიხილება.

შემოთავაზებული აქტივობები არ არის ფოკუსირებული მხოლოდ ჰოლოკოსტის მთავარ ისტორიულ ფაქტებზე. ისინი ეფუძნება ვარაუდს, რომ მოსწავლეებს უკვე აქვთ საბაზისო ისტორიული ცოდნა ჰოლოკოსტისა და მსოფლიო ისტორიის შესახებ ჰოლოკოსტამდე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ არ ვამზადებთ მოსწავლეებს ჰოლოკოსტის ექსპერტებად. უფრო მეტიც, აქტივობები არ უნდა განხორციელდეს კლასგარეშე აქტივობებად. ისინი შეიძლება ინტეგრირდეს სწავლების პროცესში და დაწყვილდეს ისეთ აქტივობებთან, რომლებიც მიმართულია მოსწავლეების ძირითადი ისტორიული ცოდნის განვითარებაზე. ქვემოთ შემოთავაზებული აქტივობების მეშვეობით, მოსწავლეები შეძლებენ, გააანალიზონ საფუძვლიანად, რაც დაეხმარებათ წარსულსა და აწმყოს შორის კავშირის დამყარებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ აქტივობებიდან ზოგიერთი შეიძლება გახდეს ისტორიის გაკვეთილების შემდგომი ნაწილი, ზოგი შეიძლება გამოიყენონ როგორც ამოსავალი წერტილი ჰოლოკოსტის ისტორიის გარკვეული ასპექტების განსახილველად. მთავარია, გაიზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია, რათა მეტი გაიგონ ჰოლოკოსტის შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ეს აქტივობები შთააგონებს მასწავლებლებს, სწავლების უმეტესი ნაწილი ინტერაქტიური გზით წარმართონ.

სტერეოტიპები, ცრურწმენები, დისკრიმინაცია

ადამიანის ღირსება

მიმოხილვა:

ამ აქტივობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს, გააცნობიერონ ადამიანის ღირსება არა როგორც აბსტრაქტული ცნება, არამედ როგორც თითოეული ადამიანის შინაგანი ღირებულება და განუვითაროს მათ მიზანმიმართული ქცევები, რათა პატივი სცენ გარშემომყოფთა ღირსებას.

მიემართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- ადამიანის ღირსებისა და ადამიანის უფლებების დაფასება
- პატივისცემა
- ემპათია
- საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება
- ისტორიის ცოდნა და კრიტიკული გაგება-გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები:

- დაფა / ფლიპჩარტის ქაღალდი
- მარკერები

ხანგრძლივობა: 2,5 საათი. აქტივობა დაყოფილია ორ ნაწილად, თითოეული ნაწილი გრძელდება 1 საათის განმავლობაში. მოიცავს დავალებას ორ ნაწილს შორის, 30 წუთიანი სავარაუდო ხანგრძლივობით.

რჩევები მასწავლებლებისთვის:

ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს, დაამყარონ კავშირი ისეთ აბსტრაქტულ ცნებებს შორის, როგორიცაა ადამიანის ღირსება, კონკრეტული გრძნობები და ქცევები. მათ უნდა იცოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მოუწევთ ფიქრი სხვადასხვა შემთხვევაზე (როცა ილახება ადამიანის ღირსება), არასოდეს უნდა გააკეთონ ტანჯვის ფორმებისა და ხარისხებს შორის შედარება. ეს ასპექტი არაერთხელაა ნახსენები სახელმძღვანელოში და ძალიან მნიშვნელოვანია. ტანჯვა არის ძალიან პირადული რამ, რაც არასოდეს უნდა შეფასდეს. მიუხედავად ამისა, მავნე, დამამცირებელი, დისკრიმინაციული, არაჰუმანური ქცევების გაანალიზება, ადამიანის ღირსების კონცეფციის საშუალებით, დაეხმარება მათ, არ მისცენ თავს ზედმეტის უფლება, როდესაც გადაწყვეტენ, როგორ მოეპყრონ ადამიანებს და უკეთ გაიგონ, რას გულისხმობს თანასწორობა.

აქტივობების აღწერა:

ამ აქტივობაში მოსწავლეები იაზრებენ საკუთარ ცხოვრებასა და განცდებს, ასევე, იმ ადამიანების ცხოვრებასა და განცდებს, რომლებიც ჰოლოკოსტის სამიზნეები იყვნენ.

ნაწილი I

1. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შექმნან 4-5 კაციანი ჯგუფები და გაუზიარონ ერთმანეთს სკოლაში აღმოჩენილი მავნე დამოკიდებულებების/ქცევების მაგალითები. მაგ. სხვადასხვა სახის დისკრიმინაცია, პათივისცემის ნაკლებობა, აგრესიულობა, შევიწროება, ბულინგი, სიტყვიერი ან ფიზიკური ძალადობა და ა.შ.
2. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გააგრძელონ ჯგუფურად მუშაობა და გაუზიარონ საკუთარი თავის მიმართ მავნე დამოკიდებულებების/ქცევის მაგალითი, რომელიც მათ განიცადეს ცხოვრების გარკვეულ მომენტში (სკოლაში ან სკოლის გარეთ) და აღწერონ, რა მოხდა.
3. მოსწავლეებს სთხოვენ, გაუზიარონ თანატოლებს ის გრძნობები, რომლებიც მსგავსმა დამოკიდებულებებმა/ ქცევებმა გამოიწვია მათში. მასწავლებელი დაფაზე წერს გრძნობების ჩამონათვალს და წარმართავს დისკუსიას შემდეგი კითხვების საფუძველზე:
 - ა. როგორ ფიქრობთ, რატომ ავლენენ ადამიანები სხვა ადამიანების მიმართ მავნე დამოკიდებულებას/ქცევას?
 - ბ. თქვენი აზრით, რატომ მოქმედებს ეს დამოკიდებულებები/ქცევები ჩვენზე?
 - გ. რა საერთო აქვს ყველა ამ გრძნობას?
 - დ. რა შეიძლება გაკეთდეს ასეთი დამოკიდებულებების/ქცევების წინააღმდეგ? მასწავლებელი ადგენს სიას მოსწავლეთა იდეებით.
4. მასწავლებელი წერს ადამიანის ღირსების ცნებას და სთხოვს მოსწავლეებს, გაუზიარონ კლასს, თუ რას ნიშნავს ის მათთვის. ამის შემდეგ მასწავლებელი განმარტავს, რომ ადამიანის ღირსების ცნება არის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ბირთვი, როგორც ეს ნათქვამია პირველ მუხლში: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით“.
5. მოსწავლეებს ეძლევათ შემდეგი ციტატა და სთხოვენ, დაწერონ თავიანთი მოსაზრებები აქტივობის მომდევნო ეტაპამდე.

ბერგენ-ბელსენის საკონცენტრაციო ბანაკში დაპატიმრებული იუგოსლავიელი მასწავლებელი ჰანა ლევი-ჰასი თავის დღიურში წერდა:

8 ნოემბერი, 1944

ჩვენ არ მოვკვდით, მაგრამ მკვდრები ვართ. მათ მოახერხეს, ჩვენში ჩაეკლათ ცხოვრების უფლება არა მხოლოდ ანწყობი, არამედ, დარწმუნებული ვარ, მომავალში ცხოვრების უფლებაც მოუსპეს ბევრ ჩვენგანს.. მაგრამ ყველაზე ტრაგიკული ის არის, რომ მათ მიაღწიეს წარმატებას თავიანთი სადისტური და გარყვნილი გზით. მეთოდები, რომლებითაც ისინი ჩვენში კლავენ ადამიანური ცხოვრების ყველა გრძნობას, ნორმალური წარსულით დაჯილდოებული ნორმალური ადამიანების განცდას, იმ ცნობიერებამდეც კი, რომ ერთ დროს მხოლოდღა არსებობდნენ ამ სახელის ღირსი ადამიანები.

გონებაში რაღაცებს ვატრიალებ, მინდა... და აბსოლუტურად არაფერი მახსოვს. თითქოს მე არ ვიყავი. ყველაფერი გამქრალია ჩემი გონებიდან. პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩვენ გარკვეულწილად კვლავ დაკავშირებული ვიყავით ჩვენს წარსულ ცხოვრებასთან შინაგანად; ჩვენ ჯერ კიდევ გვქონდა სიზმრების, მოგონებების გემო. მაგრამ ბანაკის დამამცირებელმა ცხოვრებამ ისე სასტიკად გაანადგურა ჩვენი ერთიანობა, რომ ყოველგვარი მორალური მცდელობა, ოდნავადაც დავშორდეთ ჩვენ გარშემო არსებულ ბნელ რეალობას, გროტესკულად მთავრდება - უმიზნო ტანჯვით. ჩვენი სული თითქოს ქერქმია ჩაფლული, რომელსაც ვერაფერი დაარბილებს ან გატეხს...

18 ნოემბერი, 1944

მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი მუშაობა ბავშვებთან გრძელდება... სასონარკვეთილი ვებლაუჭები ყველა შანსს, რაც არ უნდა უმნიშვნელო იყოს, რომ შევკრიბო ბავშვები, რათა მათში და ჩემში სულ მცირე გონებრივი სიჯანსაღე და ადამიანური ღირსების ელემენტარული განცდა გავაჩინო.

ამ დავალებას სპონტანურად ვასრულებ, მე ვიტყვოდი, ინსტინქტურადაც კი, ჩემს სულში არსებული დაუძლეველი მოთხოვნილების გამო - იმ იშვიათ მომენტებში, როდესაც ვახერხებ მის გაღვიძებას - და, ასევე, ბავშვების სულიდან წამოსული დაუძლეველი მოთხოვნილების გამო, რომელსაც ნათლად ვგრძნობ. იმიტომ, რომ ჩემი ლიდერობა ალაფრთოვანებთ მათ, სწყურიათ ცხოვრება, სურთ, გაიხარონ, ეს სურვილი მათზე ძლიერია. რა გულსაკლავია!

ნაწილი II

6. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმუშაონ 3-4 კაციან ჯგუფებში და ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი ნაწერი.
7. რამდენიმე მოხალისეს სთხოვს, წაიკითხონ თავიანთი ნაწერი მთელი ჯგუფის წინაშე.
8. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მცირე ჯგუფებში განიხილონ შემდეგი ციტატა: „როცა საქმე ეხება ადამიანის ღირსებას, ჩვენ არ შეგვიძლია კომპრომისზე წასვლა“- ანგელა მერკელი. თითოეულმა ჯგუფმა უნდა დაწეროს თავისი ჯგუფის დისკუსიის დასკვნები და წარუდგინოს კლასს.
9. მასწავლებელი წარადგენს მოსწავლეთა იდეების სიას, რა უნდა გაკეთდეს მავნე დამოკიდებულებების/ქცევების საწინააღმდეგოდ და ეკითხება მოსწავლეებს, შეუძლიათ თუ არა ამ ეტაპზე უფრო მეტი იდეის მოფიქრება. მასწავლებელი აგროვებს ნაშრომებს/საქაღალდეებს ჯგუფების დასკვნებით. სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელს შეუძლია, გარკვეული დრო დაუთმოს მოსწავლეების რეფლექსიებს, იმსჯელონ, თუ როგორ შეიცვალა მათი შეხედულებები და რას დაამატებდნენ/შეცვლიდნენ თავიანთ ტექსტებში.
10. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ ერთი რამ, რისი გაკეთებაც თითოეულ მათგანს ამიერიდან განსხვავებულად შეუძლია (სიის მიხედვით ან რაიმე ახალი ხერხის საფუძველზე), რაც ხელს შეუწყობს სკოლაში ყველასთვის უფრო ღირსეული და მისაღები ქცევების დამკვიდრებას. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად, მაგრამ თითოეულმა ინდივიდმა უნდა აირჩიოს ერთი ქცევა, ჩაინიშნოს და საკუთარი თავი ჩათვალოს მოვალედ, მუდმივად მოიქცეს არჩეულის შესაბამისად.

შემდგომი ნაბიჯები:

- მასწავლებელს შეუძლია, დაავალოს მოსწავლეებს Maus-ის (Art Spiegelman) გაცნობა და მოგვიანებით კლასში განიხილონ ადამიანის ღირსების პერსპექტივიდან; სთხოვოს მოსწავლეებს, დაწერონ თავიანთი აზრები ამ წიგნის შესახებ და გაუზიარონ ისინი თანაკლასელებს ან სხვა კლასის მოსწავლეებს სკოლის ღონისძიებაზე.
- მოსწავლეებს შეუძლიათ შეიმუშაონ ცნობიერების ამალგების კამპანია ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის შესახებ.
- მოსწავლეებს შეუძლიათ გააგრძელონ ადამიანის ღირსებაზე ფიქრი და განიხილონ სიძულვილის ენის თემატიკა ონლაინრეჟიმში.³

³ დამატებითი საგანმანათლებლო აქტივობებისთვის სიძულვილის ენისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, ეწვიეთ ვებოპის საბჭოს რესურსებს, რომლებიც ხელმისაწვდომია 20 ენაზე: <https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/bookmarks-connexions>

იდენტობა და სტერეოტიპები

მიმოხილვა:

ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს, დაფიქრდნენ საკუთარ იდენტობაზე, ჰოლოკოსტის დროს იდენტობის როლზე, იდენტობასა და სტერეოტიპებს შორის კავშირზე.

მიმართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- ადამიანის ღირსებისა და ადამიანის უფლებების დაფასება;
- პატივისცემა;
- ემპათია;
- საკუთარი თავის შემეცნება და კრიტიკული გააზრება;
- ისტორიის ცოდნა და კრიტიკული გააზრება.

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: დანართები 1 და 2

ხანგრძლივობა: 3 საათი. აქტივობა დაყოფილია სამ ერთსაათიან ნაწილად და მოიცავს დავალებას პირველ და მეორე ნაწილს შორის, 30 წუთიანი სავარაუდო ხანგრძლივობით, რაც დამოკიდებულია მოსწავლეთა ინტერესსა და ასაკზე.

რჩევები მასწავლებლებისთვის:

მოსწავლეებთან სტერეოტიპების განხილვა ყოველთვის რთული ამოცანაა, რადგან ხშირად მოსწავლეები ვერ აცნობიერებენ საკუთარ სტერეოტიპებს ან არ სურთ აღიარონ, რომ მათაც აქვთ სტერეოტიპები. მოზარდების უმეტესობას სურს, ჰქონდეს პოზიტიური წარმოდგენა საკუთარ თავზე, როგორც კარგ და კეთილ ადამიანზე. ზოგჯერ თავად მასწავლებლებიც არიან სტერეოტიპების მსხვერპლნი და სანამ ამას არ გააცნობიერებენ, სრულად ვერ ჩაერთვებიან ასეთ აქტივობებში. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა სცადონ, გააანალიზონ საკუთარი სტერეოტიპები და განიხილონ სხვა მასწავლებლებთან, თუ როგორ გაუჩნდათ სტერეოტიპები და როგორ შეიძლება დაძლიონ ისინი. სტერეოტიპები თაობიდან თაობას გადაეცემა სხვადასხვა ფორმით: მედია, ლიტერატურა, ხელოვნება, ყოველდღიური ენა, ხუმრობები და ა.შ. როგორც კი მივხვდებით, რომ ჩვენი ბრალი არ არის, რომ გვაქვს ეს სტერეოტიპები, რომ ისინი გადმოგვცა სოციალიზაციისა და საგანმანათლებლო პროცესების დროს, ჩვენ შეგვიძლია, დავძლიოთ დანაშაულის გრძობა და დავინწყოთ მუშაობა სტერეოტიპების დეკონსტრუქციაზე, ვიდრე ვიფიქროთ, რომ არ გვაქვს ისინი. თანასწორი და სამართლიანი საზოგადოებების ჩამოყალიბების მიზნით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, დავეხმაროთ მოსწავლეებს იმის გაგებაში, რომ ისინი არ უნდა გრძნობდნენ თავს დამნაშავედ სტერეოტიპების არსებობის გამო, არამედ მათ უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა მათგან თავის დაღწევაზე და აღარ შეუწყონ ხელი მათ შენარჩუნებას.

მოსწავლეებთან სტერეოტიპების განხილვისას, მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანი ასპექტია სწორი ბალანსის პოვნა: 1) დაეხმაროს მოსწავლეებს, გააცნობიერონ, რა არის სტერეოტიპები და 2) აარიდოს ისეთი სტერეოტიპები, რომლებიც აქამდე არ ჰქონიათ. ამიტომაც დიდი სიფრთხილეა საჭირო, როდესაც მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს ებრაელების შესახებ სტერეოტიპებზე, რომლებსაც ავრცელებდნენ ნაცისტები. ამ თვალსაზრისით, ფოტოების ჩვენება არ არის რეკომენდებული.

დანართი 1-ის პირველი სცენარის მთავარი მიზანია, შერჩეული მოსწავლეების ჯგუფს (ე.წ. „პრივილეგირებული“ მოსწავლეები/რომლებსაც ადრე არ განუცდიათ ჩაგვრა) გავაცნოთ სცენა, რომელშიც ისინი არიან სიძულვილის სამიზნე. მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ, თანაგრძნობა გაუწიონ იმ ადამიანებს, რომლებსაც უსამართლოდ ექცევიან, მაგრამ ბევრი მათგანი თავად არასოდეს ყოფილა დისკრიმინაციის მსხვერპლი. სცენარი ცვლის პერსპექტივას. იმის გათვალისწინებით, რომ კლასები მრავალფეროვანია, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ, დიდი ალბათობით, მოსწავლეებმა, რომლებიც მიეკუთვნებიან არაპრივილეგირებულ ჯგუფებს, უკვე განიცადეს მსგავსი სიტუაციები და ეს ყველაფერი ყურადღებით, თანაგრძნობით, პატივისცემითა და დიდი სიფრთხილით უნდა განიხილონ. მოსწავლეები არასოდეს უნდა ვაიძულოთ, გაიზიარონ დისკრიმინაციის სიტუაციები, თუ ისინი თავს კომფორტულად არ გრძობენ. თუმცა უსაფრთხო გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეებს შეუძლიათ ამ სიტუაციების გაზიარება, შესანიშნავი გზაა არა მხოლოდ პატივისცემის სწავლებისთვის, არამედ პრაქტიკაში მისი გადატანისთვის.

იდენტობისა და პასუხისმგებლობის თემების შემდგომი შესასწავლად, მასწავლებლებს შეუძლიათ წაიკითხონ სონდრა პერლის *On Austrian Soil. Teaching those I was Taught to Hate* (2005), მოგონება, რომელიც წარმოაჩენს ოპტიმიზმს პედაგოგიკაში.

აქტივობების აღწერა:

ნაწილი I - იდენტობის კვლევა

1. მოსწავლეებს მოუწევთ, დაფიქრდნენ საკუთარ იდენტობაზე და დაადგინონ თავიანთი იდენტობის ძირითადი ასპექტები. მათი ამოცანაა, დახატონ ადამიანი (საკუთარი თავი) და მაისურზე დაანერონ ან გვერდით მიუწერონ თავიანთი იდენტობის ხუთი ძირითადი ასპექტი. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ თავისუფლება, აირჩიონ ის, რასაც თავად მიიჩნევენ თავიანთი იდენტობის მთავარ მდგენელებად. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია მოიყვანოს ამ მდგენელების მაგალითები, როგორცაა: გოგო, მეგობარი, უყვარს ცხოველები, უყვარს კითხვა, მუსიკოსი, სპორტსმენი, ბიჭი, პათიოსანი და ა.შ.
2. ინდივიდუალური რეფლექსიის შემდეგ მოსწავლეებს მოუწევთ თავიანთი ვინაობის გაზიარება ოთხკაციან ჯგუფებში. თითოეული მოსწავლე უნდა იყოს თავისუფალი, გაიხსნას იმდენად, რამდენადაც ეს მისთვის კომფორტული იქნება.
3. მასწავლებელი სთხოვს რამდენიმე მოხალისეს (4-5 მოსწავლეს), გაუზიარონ თავიანთი იდენტობა მთელ კლასს. როდესაც მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს, მასწავლებელი წერს (ან იმახსოვრებს) სხვადასხვა მდგენელს: სქესი, ოჯახური ურთიერთობები, ეთნიკური წარმომავლობა, ჰობი, პიროვნული თვისებები. ასევე, სხვა ისეთ კატეგორიებს, როგორცაა რელიგია, ორიენტაცია, პოლიტიკური კუთვნილება და ა.შ.
4. მასწავლებელი წარმოადგენს მოკლე რეფლექსიას შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით:
 - ა. როგორ ფიქრობთ, იდენტობა ფიქსირებული ფენომენია თუ რაღაც ისეთი, რაც დროთა განმავლობაში იცვლება?
 - ბ. ჩვენ თვითონ განვსაზღვრავთ ჩვენს იდენტობას თუ სხვა გვირჩევს მას?
5. მასწავლებელი სთხოვს თითოეულ მოსწავლეს, გადახედოს თავის მიერ შექმნილ სიას და შეეცადოს, დააღაგოს იდენტობის ასპექტები მნიშვნელობის მიხედვით. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წარმოიდგინონ ისეთ სცენარი, სადაც:

- მეგობარი იტყვის, რომ მოსწავლე არასწორია (რასაც არ უნდა აყენებდეს მოსწავლე თავისი შედგენილი სიის სათავეში) :
 - i. როგორ იგრძნობდი თავს?
 - ii. როგორი რეაქცია გექნებათ?
 - iii. აქვს თუ არა მეგობარს ამის თქმის უფლება?
 - სკოლის პოზიციას, რომ მოსწავლე არასწორია (რასაც არ უნდა აყენებდეს მოსწავლე თავისი შედგენილი სიის სათავეში):
 - i. როგორ იგრძნობდი თავს?
 - ii. როგორი რეაქცია გექნებათ?
 - iii. აქვს თუ არა სკოლას ამის თქმის უფლება?
 - მიიღეს ახალი კანონი, სადაც ნათქვამია, რომ მოსწავლეთა ასეთი იდენტობა არასწორია (რასაც არ უნდა აყენებდნენ მოსწავლეები თავიანთი შედგენილი სიის სათავეში):
 - i. რას იგრძნობდნენ ისინი?
 - ii. როგორ რეაქცია ექნებოდათ?
 - iii. აქვს თუ არა ხელისუფლებას ასეთი კანონის მიღების უფლება?
- 6.** მასწავლებელი განუმარტავს (ან შეახსენებს) მოსწავლეებს, რომ ჰოლოკოსტის დროს ებრაელი ხალხის იდენტობა მხოლოდ ერთ ასპექტზე დაიყვანეს - არ ჰქონდა მნიშვნელობა, ისინი ქალები იყვნენ, ბავშვები, მასწავლებლები, სტუდენტები, წიგნის მოყვარულები (აქ მასწავლებელმა უნდა ჩართოს მოსწავლეების მიერ ნახსენები იდენტობის ასპექტები), ან/და არ ჰქონდა მნიშვნელობა, ისინი რელიგიურები იყვნენ თუ არა, ჰქონდათ თუ არა პოლიტიკური კუთვნილება; არ ჰქონდა მნიშვნელობა, ებრაელი მათი ოჯახური სიის სათავეში იყო თუ ბოლოში. მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ იმას, რომ ნაცისტებმა და მათმა თანამზრახველებმა ისინი ებრაელებად ამოიცნეს და ამ ერთი ასპექტიდან გამომდინარე სდევნიდნენ და ხოცავდნენ. ნაცისტები და მათი თანამზრახველები ასევე სდევნიდნენ და ხოცავდნენ ბოშებს, იეღოვას მოწმეებს, გეებს და სხვა უმცირესობის ჯგუფების წარმომადგენლებს, მათი იდენტობის ერთი ასპექტის საფუძველზე, რომელიც დამნაშავეებმა „პრობლემურად“ მიიჩნიეს.
- 7.** მასწავლებელი მოსწავლეებს რთავს რეფლექსიის პროცესში შემდეგი კითხვების საშუალებით:
- ა. როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდნენ ებრაელები, როდესაც მათ სთხოვეს, რომ ტანსაცმელზე დაეკრათ დავითის ვარსკვლავი?
 - ბ. როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდნენ ბავშვები, როცა მათ სკოლაში სიარული აეკრძალათ?
 - გ. როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდნენ მათი მშობლები, როდესაც მათ აეკრძალათ თავიანთი პროფესიის მიხედვით მუშაობა?
 - დ. ჰქონდათ თუ არა ნაცისტებსა და მათ თანამზრახველებს ასეთი კანონების მიღების უფლება? რატომ?
- 8.** მასწავლებელი განმარტავს, რომ ნაცისტებისა და მათი თანამზრახველების ქმედებები იყო კანონიერი, იმ გაგებით, რომ მათ შეეცალეს კანონმდებლობა თავიანთი ქმედებების

მხარდასაჭერად. ადამიანის უფლებათა თანამედროვე დეკლარაცია კრძალავს ასეთი კანონმდებლობის მიღებას. მაგალითად, UDHR-ის მე-2 მუხლში ნათქვამია: ყველას აქვს მინიჭებული უფლება და თავისუფლება, რომელიც მითითებულია ამ დეკლარაციაში, მიუხედავად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური კუთვნილების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, დაბადების ადგილის ან სხვა სტატუსისა.

- 9.** მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა აუხსნას მოსწავლეებს, რომ ამ სავარჯიშოს მიზანი არ იყო, მათ ეგრძნოთ ის, რასაც ებრაელები გრძნობდნენ ჰოლოკოსტის დროს, რადგან ამის განცდა შეუძლებელია. შეიძლება სცადოთ, წარმოიდგინოთ, რა განიცადეს ადამიანებმა და შეიტყოთ პირადი გამოცდილების შესახებ დღიურებიდან ან ჩვენებებიდან, მაგრამ რასაც ვგრძნობთ წარმოსახვისას, ვერ შეედრება იმას, რასაც ადამიანები გრძნობდნენ რეალურ სიტუაციაში. მიუხედავად ამისა, ასეთი წარმოდგენები დაგვეხმარება ემპათიის გაღვივებაში. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია გადაამოწმოს მოსწავლეებთან, ესმით თუ არა მათ ემპათიის მნიშვნელობა.
- 10.** მასწავლებელი განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კანონმდებლობა ევროპაში დისკრიმინაციისგან ადამიანების დასაცავად, სინამდვილეში ყველას არ შეუძლია სრულად ისარგებლოს ადამიანის უფლებებით განსაზღვრული უფლებებითა და სიკეთებით. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაუზიარონ, იციან თუ არა რომელიმე ჯგუფის შესახებ, რომელიც დღესაც დისკრიმინირებულია მათი იდენტობის რომელიმე ასპექტიდან გამომდინარე.
- 11.** მოსწავლეებს ევალუბათ, მომდევნო შეხვედრამდე გამოიკვლიონ სტერეოტიპების მნიშვნელობა.

II ნაწილი - სტერეოტიპების დეკონსტრუქცია

- 12.** მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს პირველ სცენარს დანართი 1-დან და სთხოვს, იმუშაონ 4 კაციან ჯგუფებში და უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს:
- ა.** სცენარში აღწერილი სამყარო კარგია თუ ცუდი? რატომ?
 - ბ.** რატომ სძულს ყველას ამ სცენარში ადამიანების ეს კონკრეტული ჯგუფი?
 - გ.** თუ თქვენ თავს წარმოიდგენთ სიუჟეტში ნახსენები ჯგუფის წევრად/მხარდამჭერად, როგორ იგრძნობთ თავს?
 - დ.** თუ არ გააიგივებთ საკუთარ თავს სიუჟეტში ნახსენებ ჯგუფთან, რას იგრძნობთ ამ დროს?
 - ე.** გინახავთ თუ არა რეალურ ცხოვრებაში, მსგავსი შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია თქვენი საზოგადოების სხვა ჯგუფთან?
 - ვ.** იყო თუ არა ის დაკავშირებული ჯგუფთან, რომელთანაც თქვენ აიგივებთ თავს? თუ კი, რას გრძნობდით? თუ არა, როგორ ფიქრობთ, რას გრძნობენ ამ ჯგუფში შემავალი ადამიანები, როდესაც ისმენენ/კითხულობენ ასეთ რაღაცებს? ოდესმე გიკითხავთ ვინმესთვის ამ ჯგუფიდან, რას გრძნობდა ის ამის შესახებ?
- 13.** მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ისინი აპირებენ მსჯელობას სტერეოტიპების შესახებ და სთხოვს მათ, გაუზიარონ, რაც იციან სტერეოტიპების შესახებ და როგორ განმარტავდნენ სტერეოტიპებს. იდეები გროვდება დაფაზე ან გაზიარებულ დოკუმენტში.
- 14.** მასწავლებელი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სტერეოტიპები არის გადაჭარბებული განზოგადება და გადაჭარბებული გამარტივება, რომელიც აკუთვნებს ერთ მახასიათებელს (ჩვეულებრივ, უარყოფითს) ადამიანთა მთელ ჯგუფს: თუ ვინმე ეკუთვნის (ან აღიქმება, რომ მიეკუთვნება) გარკვეულ ჯგუფს, ამ ადამიანს “უნდა” ჰქონდეს ეს თვისება.
- 15.** მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, იციან თუ არა რაიმე სტერეოტიპის შესახებ, რომელსაც ნაცისტები იყენებდნენ ებრაელების იდენტიფიცირებისთვის. თუ მოსწავლეებს არ აქვთ წინასწარი ისტორიული ცოდნა ამ თემაზე, მასწავლებელს შეუძლია გაუზიაროს სტერეოტიპების რამდენიმე მაგალითი და განმარტოს, რომ ისინი იცვლებოდა ფიზიკურ ასპექტებთან დაკავშირებული ატრიბუტებიდან პოლიტიკურ კუთვნილებამდე (კომუნისტები). ან ისეთი ასპექტებით, როგორიცაა სიხარბე ან მსოფლიო ბატონობა და ა.შ.
- 16.** მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დანართი 2-ის ასლს და სთხოვს, წაიკითხონ იგი. ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ ოთხკაციან ჯგუფში, რათა დაფიქრდნენ იმაზე, თუ რას გულისხმობდა რომან კენტი, როდესაც თქვა: „რა თქმა უნდა, სიტყვა არ არის იარაღი. სიტყვები ერთბაშად არ გკლავს, მაგრამ მათ შეუძლიათ შექმნან პირობები, როდესაც ადამიანები დაკარგავენ შეზღუდვებს საშინელებათა საკეთებლად“.
- 17.** ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს და გაიმართება ზოგადი დისკუსია შემდეგი კითხვების გამოყენებით:
- ა.** როგორ გრძნობს თავს სტერეოტიპების მსხვერპლი ადამიანი?
 - ბ.** რატომ არის სტერეოტიპები საშიში?
 - გ.** ვინ სარგებლობს სტერეოტიპებით?

III ნაწილი - ქმედება

- 18.** მასწავლებელი მოხალისე მოსწავლეს სთხოვს, წაიკითხოს დანართი 1-ში მოცემული მეორე სცენარი და კლასს სთავაზობს, განიხილონ განსხვავება პირველ სცენარსა (რომელიც შეიძლება ხელახლა წარმოადგინონ, საჭიროების შემთხვევაში) და მეორე სცენარს შორის.
- 19.** მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, იმუშაონ ოთხკაციან ჯგუფებში და იფიქრონ კონკრეტულ ქმედებებზე, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს რეალურად, იმისათვის რომ შეცვალონ რეალობა ისე, რომ ის უფრო დაემსგავსოს მეორე სცენარს. მათი ამოცანაა, იფიქრონ ისეთ კონკრეტულ ქმედებებზე, რომელთა განხორციელებასაც თავად მოზარდები შეძლებენ თავიანთ ცხოვრებაში, შეძლებს სკოლა, საჯარო დაწესებულებები, მედია/სოციალური მედია, სამოქალაქო საზოგადოება, ბიზნესსექტორი და ა.შ. არსებული სტერეოტიპების გამოწვევის მოსაგვარებლად და მეტი სამოქალაქო ჩართულობის ხელშესაწყობად.
- 20.** თითოეული ჯგუფი კლასის წინაშე წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებებს და იმართება დისკუსია შემდეგი კითხვების გამოყენებით:
- ა.** სტერეოტიპების დასანგრევად იდეების მოფიქრება ადვილი იყო თუ რთული?
 - ბ.** როგორ ფიქრობთ, ვინ ავრცელებს სტერეოტიპებს ჩვენს საზოგადოებაში?
 - გ.** გაქვთ სტერეოტიპები?
 - დ.** რა შეგიძლიათ გააკეთოთ საკუთარი სტერეოტიპების დასაძლევად?

მასწავლებელს შეუძლია, შეახსენოს მოსწავლეებს, რომ ყველას აქვს სტერეოტიპები, რადგან ისინი გადმოგვცეს ჩვენმა მშობლებმა, მასწავლებლებმა, მასმედია, წიგნებმა და ხელოვნებამ. ჩვენი ბრალი არ არის, რომ გვაქვს სტერეოტიპები, მაგრამ ჩვენი პასუხისმგებლობაა მათი იდენტიფიცირება, რათა შევწყვიტოთ მათი რწმენა და შევწყვიტოთ მათი განმტკიცება.

შემდგომი ნაბიჯები:

- ამ აქტივობების სერიის დასასრულს, მოსწავლეებს შეუძლიათ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან და თემთან მოაწყონ კამპანია, სტერეოტიპებისა და პროპაგანდის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- მოსწავლეებს შეუძლიათ გაიარონ ერთი ტესტი, რომელიც ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე აქ: <https://implicit.harvard.edu/implicit/selectatest.html>
- მოსწავლეებს შეუძლიათ უყურონ TED Talk: The Danger of a Single Story, Chimamanda Ngozi Adichie, ხელმისაწვდომია სუბტიტრებით სხვადასხვა ენაზე.

დანართი 1

სცენარი 1

დღეს დილით ადრე გაიღვიძე, ტელევიზორი ჩართე, ახალ ამბებში იუწყებოდნენ, რომ სამკაცნიანმა ჯგუფმა (ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა) გაძარცვა ტურისტები ქალაქის მთავარ მოედანზე. თქვენ სოციალურ მედიაში უნდა გადახედოთ კომენტარებს ძარცვასთან დაკავშირებით. ხალხი ამბობს, რომ ეს ხალხი ყოველთვის მხოლოდ უბედურებას ქმნიდა და ისინი ევროპიდან სადმე სხვა კონტინენტზე, რაც შეიძლება შორს უნდა გააგზავნონ. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გესმით მსგავსი რამ და იცით, რომ ეს არ იქნება ბოლო.

სახლიდან გადიხარ და სკოლისკენ მიმავალ გზაზე გვერდს უვლი გრაფიტს, რომელსაც ბოლო ერთი თვის მანძილზე ყოველდღე ხედავ და რომელიც ამბობს: დაიცავი თავი სიბინძურისგან (იგულისხმება ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც სიუჟეტში ნახსენები მძარცველები ეკუთვნიან). სკოლაში რომ შედიხარ, გესმის, თუ როგორ დასცინიან მოსწავლეებს, რომლებიც წარმომადგენენ იმავე ეთნიკურ ჯგუფს, რომელსაც მძარცველთა ჯგუფის წევრები, და ეძახიან ბარმაცებს, არაფრისმაქნისებს და სხვა დამამცირებელ სახელებს.

სცენარი 2

დღეს დილით ადრე გაიღვიძე, ტელევიზორი ჩართე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მთავარ მოედანზე სამკაცნიანმა ჯგუფმა ტურისტი გაძარცვა. თქვენ შეხვედით სოციალურ მედიაში და ხედავთ კომენტარებს ძარცვასთან დაკავშირებით. ხალხი ამბობს, რომ ჩვენი ქალაქი უფრო უსაფრთხო უნდა გავხადოთ – გვთავაზობენ ქუჩების უკეთ განათებას ღამით, პოლიციის უფრო აქტიურად პატრულირებას ქუჩებში, უკეთეს განათლებასა და მეტ სამუშაოს, განსაკუთრებით, მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის.

სახლიდან გადიხარ და სკოლისკენ მიმავალი გრაფიტს გვერდს უვლი, რომელსაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე ხედავ, სადაც ნათქვამია: ადამიანის უფლებები ყველასათვის. სკოლაში შესვლისას, თანატოლების ჯგუფს ხედავ და პირდაპირ მათკენ მიდიხარ. ისინი საუბრობენ სამეზობლოში უსახლკაროების დახმარების პროექტზე, რომელშიც თქვენ ყველა მონაწილეობდით სამოქალაქო განათლების გაკვეთილის ფარგლებში.

დანართი 2

სიტყვებიდან გენოციდამდე, რომან კენტი ⁴

„დაწყვეტილი ებრაელო“ იყო პირველი სიძულვილით სავსე სიტყვები, რომლებიც მისივე ასაკის ბავშვებმა რომან კენტს მიაძახეს და ქვებიც დაუშინეს მაშინ, როცა ის სკოლისკენ მიდიოდა ლოძში, პოლონეთი.

„ეს იყო ძალიან გავრცელებული გამოთქმა, რომელსაც იმ დროს ბევრი ადამიანი იყენებდა, ჩემთვის არაფერი იყო უჩვეულო, მაგრამ მისი გამოყენებისას ბავშვები მეუბნებოდნენ: „შენ ადამიანი არ ხარ“. ამ სიტყვებით ისინი პირველ ნაბიჯს დგამდნენ ჩემი დეჰუმანიზაციისკენ (...). როგორც კი ეს მიიღწევა და თქვენ ისე დააკნინებთ პიროვნებას, რომ აღარ მიიჩნევთ ადამიანად, შეგიძლიათ გაუკეთოთ მას ისეთი რამ, რასაც ცხოველსაც არ გაუკეთებდით.

„კონფლიქტების უმეტესობა იწყება სიტყვებით და, ჰოლოკოსტის კონტექსტში, სიტყვები, რომლებსაც იყენებდნენ პროპაგანდისტები, როგორც იყო გებელსი, ახდენდა დიდ გავლენას ხალხის ფართო მასებზე. ომის დროს ნაცისტებმა ნათლად განაცხადეს, რომ ისინი არ თვლიდნენ პოლონელებს ან სხვა სლავებს ადამიანებად და ისინი ებრაელებისგან მხოლოდ ერთი საფეხურით მაღლა იდგნენ.

„რა თქმა უნდა, სიტყვა არ არის იარაღი. სიტყვები ერთბაშად არ გკლავს, მაგრამ მათ შეუძლიათ შექმნან პირობები, სადაც ადამიანები დაკარგავენ საშინელებათა კეთებაზე შეზღუდვას. ხალხი გულუბრყვილოა, მათ უნდათ, რომ სჯეროდეთ რაღაცის, რაც, როგორც ჩანს, მათთვის სასარგებლოა. საბოლოო ჯამში, სიტყვებს შეუძლია უფრო დიდი ზიანი მოგვაცენოს, ვიდრე ტყვიამ.“

„ეს იყო გულგრილობა და ხალხის დუმილი, რამაც გამოიწვია ჰოლოკოსტი. ხალხს ვეტყვოდი, არ დანებდეთ, რაღაც თქვით და იმოქმედეთ. სიტყვების გამოყენება სასიკეთოდაც შეიძლება“.

⁴ ამონარიდი რომან კენტის გამოსვლიდან UNESCO-ს ჰოლოკოსტის ხსოვნის დღეზე, 2016 წლის 27 იანვარს, მოცემულია შემდეგ ბმულზე: <https://www.unesco.org/en/articles/holocaust-survivor-roman-kent-speaks-out-dangerous-power-words>.

ანტისემიტიზმი - მაშინ და ახლა

მიმოხილვა:

ეს აქტივობა მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ანტისემიტიზმის მოკლე ისტორიის, შუა საუკუნეების ანტისემიტური რწმენის, მე-19 და მე-20 საუკუნეების გამოჩენილი ადამიანების მიერ გამოხატული ანტისემიტიზმის, ნაცისტური პროპაგანდისა და დღევანდელი გამოვლინებების შესახებ. აქტივობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს, რათა მათ გააცნობიერონ, თუ როგორ ჩამოყალიბდა და გაძლიერდა ანტისემიტური სტერეოტიპები და თუ როგორ შეიძლება მათთან ბრძოლა.

მიმართულია დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებზე:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება
- კულტურული მრავალფეროვნების დაფასება
- დემოკრატიის, სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება
- პატივისცემა
- მოქალაქეობრივი აზროვნება
- პასუხისმგებლობა
- თავდაჯერებულობა
- გაურკვევლობის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება
- დამოუკიდებლად სწავლის უნარები
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი
- ემპათია
- თანამშრომლობის უნარი
- მსოფლიოს ცოდნა და კრიტიკული გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: დანართები 1 და 2

ხანგრძლივობა: 3 საათი

რჩევები მასწავლებლებისთვის:

ანტისემიტიზმზე საუბრისას, მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ, რომ მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ სტერეოტიპების მნიშვნელობა, გავლენა და არ უნდა დატოვონ კლასი უფრო მეტი სტერეოტიპით, ვიდრე მანამდე ჰქონდათ. დანართ 1-ში მოყვანილ მაგალითებში ყურადღება არის გამახვილებული გარკვეულ მოვლენებსა და გამოცდილებებზე, რამაც გამოიწვია სტერეოტიპების შექმნა და განმტკიცება. მიუხედავად ამისა, ისინი ისეა ახსნილი, რომ ეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ, თუ როგორ იყვნენ ისინი შექმნილნი გარკვეული მიზეზების მისაღწევად და საერთო არაფერი ჰქონდათ ებრაელი ხალხის რეალურ რწმენასთან ან ცხოვრების წესთან. მიზანშეწონილია, მოიძიოთ რამდენიმე ისტორიული მტკიცებულება, რათა ცხადი გახდეს, რომ ანტისემიტიზმი ემყარება ებრაელებსა და იუდაიზმზე ნეგატიურ სტერეოტიპულ შეხედულებებს, რომლებიც არ არის გამყარებული ისტორიული მტკიცებულებებით. სავსებით შესაძლებელია, რომ მოსწავლეებს უკვე ჰქონდეთ გარკვეული სტერეოტიპები, ცრურწმენები და ისტორიები, რომლებიც გადმოცემულია

მათი ოჯახის, მედიის ან სხვა წყაროების მიერ. შესაძლოა სასარგებლო იყოს ექსპერტის მოწვევა, რომელსაც შეუძლია წარმოადგინოს ანტისემიტობის ისტორია და/ან ებრაელი ხალხის ისტორია ევროპაში და უპასუხოს მოსწავლეების შეკითხვებს.

ანტისემიტურ საკითხზე პუბლიკაციებმა შეიძლება აჩვენოს მოსწავლეებს, რომ სხვადასხვა ფენისა და პროფესიის ადამიანები თავს არ გრძნობდნენ დამნაშავედ ანტისემიტობის ასეთი სასტიკი წარატივების გამოქვეყნებისთვის.

ანტისემიტობაზე ან სხვა სახის სიძულვილზე, რასიზმსა და დეჰუმანიზაციაზე ორიენტირებული აქტივობების ჩატარებისას, მნიშვნელოვანია, მასწავლებლები დაეხმარონ მოსწავლეებს, გააცნობიერონ, რომ ადამიანებს, რომლებიც მიეკუთვნებიან დისკრიმინირებულ ჯგუფებს, აქვთ ღირსება და უფლებები. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისინი არიან ადამიანები, რომლებიც იმსახურებენ პატივისცემას და არა სიბრაულს.

ამ აქტივობამ შესაძლებელია ბავშვები დეპრესიაში ჩააგდოს, როდესაც გაიგებენ თავიანთი წინაპრების არაადამიანურ ქცევას, მათ სასტიკ სიძულვილს და სხვა ადამიანების დახოცვისთვის მზადყოფნასაც კი. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლეთა ემოციურ მდგრაობაზე მინიშნებებს. ეს აქტივობა მთავრდება მოქმედებისკენ მოწოდებით, რაც შეიძლება დაეხმაროს მოსწავლეებს, თავიანთი იმედგაცრუება ან გაბრაზება პოზიტიურ დამოკიდებულებასა და ქცევაში გადაიტანონ.

მასწავლებლებს შესაძლოა გამოადგეს OSCE-ს სასწავლო ინსტრუმენტები ანტისემიტობის წინააღმდეგ განათლებისთვის. ისინი ხელმისაწვდომია რამდენიმე ენაზე შემდეგ მისამართზე: <https://www.osce.org/odihr/441146>

აქტივობების აღწერა:

ნაწილი I

1. მასწავლებელი ყოფს კლასს ოთხ ჯგუფად. თითოეული ჯგუფი იღებს მასალას დანართ 1-ში აღწერილი ერთ-ერთი მოვლენის შესახებ. მოსწავლეებს სთხოვს, წაიკითხონ მასალა და განიხილონ შემდეგი ასპექტები:

- ა. რა ბრალდებები წაუყენეს ებრაელებს ამ სიტუაციაში?
- ბ. რატომ წაუყენეს ეს ბრალდებები?
- გ. რა შედეგები მოჰყვა ასეთი ბრალდებების წაყენებას?
- დ. რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო სხვანაირად?

2. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს შესწავლილ მასალაზე საკუთარ რეფლექსიას. შემდეგ იმართება დისკუსია მთელ კლასთან შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით:

- ა. იყო თუ არა ისეთი რამ, რამაც გაგაკვირვათ შესასწავლი მასალის ან თანატოლების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებში? რატომ?
- ბ. იცოდით ზოგიერთი ამ მოვლენის/რწმენის შესახებ?
- გ. როგორ შეუწყო ხელი ამ მოვლენებმა/რწმენებმა სტერეოტიპების გავრცელებასა და ანტისემიტობის ზრდას?
- დ. აღიქმებოდნენ თუ არა ებრაელები სხვა ევროპელებთან თანაბარი ღირსების მქონე ადამიანებად? რატომ?

3. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, იცნობენ თუ არა ტერმინს „განტევების ვაცი“. თუ მოსწავლეებმა არ იციან ეს ტერმინი, მასწავლებელს შეუძლია ახსნას, რომ ის გულისხმობს სხვების დადანაშაულებას იმაში, რასთანაც არანაირი კავშირი არა აქვს დამნაშავედ მიჩნეულ პირს.
4. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს ტერმინს ანტისემიტიზმს (მისი უმარტივესი განმარტებით: ებრაელთა სიძულვილი⁵) და იმ ფაქტს, რომ იგი მრავალი ფორმით იყო გამოხატული ისტორიის მანძილზე.

ნაწილი II

5. თითოეული მოსწავლე ეცნობა დანართი 2-ის ასლს. მას შემდეგ, რაც რამდენიმე წუთს დაუთმობენ მასალას, მასწავლებლის ფასილიტაციით, მოსწავლეები ამზადებენ რეფლექსიას შემდეგი კითხვების საფუძველზე:

- ა. იყო თუ არა რამე გასაკვირი იმაში, რაც წაიკითხე?
- ბ. როგორ ფიქრობთ, რატომ გამოხატა ამ ხალხმა ასეთი ანტისემიტური შეხედულებები?
- გ. როგორ ფიქრობთ, მათი შეხედულებები იყო გამონაკლისი თუ ნორმა? აქ მასწავლებელს შეუძლია მოიყვანოს სხვა ინტელექტუალების ან გამოჩენილი ადამიანების მაგალითები, რომლებმაც მსგავსი შეხედულებები გამოთქვეს.
- დ. როგორ ფიქრობთ, ჰქონდათ თუ არა საწინააღმდეგო რეაქცია სხვა გამოჩენილ ადამიანებს თუ ინტელექტუალებს მსგავს შეხედულებებზე? მასწავლებელს შეუძლია, გაუზიაროს მოსწავლეებს, რომ ვაგნერის შემთხვევაში მხოლოდ ერთი საჩივარი მიიღო ჟურნალის რედაქტორმა. პაულესკუს საქმეზე საზოგადოების რეაქცია არ არის ცნობილი. ფორდის შემთხვევაში, ბევრმა ადამიანმა გამოხატა შეხედულებები მისი მოსაზრებების წინააღმდეგ. მეტიც, სან-ფრანცისკოელმა ადვოკატმა და ებრაული კომპანიის ხელმძღვანელმა, აარონ საპირომ ცილისწამებისთვის სარჩელიც კი შეიტანა სასამართლოში. ამის საფუძველზე, 1927 წელს ფორდმა შეწყვიტა ნაშრომის გამოცემა. 1947 წელს, ფორდის გარდაცვალების შემდეგ, ფორდის ოჯახმა და Ford Motor Company-მ დააფინანსა ბევრი სოციალური პროექტი, რომელიც გულისხმობდა ებრაელი ხალხის მხარდაჭერას.
- ე. როგორ ფიქრობთ, რატომ არ იყო იმ დროს საკმარისი საპროტესტო მუხტი ანტისემიტური შეხედულებების წინააღმდეგ? აქ მასწავლებელს შეუძლია, მეტი ინფორმაცია მიანდოს მოსწავლეებს, თუ მათ არ აქვთ საკმარისი ისტორიული ცოდნა.

6. ნაცისტებმა ანტისემიტიზმი - რომელიც უკვე არსებობდა საზოგადოებაში - სრულიად ახალ დონეზე აიყვანეს. მათ შექმნეს ე.წ. საზოგადოებრივი განათლებისა და პროპაგანდის სამინისტრო, რომლის მიზანი იყო ნაცისტური გზავნილის რაც შეიძლება ფართოდ გავრცელება ხელოვნების, მუსიკის, თეატრის, ფილმების, წიგნების, რადიოს, საგანმანათლებლო მასალებისა და პრესის საშუალებით. მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს სტატიები Der Stürmer-დან ან ნაწყვეტები გებელსის გამოსვლებიდან. როდესაც მოსწავლეები გააანალიზებენ პროპაგანდისტულ მასალებს, მათ შეუძლიათ, ყურადღება გაამახვილონ სამ ასპექტზე:

- (1) ადამიანის ღირსების პატივისცემა - უფრო კონკრეტულად, როგორ იყო ის დაკნინებული პროპაგანდისტულ მასალებში;

⁵ IHRA 2016 უფრო სრულყოფილი დეფინიცია მიღებულია 30 ქვეყნის მიერ: <https://www.holocaustremembrance.com/resources/working-definitions-charters/working-definition-antisemitism>.

- (2) განტევების ვაცი – როგორ გამოიყენებოდა პროპაგანდა ებრაელების დასადასაშაულებლად გერმანული საზოგადოების ყველა უბედურებაში, განსაკუთრებით, გერმანიისა და მისი მოკავშირეების მიერ პირველ მსოფლიო ომში განცდილი ნგრევისა და მარცხისთვის და იმ ეკონომიკური კრიზისისთვის, რომელშიც გერმანია აღმოჩნდა;
- (3) როგორ გამოიყენა პროპაგანდამ არსებული სტერეოტიპები, როგორიცაა სისხლის განსაკუთრებულობა, ფინანსური კონტროლი და ა.შ. მოსწავლეებს შეუძლიათ, ჯგუფურად იმუშაონ პროპაგანდისტული მასალის გასაანალიზებლად კლასში ან საშინაო დავალების სახით.

III ნაწილი

- 7.** მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ რეფლექსიას შესწავლილ პროპაგანდისტულ მასალებთან დაკავშირებით და იმართება ჯგუფური დისკუსია შემდეგი კითხვების გამოყენებით:
 - ა.** როგორ ფიქრობთ, რატომ წამოიწიეს ნაცისტებმა ამხელა პროპაგანდისტული კამპანია და მეტიც, შექმნეს სამინისტრო ამავე სახელწოდებით?
 - ბ.** რა შედეგები მოაქვს პროპაგანდას?
 - გ.** როგორ ფიქრობთ, დღესაც აქვს ადგილი პროპაგანდას ჩვენს საზოგადოებებში?
 - დ.** დღესდღეობით გაგიგიათ თუ არა ანტისემიტური პროპაგანდის შესახებ?
 - ე.** გსმენიათ რაიმე სტერეოტიპული შეხედულება ებრაელებზე თქვენი ოჯახისგან, მეგობრებისგან თუ სხვა ადამიანებისგან?
- 8.** მასწავლებელი ან მოხალისე მოსწავლე წერს დაფაზე ან გააზიარებს დოკუმენტს ანტისემიტური პროპაგანდის მაგალითების შესახებ ანმეოში, ასევე, ჩამოწერენ სტერეოტიპებს ებრაელების შესახებ. ამის შემდგომ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, შეუძლიათ თუ არა მათ სტერეოტიპების დეკონსტრუქცია წინა გაკვეთილებზე ნასწავლის საფუძველზე (ეს აქტივობა უფრო ეფექტიანია, თუ მოსწავლეები ასევე ჩართული იყვნენ ადამიანის ღირსების, იდენტობის და სტერეოტიპების შესახებ ზემოთ შემოთავაზებულ აქტივობებში). სტერეოტიპის იდენტიფიცირების მარტივი გზაა იმის შემოწმება, გამოიყენება თუ არა განზოგადებები, როგორიცაა: ყველა ებრაელი... საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია, შეახსენოს მოსწავლეებს სტერეოტიპების განმარტება.
- 9.** მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, იციან თუ არა ანტისემიტისმის დღევანდელი გამოვლინებები. თუ მასწავლებელი თვლის, რომ მოსწავლეებმა არ იციან ასეთი ინციდენტების შესახებ, მას შეუძლია, მოამზადოს მასალა ქვეყანაში მომხდარი ბოლოდროინდელი ფაქტების შესახებ, როგორებიცაა: სასაფლაოების შეურაცხყოფა, ებრაულ დაწესებულებებზე ან სხვა საჯარო სივრცეში დახატული სვასტიკები, მუქარის შეტყობინებები ებრაელების მისამართით, ნეო-ნაცისტური მიტინგები, ჰოლოკოსტის უარყოფა და ფაქტების შეგნებული დამახინჯება, დამამცირებელი გზავნილები და ვიდეოები, თავდასხმები სინაგოგებზე და ა.შ.
- 10.** მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, რათა განიხილონ ანტისემიტისმის წინააღმდეგ ბრძოლის გზები. ამ ეტაპზე მასწავლებელს შეუძლია გაუზიაროს მოსწავლეებს, რომ ნაცისტური რადიო ყველაზე ეფექტური იყო ისეთ ადგილებში, სადაც ანტისემიტისმი ისტორიულად მაღალ დონეზე

იყო, მაგრამ უარყოფითი გავლენა იქონია ისტორიულად დაბალი ანტისემიტური განწყობების მქონე ადგილებში.

11. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს მუშაობის შედეგებს და შემდეგ მასწავლებელი წარმართავს შემაჯამებელ დისკუსიას, შემდეგი კითხვების დახმარებით:

- ა.** რამდენად რთული იყო ანტისემიტობითან ბრძოლის იდეების შემუშავება?
- ბ.** როგორ ფიქრობთ, რომელიმე კონკრეტული გზა უფრო ეფექტურია, ვიდრე სხვები?
- გ.** რა შეგვიძლია ვისწავლოთ იმ ფაქტიდან, რომ ნაცისტური რადიო ყველაზე ეფექტური იყო ისეთ ადგილებში, სადაც ანტისემიტობა იყო ისტორიულად მაღალი, მაგრამ უარყოფითი გავლენა იქონია ისტორიულად დაბალი ანტისემიტური განწყობების მქონე ადგილებში?
- დ.** არის თუ არა რამე, რისი გაკეთებაც თქვენ პირადად შეგიძლიათ ანტისემიტობითან საბრძოლველად?
- ე.** არის თუ არა რამე, რისი ჯგუფურად გაკეთებაც შეგიძლიათ ანტისემიტობითან საბრძოლველად?

შემდგომი ნაბიჯები:

- მოსწავლეებს შეუძლიათ, წამოიწყონ ცნობიერების ამაღლების კამპანია ანტისემიტობითან საბრძოლველად, კონკრეტულად მათ ქალაქში/რეგიონში არსებულ ინციდენტებთან დაკავშირებით.
- მოსწავლეებს შეუძლიათ წერილით მიმართონ თავიანთი ქალაქის საჯარო დაწესებულებებს, რათა სთხოვონ, მიიღონ ზომები ანტისემიტური ინციდენტების თავიდან ასაცილებლად.
- მოსწავლეებს შეუძლიათ, ჩაერთონ პროექტში, რომელიც ორიენტირებულია შეთქმულების თეორიების გაბათილებაზე: თუ როგორ დავეხმაროთ ჩვენი ოჯახის წევრებსა და სხვა მოქალაქეებს მათ ამოცნობაში, რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ ნაკლებად გავრცელდეს.

დანართი 1

1. ღვთისმკვლელობა

ათასწლეულების განმავლობაში ბევრს სჯეროდა (ზოგიერთს ახლაც სჯერა), რომ ებრაელებმა მოკლეს იესო ქრისტე. ისტორიკოსთა უმეტესობის აზრით, რომაელები არიან დამნაშავენი იესოს მკვლელობაში. იესოს სიკვდილის დროს ისრაელი რომაელების სასტიკი ოკუპაციას ქვეშ იყო. იესოს ზოგიერთმა მიმდევარმა “იუდეველთა მეფე” უწოდა. ეს იყო საკმარისი მიზეზი, რომ რომაელებს სურდათ მისი თავიდან მოცილება. მეორე მხრივ, ებრაული თემი შედგებოდა სხვადასხვა ტომისაგან - ფარისევლები, სადუკეველები და სხვები - მაგრამ ამ ტომებს შორის მრავალი უთანხმოების მიუხედავად, არც ერთი ჯგუფი არ მონაწილეობდა სხვა ტომის ლიდერის სიკვდილით დასჯაში.

1946 წელს, კათოლიკურმა ეკლესიამ, პაპ პავლე VI-ის მეთაურობით, საბოლოოდ გააუქმა ებრაელების მიერ ქრისტეს მოკვდინების ცნება თავის „დეკლარაციაში კათოლიკური ეკლესიის ურთიერთობის შესახებ არაქრისტიანულ რელიგიებთან“ (Nostra aetate), რომელიც გამოქვეყნდა ვატიკანის მეორე საბჭოს მიერ. მასში მკაფიოდ, ცალსახად არის ნათქვამი, რომ იესოს ჯვარცმა „არ შეიძლება დაჰბრალდეს ყველა ებრაელს“. ყურანი, ასევე, ცალსახად ამბობს, რომ ებრაელებმა არ მოკლეს იესო.

2. სისხლშენიშვნა

ეს ტერმინი ეხება ცრუ ბრალდებებს იმის შესახებ, რომ ებრაელები იყენებდნენ ქრისტიანი ან სხვა არაებრაელი ბავშვების სისხლს რიტუალური მიზნებისთვის. ისტორიულად, მსხვერპლშენიშვნა ხშირად ხდებოდა პასექის დღესასწაულთან დაკავშირებით, როდესაც ებრაელებს ბრალი ედებოდათ ქრისტიანი ბავშვების სისხლის გამოყენებაში მაცას (პურის სახეობა, რომელსაც, ჩვეულებრივ, პასექზე აცხობენ) მომზადებისას. სავარაუდოდ, ეს ბრალდება ასოცირდებოდა რწმენასთან, რომ ებრაელები იყვნენ პასუხისმგებელნი იესოს მკვლელობაზე. ამ ბრალდების მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა შუა საუკუნეებში. ევროპის სხვადასხვა კუთხეში, როდესაც ბავშვები გაუჩინარდებოდნენ გაურკვეველ სიტუაციებში, ებრაულ საზოგადოებას ადანაშაულებდნენ. ეს ბრალდება შერწყმული იყო ებრაელების მიერ მონაძვლის ბრალდებებთან მე-14 საუკუნის შუა ხანებში შავი ჭირის (ბუბონური ჭირის) დროს. მე-17 საუკუნისთვის სისხლის შეწირვასთან დაკავშირებული ბრალდებები სულ უფრო გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპაში და ხშირად იწვევდა პოგრომებს ან ანტიებრაულ არეულობას, ჰოლოკოსტის შემდეგაც კი. 1946 წელს ებრაულ საზოგადოებას ბრალი დასდეს არაებრაელი ბიჭის, ჰენრიკ ბლაშიჩის გატაცებაში, რომელმაც დატოვა სახლი მშობლების ინფორმირების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი სახლში ორი დღის შემდეგ დაბრუნდა, პოგრომი დაიწყო, რის შედეგადაც 42 ებრაელი დაიღუპა.

3. „უზური“/ მევახშეობა

შუა საუკუნეებში ებრაელებს ეკრძალებოდათ მიწის ფლობა ან რომელიმე გილდიის წევრობა. დიდწილად ამ ვითარების გამო, ზოგიერთი ებრაელი გახდა ფულის გამსესხებელი ან გადასახადებისა და ქირის ამკრეფები. ძველი აღთქმის რამდენიმე მონაკვეთი გმობს მევახშეობას, განსაკუთრებით, ნაკლებად მდიდარ პირებზე. ებრაულ საზოგადოებაში ამან შექმნა ფულის პროცენტით სესხის გაცემის წესი მხოლოდ არაებრაელებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია კრძალავდა ფულის გაცემას, ბევრი ქრისტიანი მისდევდა საბანკო საქმეს. მათ ეკლესიას დიდი თანხები მისცეს, რათა ცოდვები ა მისტევებოდათ. მეფეები და უფლისწულები ბევრ რამეში სარგებლობდნენ ფულის გაცემით, მათ შორის, ამ გარიგებებიდან გადასახადების მიღებით. როდესაც გლეხები სესხებს იღებდნენ ებრაელი ფულის გამსესხებლებისგან, მათ უნდა გადაეხადათ პროცენტი გამსესხებლისთვის და, ამავდროულად, გადაეხადათ გადასახადები ბატონისთვის. გლეხებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის ფულის

სესხება სჭირდებოდათ. მიუხედავად ამისა, ისინი ებრაელებს, რომლებიც მათ სესხს აძლევდნენ, ხარბებად თვლიდნენ. ბატონები ყველაზე მეტად სარგებლობდნენ ამ ოპერაციებით. რაც შეეხება ებრაელებს, ამ ფორმით ფულს ზოგიერთი ებრაელი ნამდვილად გასცემდა (1-5%, არეალის მიხედვით). თუმცა, არსებობდა შეხედულება, რომ ყველა ებრაელი იყო ამ საქმით დაკავებული, რაც იყო კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ზრდიდა სიძულვილს ებრაელთა მიმართ, განსაკუთრებით, სოფლად.

4. სიონის უხუცესთა ოქმები

სიონის უხუცესთა ოქმები არის დოკუმენტი, რომელიც განაწილებულია 24 თავში / „პროტოკოლებში“, რომლებიც წარმოდგენილია, როგორც მე-19 საუკუნის ბოლოს შეხვედრის ოქმი, რომელსაც ესწრებოდნენ მსოფლიო ებრაელი ლიდერები, სახელწოდებით, „სიონის უხუცესები“. შეთქმულების თეორიის მიხედვით, ისინი შეთქმულებას აპირებდნენ, რათა ხელში ჩაეგდოთ მთელი მსოფლიო. სინამდვილეში, ეს არის შეთხზული ამბავი, განზრახ დაწერილი, რათა წარმოაჩინოს ებრაელები, როგორც შეთქმულები სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლებიც გეგმავდნენ მსოფლიო ბატონობას. ოქმები პირველად დაიბეჭდა რუსეთში 1903 წელს და შემდეგ ითარგმნა რამდენიმე ენაზე. ეს ყალბი დოკუმენტი ამტკიცებდა, რომ ებრაელ ლიდერებს ჰქონდათ სხვადასხვა გეგმა, რომელთა უმეტესობა მომდინარეობდა ძველი ანტისემიტური რწმენიდან, როგორიცაა არაებრაული სამყაროს ზნეობის დამხობა, ებრაელი ბანკირების გეგმები მსოფლიოს ეკონომიკის გაკონტროლებისთვის და, საბოლოო ჯამში, ცივილიზაციის განადგურების გეგმები. 1921 წელს London Times-მა წარმოადგინა დამაჯერებელი მტკიცებულება იმისა, რომ პროტოკოლები იყო “უხერხული პლაგიატი”, რომელიც ძირითადად კოპირებული იყო ფრანგული პოლიტიკური სატირიდან, სადაც ნახსენებიც კი არ იყვნენ ებრაელები - მორის ჟოლის დიალოგი ჯოჯოხეთში მაკიაველისა და მონტესკიეს შორის (1864).

დანართი 2

ჰენრი ფორდმა (1863-1947), ამერიკელმა მრეწველმა და Ford Motor Company-ის დამფუძნებელმა, 1918 წელს შეისყიდა თავისი მშობლიური ქალაქის გაზეთი The Dearborn Independent. ერთი წლის შემდეგ მან დაიწყო სტატიების სერიის გამოქვეყნება, სადაც მოიხსენიებდა ებრაელებს ყველა შესაძლო კონტექსტში, როგორც ამერიკისა და მსოფლიოს უბედურებების მიზეზებს. სტატიებში ნათქვამია, რომ ებრაელები აკონტროლებდნენ ოქროს მიწოდებას და, შესაბამისად, ამერიკულ ფულს, რომ ებრაელები პასუხისმგებელი იყვნენ სოფლის მეურნეობის არაეფექტურობაზე, გაფიცვებზე და ყველა ფინანსურ სკანდალზე. მეტიც, ის ებრაელებს ადანაშაულებდა მასობრივი ძალადობის ინციდენტების პროვოცირებაში. ამ სერიის სტატიები, რომლებიც გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთის 91 ნომერში, იბეჭდებოდა ოთხ ტომად, სახელწოდებით, „საერთაშორისო ებრაელი“. ფორდმა, ასევე, ხელახლა გამოაქვეყნა „სიონის უხუცესთა ოქმები“.

ნიკოლა პაულესკუმ (1869-1931), რუმინელმა ფიზიოლოგმა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინსულინის განვითარებაში, 1913 წელს გამოსცა წიგნი, სახელწოდებით, ფიზიოლოგიის ფილოსოფია. ამ წიგნსა და ბევრ სხვა პუბლიკაციაში პაულესკუმ გამოხატა მძაფრი ანტისემიტიზმი: „მაგრამ ჩვენ, რუმინელებს გვაქვს რადიკალური კითხვა: რა ვუყოთ ამ არასასურველ სტუმრებს, რომლებიც მაშინვე დასახლდნენ ჩვენს ქვეყანაში - ან უკეთ რომ ვთქვათ, ამ ბოროტ პარაზიტებს, რომლებიც, ამავე დროს, ქურდები და მკვლელები არიან? შეგვიძლია თუ არა ისინი მწერებივით გავანადგუროთ? ეს იქნება ყველაზე მარტივი და კომფორტული გზა მათგან თავის დასაღწევად (...)”

რიჰარდ ვაგნერი (1813-1883), მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორი, 1850 წელს, გერმანულ მუსიკალურ ჟურნალში ფსევდონიმით აქვეყნებს ესეს, სახელწოდებით, „ებრაელები მუსიკაში“. ვაგნერი თვლის, რომ ებრაელებს არ შეეძლოთ ავთენტური მხატვრული გამოხატვა, მუსიკის შექმნა, რადგან მათ არ ჰქონდათ საკუთარი ერი და კულტურა. ვაგნერი თვლის, რომ ისინი სათანადოდ ვერ ლაპარაკობენ ევროპულ ენებზე და ახასიათებს მათ, როგორც ადამიანებს, რომელთა საუბრის მანერა არის „ხრალი, ღრიალი, ავადმყოფური ზუზუნი“ ან „აუტანელი ბოდვა და ბლუყუნი“. ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ესეი იყო ვაგნერის ეჭვიანობის შედეგი ებრაელი საოპერო კომპოზიტორის, ჯაკომო მეიერბერის მიმართ. წლების მერეც კი ვაგნერს არასოდეს შეუცვლია თავისი პოზიცია. ფაქტობრივად, სტატიის ტექსტი ხელახლა გამოქვეყნდა 1869 წელს, გაფართოებული ვერსიით, ვაგნერის ნამდვილი სახელით. ტექსტი ითარგმნა სხვა ენებზეც.

ანტიბოშური რასიზმი - მაშინ და ახლა

მიმოხილვა:

ეს აქტივობა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, შეადარონ ისტორიული და ახლანდელი მდგომარეობა ანტიბოშური რასიზმის მიმართ. აქტივობა მოსწავლეებს გაამდიდრებს ისეთი ცოდნით, რომლის გამოყენებითაც ისინი (მოსწავლეები) შეძლებენ შემთხვევების იდენტიფიცირებას და, რაც მთავარია, ეცოდინებათ, თუ როგორ შეებრძოლონ ამ ფენომენს.

მიმართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- ადამიანის ღირსების და უფლებების დაფასება
- კულტურული მრავალფეროვნების დაფასება
- დემოკრატიის, სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება
- პატივისცემა
- მოქალაქეობრივი აზროვნება
- პასუხისმგებლობა
- თავდაჯერებულობა
- გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება
- დამოუკიდებლად სწავლის უნარები
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი
- ემპათია
- თანამშრომლობის უნარი
- მსოფლიოს შემეცნება და კრიტიკული გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: დანართები 1 და 2

ხანგრძლივობა: 3 საათი

რჩევები მასწავლებლებს:

ბოშების მიმართ რასიზმი ჯერ კიდევ გავრცელებულია ევროპის ქვეყნებში და, სავარაუდოა, რომ ბევრ მოსწავლეს აქვს გარკვეული ცრურწმენები და სტერეოტიპები მათ მიმართ. ეს აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს, შეიცვალონ შეხედულებები. ამისათვის ისინი უნდა ჩავართოთ თვითრეფლექსიის პროცესებში საკუთარ სტერეოტიპებთან და, ზოგადად, საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებთან დაკავშირებით (როგორც ამ თავში უკვე იყო შემოთავაზებული). ამ აქტივობის საშუალებით, მოსწავლეებს შეუძლიათ გაიგონ, თუ როგორ შეუწყო ხელი სოციალურმა და პოლიტიკურმა კონტექსტმა ბოშების არასახარბიელო მდგომარეობას იმ საზოგადოებებში, სადაც ისინი ცხოვრობენ. ეს შეიძლება დაეხმაროს ბოშა მოსწავლეებს, რომლებიც თავს იდანაშაულებენ მათზე გავრცელებული სტერეოტიპების გამო. მათ სხვა მოსწავლეებზე უფრო მეტი უნდა იცოდნენ ამ თემების შესახებ. მეტიც, ისინი უნდა გახდნენ მთელი ეთნიკური ჯგუფის „ელჩები“.

ეს აქტივობა ფოკუსირებულია ანტირასიზმის ასპექტებზე, რომლებიც საკმაოდ ზოგად ინფორმაციას მოიცავს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა აუხსნას მოსწავლეებს, რომ რიცხვების მიღმა ყოველთვის დგანან ინდივიდები, ადამიანები, რომლებსაც აქვთ ოჯახი, პირადი ცხოვრება, იმედები და ოცნებები, ღირსება და უფლებები. ადამიანები, რომლებიც იმსახურებენ პატივისცემას, და არა სიბრაღულს. ბოშების წინააღმდეგ რასიზმი ეხება როგორც ადამიანების ცრურწმენას ბოშების მიმართ, ასევე, ჩაგვრის დამკვიდრებულ სისტემას, რომელიც ისტორიის მანძილზე არსებობდა.

მასწავლებლებს შეუძლიათ, მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია ბოშების ისტორიის შესახებ სხვადასხვა რესურსიდან, რომელიც ხელმისაწვდომია ონლაინ, სხვადასხვა ენაზე:

- ევროპის საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფაქტები ბოშების ისტორიის შესახებ: <https://www.coe.int/en/web/roma-and-travellers/roma-history-factsheets>
- ევროპელი ბოშებისა და სინტების ბედი ჰოლოკოსტის დროს: <https://www.romasintigenocide.eu/en/home>
- ბოშათა ხელოვნებისა და კულტურის ციფრული არქივი: <https://www.romarchive.eu/en/>

აქტივობების აღწერა:

ნაწილი I

1. მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს ურიგებს დანართი 1-ს - ბოშები ევროპაში. მასალის ნაკითხვის შემდეგ, მოსწავლეები მუშაობენ 4-5- კაციან ჯგუფებში, რათა განიხილონ შემდეგი კითხვები:

- ა. რომელი ახალი ასპექტები შეიტყვეთ ბოშათა ისტორიასთან დაკავშირებით ამ ტექსტიდან?
- ბ. გაგიკვირდათ რამე? კონკრეტულად, რა?
- გ. ბოშათა ისტორიის შესახებ სხვა რომელი საკითხები იცით, რომლებიც არ იყო შეტანილი ამ ტექსტში?

2. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავიანთი დისკუსიის ძირითად ასპექტებს და მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, იციან თუ არა ტერმინ ანტიბოშური რასიზმის მნიშვნელობა. მოსწავლეების მოსაზრებების შეგროვების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, წარმოადგინოს ბოშების საწინააღმდეგო რასიზმის შესახებ IHRA-ს სამუშაო განმარტება ან ადაპტირებული ვერსია, იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული ენა ძალიან რთულია მოსწავლეებისთვის.

ანტიბოშური რასიზმი არის ინდივიდუალური გამონათქვამებისა და ქმედებების, აგრეთვე, მარგინალიზაციის, გარიყულობის, ფიზიკური ძალადობის, ბოშათა კულტურისა და ცხოვრების წესის გაუფასურებისა და სიძულვილის ენის გამოვლინება. ეს ყოველივე უკავშირდება ბოშებსა და სხვა ჯგუფებს, რომლებიც არასწორად აღქმული და სტიგმატიზებული არიან. მათ დევნიდნენ ნაცისტების დროსაც და დღესაც, როგორც „ბოშებს“. მათ განიხილავდნენ და განიხილავენ დღესაც, როგორც უცხო ჯგუფს, რაც განაპირობებს მათ მიმართ არასათანადო მოპყრობას და აკავშირებს მათ დამამცირებელ სტერეოტიპებთან და დამახინჯებულ სურათებთან, რომლებიც წარმოადგენს რასიზმის სპეციფიკურ ფორმას.

თუ მასწავლებელი გადაწყვეტს, გამოიყენოს ადაპტირებული ვერსია, მნიშვნელოვანია დარწმუნდეს, რომ მასში ორივე ასპექტი შედის - ინდივიდუალური გამოხატულება და მოქმედებები, ასევე, სისტემური რასიზმი - ინსტიტუციური პოლიტიკა და პრაქტიკა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ის ფაქტი, რომ ანტიბოშური რასიზმი მიმართულია იმ პირების მიმართ, რომლებიც ბოშები

არიან, ან უბრალოდ „აღიქმებიან“ ბოშებად, რაც ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად კი არ არიან იდენტიფიცირებულნი როგორც ასეთები, არამედ არიან ჰეტეროიდენტიფიცირებულნი.

მასწავლებელი განიხილავს განმარტებას მოსწავლეებთან ერთად, რათა დარწმუნდეს, რომ მათ ესმით მისი მნიშვნელობა. საჭიროების შემთხვევაში, აწვდის დამატებით განმარტებას. ამის შემდგომ კი მოსწავლეებს გადასცემს განმარტების ნაბეჭდ ვერსიას.

3. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, იმუშაონ 4-5 კაციან ჯგუფებში და ხელახლა ნაიკითხონ დანართ 1-ში მოცემული ტექსტი, რათა გამოავლინონ ანტიბოშური რასიზმის მაგალითები და უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- ა.** ბოშების საწინააღმდეგო რასიზმის რამდენი მაგალითი აღმოაჩინეთ ამ ტექსტში?
- ბ.** ახსენით, რატომ თვლით თითოეულ გამოვლენილ ქმედებას ბოშების საწინააღმდეგო რასიზმის მაგალითებად. იხილეთ განმარტება, საჭიროებისამებრ.

4. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავიანთი დისკუსიის ძირითად ასპექტებს და მასწავლებელი რთავს მოსწავლეებს ზოგად დისკუსიაში, შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- ა.** რამდენად ძნელია ბოშების საწინააღმდეგო რასიზმის მაგალითების პოვნა?
- ბ.** გაგიკვირდათ წარსულში ბოშების საწინააღმდეგო გამოვლენებების რაოდენობა/ტიპი?
- გ.** იცოდით (ზოგიერთი) ამ ასპექტების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ბოშების ისტორიასთან?
- დ.** კიდევ რა ასპექტები დაგაინტერესებთ ბოშათა ისტორიის შესასწავლად?

მოსწავლეთა პასუხებიდან გამომდინარე, მასწავლებელს შეუძლია გარკვეული აქტივობების მოფიქრება, მათ შორის, ექსპერტების მოწვევა მოსწავლეებთან სასაუბროდ. თუ ისტორიკოსებს მოიწვევთ მოსწავლეებთან სასაუბროდ - პირისპირ ან ონლაინ - სასურველია, რომ ისინი თავად იყვნენ ბოშები.

ნაწილი II

5. მასწავლებელი იყენებს ჯიქსო-ს ტექნიკას - სწავლის თანამშრომლობით სტრატეგიას. კლასი დაყოფილია სამ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში თანაბარი რაოდენობის მოსწავლეებით. თითოეულ ჯგუფს მიეცემა დანართი 2-ის ერთ-ერთი ტექსტი. ტექსტის გაცნობის შემდეგ, მოსწავლეები განიხილავენ თავიანთ მცირე ჯგუფში, რათა დარწმუნდნენ, რომ ყველამ გაიგო ტექსტი და შეძლონ მისი წარდგენა სხვა ჯგუფის წევრებისთვის. მასწავლებელი საკმარის დროს აძლევს მოსწავლეებს ინდივიდუალური კითხვისთვის და, მინიმუმ, 5 წუთს დისკუსიისთვის. შემდეგ მოსწავლეებმა უნდა შექმნან 3 კაციანი შერეული ჯგუფები, თითო ჯგუფიდან (ა, ბ და გ). თითოეული მოსწავლე წარადგენს საკუთარ მოსაზრებას.

6. მასწავლებელი რთავს მოსწავლეებს რეფლექსიის პროცესში შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- ა.** იცოდით თქვენ მიერ წაკითხული ან განხილული ზოგიერთი ასპექტის შესახებ? კონკრეტულად რომელი მათგანი?
- ბ.** ისწავლეთ რაიმე ახალი ამ აქტივობიდან? კონკრეტულად, რა?
- გ.** რა გაგიკვირდათ ყველაზე მეტად იმაში, რაზეც დღეს ვისაუბრეთ?
- დ.** იყო რაიმე გაუგებარი იმაში, რაც წაკითხეთ/მოისმინეთ? კონკრეტულად, რა?

9. რა არის ის ასპექტები, რომელთა შესახებაც გსურთ მეტი გაიგოთ? მოსწავლეების პასუხებიდან გამომდინარე, მასწავლებელს შეუძლია, ადგილზე მიაწოდოს მათ დამატებითი ინფორმაცია, ან ჩართოს ისინი კვლევის პროცესში.

III ნაწილი

7. მოსწავლეები მუშაობენ 3-4 კაციან ჯგუფებში, რათა განიხილონ ბოშების საწინააღმდეგო რასიზმის დღევანდელი გამოვლინებები. მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს კატეგორიების სია, რათა დაეხმაროს მათ, მოიფიქრონ კონკრეტული მაგალითები. ეს კატეგორიები შეიძლება ეფუძნებოდეს ბოშების საწინააღმდეგო რასიზმის IHRA-სეულ სამუშაო განმარტებას:

- ბოშების დევნის ან ბოშების გენოციდის დამახინჯება ან უარყოფა.
 - ბოშების გენოციდის განდიდება.
 - ბოშების წინააღმდეგ ნაქვება, გამართლება და ძალადობის განხორციელება.
 - ბოშების იძულებითი სტერილიზაცია, ასევე, სხვა ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად შეურაცხმყოფელი მოპყრობა.
 - ბოშების წინააღმდეგ დისკრიმინაციული სტერეოტიპების გამყარება და განმტკიცება.
 - ბოშების დადანაშაულება, სიძულვილის ენის გამოყენება რეალურ ან აღქმულ სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივი პრობლემებში.
 - ბოშების, როგორც კრიმინალური ქცევის ჩამდენი პირების, სტერეოტიპირება.
 - ტერმინ „ბოშას“ შეურაცხყოფის მიზნით გამოყენება.
 - ბოშების წინააღმდეგ მიმართული მექანიზმების დამტკიცება ან წახალისება რასობრივი დისკრიმინაციული ვარაუდების საფუძველზე, როგორცაა მათი გარიცხვა ჩვეულებრივი სკოლებიდან და ინსტიტუციური პროცედურები ან პოლიტიკა, რომელიც იწვევს ბოშათა თემის სეგრეგაციას.
 - პოლიტიკის გატარება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ან ისეთი პირობების ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას იძლევა ბოშათა თემებისა და ინდივიდების თვითნებური ან დისკრიმინაციული გადაადგილებისთვის.
 - ბოშათა კოლექტიური პასუხისმგებლობის დაკისრება ბოშათა თემის ცალკეული წევრებზე.
 - ბოშათა თემების მიმართ სიძულვილის ენის გავრცელება ნებისმიერი ფორმით, მაგალითად, მასმედიაში, მათ შორის, ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში.
8. თითოეული ჯგუფი მასწავლებელს წარმოუდგენს ერთ-ერთ განხილულ მაგალითს. პედაგოგი მოსწავლეებს ეკითხება, იციან თუ არა მათ მიერ გაზიარებულ მაგალითში გამოხატული/გამოვლენილი ანტიბოშური რასიზმის წინააღმდეგ მიმართული ადამიანები/ინსტიტუციები.
9. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, რათა მოიფიქრონ ანტიბოშური რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზები.
10. თითოეული ჯგუფი წარადგენს თავისი მუშაობის შედეგებს და შემდეგ მასწავლებელი წარმართავს შემაჯამებელ დისკუსიას, მოცემული კითხვების გამოყენებით:
- ა. რამდენად რთული იყო ბოშების რასიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად იდეების შემუშავება?

- ბ. როგორ ფიქრობთ, ზოგიერთი გზა უფრო ეფექტურია, ვიდრე სხვა?
- გ. როგორ ფიქრობთ, რატომ არის ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ გავრცელებული ანტიბოშური რასიზმი? ამ კითხვის განხილვისას, მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს, იფიქრონ ძალაუფლების დინამიკაზე (ვის აქვს ძალაუფლება – საკანონმდებლო, ეკონომიკური, პოლიტიკური – საზოგადოებაში და სტერეოტიპებისა და ცრურწმენების გამყარების გზაზე). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოსწავლეები არ აღმოჩნდნენ ხაფანგში და ანტიბოშურ რასიზმში თავი არ დაიდანაშაულონ. ეს შეიძლება მოხდეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თავად მოსწავლეებს აქვთ სტერეოტიპები და ცრურწმენები ბოშების მიმართ.
- დ. არის თუ არა რაიმე, რისი გაკეთებაც თქვენ პირადად შეგიძლიათ ანტიბოშური რასიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად?
- ე. არის თუ არა რამე ისეთი, რისი გაკეთებაც ჯგუფურად შეგიძლიათ ანტიბოშური რასიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად?

შემდგომი ქმედებებისთვის:

- მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიკვლიონ, თუ როგორ განხორციელდა ბოშების გენოციდი ევროპის სხვა ქვეყნებში.
- მოსწავლეებს შეუძლიათ, წამოიწყონ ცნობიერების ამაღლების კამპანია ბოშათა რასიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ზოგადად, ან კონკრეტულ გამოვლინებებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი აქვს მათ ქალაქში/რეგიონში.
- მოსწავლეებს შეუძლიათ მისწერონ წერილი თავიანთი ქალაქის საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელობას, რათა მათ მიიღონ ზომები ბოშების საწინააღმდეგო ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, ან მოიფიქრონ აქტივობები ბოშების ჩართულობის გასაზრდელად.
- მოსწავლეებს შეუძლიათ, ჩაერთონ პროექტში, რომელიც ორიენტირებულია ბოშათა ისტორიის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე, ისტორიის დავიწყებული ან ან უკვე გამოკვლეული ასპექტების შესახებ, ბოშების წვლილის შესახებ ევროპულ საზოგადოებებში.
- მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიკვლიონ ის გზები, რომლებითაც ბოშებმა დაიწყეს ორგანიზება - კულტურულად და პოლიტიკურად - მე-20 საუკუნის დასაწყისში და ამ ქმედებებმა (ან სხვა ქმედებებმა, როგორცაა მათი ხმის მიცემის უფლების უზრუნველყოფა) გამოიწვია უფრო მეტი ანტიბოშური რასიზმი. პარალელური შეიძლება გავავლოთ რასიზმთან შეერთებულ შტატებში და სეგრეგაციის კანონებთან, რომლებიც დაწესებული იყო აფროამერიკელების ძალაუფლებაზე წვდომის შეზღუდვის მიზნით.
- მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიკვლიონ ადგილობრივი, ეროვნული ან საერთაშორისო ბოშათა ორგანიზაციები, გაუზიარონ ერთმანეთს ამ ორგანიზაციების საქმიანობა და მოიფიქრონ მათი მხარდაჭერის გზები.

დანართი 1 - ბოშები ევროპაში⁶

ბოშები არიან ინდოეთიდან ევროპაში ემიგრირებული ეთნიკური ჯგუფი. ეს პროცესი მიმდინარეობდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. ბოშური ენა მიეკუთვნება ინდო-არიულ ენათა ჯგუფს და მასზე გავლენა მოახდინა სხვა ქვეყნების იმ ენებმა, სადაც ბოშები დასახლდნენ. ბოშების მიგრაციის მიზეზები ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი.

ვლახეთსა და მოლდოვაში (ისტორიული რეგიონები, რომლებიც დღევანდელი რუმინეთისა და მოლდოვის რესპუბლიკის ნაწილია), ბოშები ხუთი საუკუნის განმავლობაში იყვნენ სახელმწიფოს, მართლმადიდებლური ეკლესიისა და თავადების (მინის მესაკუთრეები, თავადაზნაურობის წევრები) მონები. მე-19 საუკუნეში, ევროპული რევოლუციების გავლენით, დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობა, რის შედეგადაც ბოშები განთავისუფლდნენ. მონათმფლობელთა უმეტესობამ მიიღო კომპენსაცია მონების გათავისუფლებისთვის, მაგრამ თავად ბოშებს არ მიუღიათ არანაირი მხარდაჭერა საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისთვის.

ცენტრალურ ევროპაში ბოშების ბედი განისაზღვრა პოლიტიკური ცვლილებებით და ოსმალეთის იმპერიასთან ომებით. ბოშებს ხშირად აიძულებდნენ, ეცხოვრათ ქალაქების განაპირას ან ასახლებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადებსაც იხდიდნენ და ჯარშიც იბრძოდნენ. ესპანეთი ატარებდა ასიმილაციის პოლიტიკას, ხოლო პორტუგალიამ და, მოგვიანებით, გაერთიანებულმა სამეფომ ბოშების დეპორტაცია მოახდინა ამერიკაში. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ უფრო და უფრო მეტი რეგულაცია გამოსცა, რათა შეეზღუდა ბოშებისთვის საარსებო წყაროს გამომუშავების შესაძლებლობა, მათ შორის, გარკვეული პროფესიების აკრძალვის ჩათვლით.

ჯერ კიდევ 1920-იანი წლების შუა ხანებში გერმანიასა და ავსტრიაში რასობრივად მოტივირებული პოლიცია რეიდებს უწყობდა ბოშებს. ნაცისტური პროპაგანდა ხელს უწყობდა არსებული სტერეოტიპებისა და ცრურწმენების გავრცელებას. 1936 წელს ვენაში „ბოშების პრობლემის“ წინააღმდეგ საბრძოლველად ცენტრალური სააგენტოც კი შეიქმნა. 1935 წლის ნიურნბერგის კანონებმა ბოშები „ჩამოაქვეითა“ და გერმანიის მოქალაქეობა ჩამოართვეს. მსგავსი კანონები მიიღეს ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ამის შემდეგ ბოშები გადაასახლეს საკონცენტრაციო ბანაკებში და ჩააბეს იძულებით შრომაში. მათ ხოცავდნენ ხევებში, ტყეებში, ტოვებდნენ სასიკვდილოდ დნესტრისპირეთის ან აუშვიცის მსგავს ბანაკებში. ჰოლოკოსტის დროს დაღუპული ბოშების ზუსტი რაოდენობა უცნობია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ, სულ მცირე, 250 000 ადამიანია გარდაცვლილი.

რასიზმი ბოშების წინააღმდეგ არ დასრულებულა მეორე მსოფლიო ომით. ომის შემდეგ ბოშების მიმართ საზოგადოების ინტერესი არ არსებობდა. ჰოლოკოსტის გამო კომპენსაცია ძალიან გვიან გაიცა, საერთოდ თუ მიიღო ბოშათა უმეტესობამ. მრავალი წლის განმავლობაში ბოშები არ ითვლებოდნენ ჰოლოკოსტის მსხვერპლად, განსაკუთრებით კი კომუნისტური რეჟიმის ქვეყნებში. დევნის, დისკრიმინაციისა და მარგინალიზაციის ასეთი წარსულის მიუხედავად, ბოშებს აქვთ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ევროპული კულტურის ნაწილია და თავისი წვლილი შეიტანა მის განვითარებაში.

⁶ ეს ტექსტი წარმოადგენს ნიკოლა ბიტუს სტატიის ადაპტირებულ ვერსიას RomArchive: <https://www.romarchive.eu/en/about/context-project/>

დანართი 2

ა. ევგენიკა და რასისტული თეორიები

მე-19 საუკუნის ბოლოს ინტელექტუალურ საზოგადოებაში დაიწყო რასობრივი ჰიგიენის ან ევგენიკის თეორიების განვითარება. ამ თეორიებმა დაბადა იდეა, რომ კრიმინალურ ქცევებს, ფსიქიკურ დაავადებას, ალკოჰოლიზმსა და სიღარიბესაც კი განაპირობებს მემკვიდრეობითი ფაქტორები. ევგენიკის თეორიის მხარდამჭერებს არ სჯერათ, რომ ეს პრობლემები შესაძლოა გამოწვეული იყოს გარემო ფაქტორებით (როგორც ეს მოგვიანებით დადასტურდა). ნაცისტებმა შექმნეს სპეციალური ინსტიტუტი „კვლევის“ წარმოებისთვის (სინამდვილეში, ეს არ იყო ნამდვილი სამეცნიერო კვლევა), რომელიც მხარს უჭერდა მათ რასისტულ იდეოლოგიას. აქედან გამომდინარე, ინსტიტუტმა გამოიყენა რასისტული კრიტერიუმები ბოშებისა და სინტების კლასიფიცირებისთვის და სხვადასხვა კატეგორიაში მათ გადასანაწილებლად. ინსტიტუტის მიერ შემუშავებული რამდენიმე განსაზღვრებიდან ერთ-ერთის მიხედვით, თუ ადამიანი ჰყავდა ერთი დიდი ბებიისა და ბაბუა, რომელიც იყო კატეგორიზებული, როგორც „ბოშა“, მაშინ ეს ადამიანი კლასიფიცირდებოდა, როგორც „შერეული სისხლის ბოშა“ და შემდგომში უნდა დაჰქვემდებარებოდა რეპრესიებს. 1933-1939 წლებში, დაახლოებით, 500 ბოშა და სინტი სტერილიზებული იქნა, ომის ბოლოს კი, 3000-მდე იყო სტერილიზებული.

ბ. ბოშების სანაღმდეგო კანონმდებლობა

ბოშათა დევნა წინ უძღოდა ჰოლოკოსტს. მაგალითად, 1899 წელს გერმანიაში ბავარიის შტატის პოლიციამ ჩამოაყალიბა ბოშების საქმეების ცენტრალური ოფისი (Zigeunerzentrale), რომელიც კოორდინაციას უწევდა ბოშების წინააღმდეგ პოლიციის მოქმედებას მიუნხენში და აგროვებდა მონაცემებს ბავარიის მიწაზე მცხოვრები ბოშებისა და სინტების შესახებ. 1933 წელს ზოგიერთი სინტი და ბოშა იძულებით იქნა სტერილიზებული, მემკვიდრეობით დაავადებული შთამომავლობის პრევენციის კანონის მიხედვით. 1935 წლის ნიურნბერგის კანონების მიხედვით, აკრძალული იყო ბოშისა და სინტის დაქორწინება „რასობრივად სუფთა“ გერმანელებზე. 1938 წელს დაარსდა რაიხის ცენტრალური ოფისი ბოშათა საკითხებზე, რათა გაერთიანებული ძალისხმევით დაეწყო მესამე რაიხში მცხოვრები ბოშების დევნა. იმავე წელს Decree for Combating the Gypsy Plague-მა გამოსცა ბრძანებულება, შექმნილიყო მესამე რაიხში მცხოვრები ბოშების მონაცემთა ბაზა. ეს მონაცემთა ბაზა მოგვიანებით გამოიყენეს ბოშების შესაკრებად და იძულებითი შრომისა და საკონცენტრაციო ბანაკებში გადასაყვანად. მსგავსი კანონი მიიღეს ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

გ. ბოშების დეპორტაცია და დახოცვა

1936 წელს ბერლინიდან ყველა ბოშა გადაასახლეს მარზანში, ღია მინდორში, რომელიც მდებარეობდა სასაფლაოსთან, კანალიზაციასა და ნაგავსაყრელთან ახლოს აღმოსავლეთ ბერლინში. მოგვიანებით, გერმანიის სხვა ნაწილებში, ადგილობრივმა მოსახლეობამ და პოლიციელებმა დაიწყეს ბოშების გადაყვანა მუნიციპალურ ბანაკებში. შემდეგ ეს ბანაკები ბოშების იძულებითი შრომის ბანაკებად გადაიქცა. ბანაკები წარმოადგენდნენ ერთგვარ მოსამზადებელ ეტაპს გენოციდისკენ მიმავალ გზაზე. ომი რომ დაიწყო, გერმანელი სინტები და ბოშები პოლონეთში გადაასახლეს და მოათავსეს ებრაულ გეტოებში, შრომით და სიკვდილის ბანაკებში. ოსვენციმი წარმოადგენდა განადგურების მთავარ ადგილს. ბოშების განადგურების სიდიდით მეორე ცენტრი იყო იასენოვაცის ბანაკი, რომელიც შეიქმნა ნაცისტური გერმანიის მოკავშირე ხორვატიის მთავრობის მიერ, სადაც, დაახლოებით, 16 000 ბოშა მოკლეს. დაახლოებით 25 000 ბოშა რუმინეთიდან დეპორტირებული იქნა დნესტრისპირეთში და მათგან მხოლოდ ნახევარი გადარჩა ცოცხალი. ბოშების წინააღმდეგ ქმედებები, მათ შორის, მასობრივი სროლები, მიმდინარეობდა სხვა ქვეყნებშიც. დაახლოებით, 250 000 ბოშა მოკლეს ჰოლოკოსტის დროს და ცოცხლად დარჩენილთაგან ბევრს დაუნგრეს ან წაართვეს სახლები და ქონება.

კანონები და უფლებები

ანტისემიტური კანონები ევროპის ქვეყნებში

მიმოხილვა:

ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ კანონმდებლობის ძალა ნაცისტურ გერმანიასა და სხვა ფაშისტურ ქვეყნებში მიღებული ანტისემიტური კანონმდებლობის გაცნობის გზით და, აგრეთვე, ანტისემიტობიზმთან ბრძოლის დღევანდელი კანონმდებლობის ანალიზით.

მიემართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- დემოკრატიის, სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება
- პასუხისმგებლობა
- თავდაჯერებულობა
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი
- მსოფლიოს შეცნობა და კრიტიკული გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: ანტისემიტური კანონმდებლობა; ინტერნეტთან წვდომა მოსწავლეებისთვის, რათა ჩაატარონ კვლევა.

ხანგრძლივობა: ამ აქტივობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია კვლევის პროცესის სიღრმეზე და იმაზე, თუ რამდენად აირჩევს მასწავლებელი მოსწავლეებისთვის მზა მასალების მიცემას.

რჩევები მასწავლებლებისთვის:

მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობები უნდა დაეფუძნოს მოსწავლეთა ინტერესებსა და კომპეტენციებს. თუ საკმარისი დრო იქნება, მოსწავლეებს შეუძლიათ, ჩაატარონ საკუთარი კვლევა ჰოლოკოსტის დროს მიღებულ ანტისემიტურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. სხვა შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს მისცეს უკვე დამუშავებული, მზა რესურსები პროცესის დასაჩქარებლად.

აქტივობების აღწერა:

ნაწილი I

1. მასწავლებელი განმარტავს, რომ ჰოლოკოსტის დროს ებრაელი ხალხის უფლებები თანდათანობით შეზღუდა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. პირველ ეტაპზე, მასწავლებელი კლასს სთხოვს, შეისწავლონ ებრაელი ხალხის უფლებების შეზღუდვა ნაცისტურ გერმანიაში. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს მიანიშნოს მზა ინფორმაცია ანტისემიტური კანონმდებლობის შესახებ⁷ ან შეუძლია ჩართოს მოსწავლეები კვლევის პროცესში, რომელსაც

⁷ შესაძლოა შეთავაზებული იქნეს USHMM-ის გვერდი ანტისემიტური კანონმდებლობის შესახებ 1933-1939 წლებში: <https://encyclopedia.ushmm.org/content/en/article/antisemitic-legislation-1933-1939>

ისინი ამ ინფორმაციის აღმოჩენამდე მიჰყავს. თუ მასწავლებელი აირჩევს ამ უკანასკნელ მიდგომას, მოსწავლეებს შეუძლიათ, იმუშაონ 4-5 კაციან ჯგუფებში და თითოეულ ჯგუფს დაევალება ერთ კონკრეტულ წელს მიღებული კანონმდებლობის კვლევა. მოსწავლეებს მიეცემათ კონკრეტული დრო ჯგუფებში სამუშაოდ, რათა უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- ა. როგორ ფიქრობთ, რატომ მიიღეს ასეთი კანონი?
 - ბ. რას ელოდა ნაციონალური გერმანია ამგვარი კანონმდებლობით? იმუშავა ამ კანონმდებლობამ?
 - გ. რა გავლენა მოახდინა ამ შეზღუდვებმა ებრაელებზე?
 - დ. რამდენი პროცენტი იყო გერმანიაში მცხოვრები ებრაელები ომამდე?
 - ე. ვინმე ეწინააღმდეგებოდა ასეთ კანონს? რატომ?
- 2.** ჯგუფები თავიანთ მოსაზრებებს უზიარებენ ერთმანეთს. ჯგუფური დისკუსია ეფუძნება შემდეგ კითხვებს:
- ა. გაგიკვირდათ ომამდე მიღებული ანტისემიტური კანონების რაოდენობა?
 - ა. იცოდით თუ არა ომამდე გერმანიაში ებრაელთა პროცენტული მაჩვენებლის შესახებ? თუ არა, გასაკვირია ეს ინფორმაცია? რატომ?
 - ბ. რთული იყო ამ კითხვებზე პასუხის გაცემა? კონკრეტულად, რომლებზე?
- 3.** მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ მათი მოსაზრებები მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი უნდა ეფუძნებოდეს მყარ, საფუძვლიან ცოდნას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ასეთ რთულ კითხვებს. როდესაც ჩვენ არ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია კითხვაზე პასუხის გასაცემად, საუკეთესო პასუხია: არ ვიცი. მჭირდება მეტი ინფორმაცია, რომ გავიგო, სანამ კითხვაზე ჩემს აზრს გამოვთქვამ.

ნაწილი II

- 4.** მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს, რომ გერმანია არ იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც მიიღო ანტისემიტური კანონმდებლობა 1930-იან წლებში. ევროპის რამდენიმე ქვეყანამ იგივე გააკეთა. უფრო მეტიც, ანტისემიტური კანონმდებლობა ევროპაში საუკუნეების მანძილზე არსებობდა და არა მხოლოდ 1930-იან წლებში.
- 5.** მასწავლებელი ავალეს მოსწავლეებს, გამოიკვლიონ ანტისემიტური კანონმდებლობა, რომელიც მიღებულია მათ ქვეყანაში ან მათ მიერ არჩეულ ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში, პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს მიანოდოს მზა მასალა ანტისემიტური კანონმდებლობის შესახებ ან შეუძლია ჩართოს მოსწავლეები კვლევის პროცესში, რომელიც მათ ამ ინფორმაციის აღმოჩენამდე მიჰყავს. მოსწავლეები მუშაობენ 4-5 კაციან ჯგუფში, რათა ჩაატარონ კვლევა და უპასუხონ შემდეგ კითხვებს:
- ა. როგორ ფიქრობთ, რატომ მიიღეს ასეთი კანონი?
 - ბ. რა შედეგი მოჰყვა ასეთ კანონს?
 - გ. ვინმე ეწინააღმდეგებოდა ამ კანონს? რატომ?

- 6.** თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ დასკვნებს და მათ რეფლექსიას და მასწავლებელი ხელს უწყობს დისკუსიის გამართვას შემდეგი კითხვების დასმით:
- ა.** მნიშვნელოვანია თუ არა კანონმდებლობა? რატომ?
 - ბ.** შეუძლიათ თუ არა ჩვეულებრივ მოქალაქეებს, წვლილი შეიტანონ კანონმდებლობის მიღებაში? როგორ?
 - გ.** როგორ ფიქრობთ, რა ისწავლა ევროპულმა საზოგადოებამ ჰოლოკოსტისგან?
 - დ.** როგორ ფიქრობთ, რისი სწავლა გვჭირდება ჯერ კიდევ?

III ნაწილი

- 7.** ამ ნაწილში მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ რა ისწავლა ევროპულმა საზოგადოებამ თავისი წარსულიდან და როგორ მუშაობს ის მსგავსი კანონმდებლობის ხელახლა მიღების თავიდან ასაცილებლად. მასწავლებლის ფასილიტაციით, მოსწავლეებს ევალუბათ, გამოიკვლიონ დღევანდელი კანონმდებლობა, რომელიც სთავაზობს მოქალაქეებს დაცვას ძალადობის, დისკრიმინაციისა და ანტიდემოკრატიული ევროპულ⁸ ან ეროვნულ დონეზე. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, რათა შეისწავლონ მასწავლებლის მიერ მიცემული ერთი დოკუმენტი და მოამზადონ პრეზენტაცია სხვა ჯგუფებისთვის. ბოლოს კი უპასუხონ შემდეგ კითხვებს:
- ა.** რა საკითხს ეხება ეს დოკუმენტი?
 - ბ.** რა კონკრეტულ ზომებს მიმართავს ის ანტიდემოკრატიული ქმედებებთან საბრძოლველად?
 - გ.** ვინ უნდა განახორციელოს ეს ზომები?
 - დ.** როგორ ინტეგრირდა ეს ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ კანონმდებლობაში? (იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი ეხება ევროპულ კანონმდებლობას)
 - ე.** როგორ ფიქრობთ, ეს კანონი ეფექტურია? რატომ?
 - ვ.** საჭიროა თუ არა სხვა ზომების მიღება ანტიდემოკრატიული ქცევების თავიდან ასაცილებლად?
- 8.** პროცესის დასასრულს, მასწავლებელი რთავს მოსწავლეებს რეფლექსიაში შემდეგი კითხვების საფუძველზე:
- ა.** რამდენად რთული იყო დოკუმენტების ანალიზი? და კითხვებზე პასუხის გაცემა?
 - ბ.** გაგიკვირდა რამე? კონკრეტულად, რა?
 - გ.** როგორ ფიქრობთ, მნიშვნელოვანია თუ არა რიგითი მოქალაქეებისთვის მიღებულ ან განხილულ კანონმდებლობაზე ინფორმაციის ქონა?
 - დ.** იცით, როგორ შეუძლიათ ჩვეულებრივ მოქალაქეებს გავლენა მოახდინონ კანონმდებლობაზე ევროპულ და ეროვნულ დონეზე?

⁸ ანტიდემოკრატიული ბრძოლასთან დაკავშირებული აქტივობები, კანონმდებლობის ჩათვლით, ევროკავშირის მასშტაბით, შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: https://ec.europa.eu/info/policies/justice-and-fundamental-rights/combating-discrimination/racism-and-xenophobia/combating-antisemitism_en.

შემდგომი ქმედებები:

- მოსწავლეები იკვლევენ უფრო ფართო კონტექსტს, თუ რატომ მიიღეს ეს კანონმდებლობა და იგებენ უფრო მეტს ანტიდისკრიმინაციის ისტორიაზე ევროპაში და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობაზე პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე.
- მოსწავლეები აანალიზებენ ანტიდისკრიმინაციული კანონების ინდივიდის პერსპექტივიდან. მაგალითად, მათ შეუძლიათ, წაიკითხონ დღიურები⁹ და შეადარონ ჩანაწერები სხვადასხვა ანტიდისკრიმინაციული კანონების თარიღებს. ეს სავარჯიშო დაეხმარება მოსწავლეებს, უკეთ გააცნობიერონ კანონმდებლობის გავლენა ინდივიდებზე.
- ეს გაკვეთილი შეიძლება იყოს კარგი ამოსავალი წერტილი კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესისთვის. ასეთი პროცესი შეიძლება დაიწყოს ისეთი კითხვებით, როგორცაა: რატომ არავინ ეწინააღმდეგებოდა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობას? რატომ აირჩიეს ნაცისტმა და ფაშისტურმა მთავრობებმა ებრაელი ხალხი განტევების ვაცად?

⁹ ანტიდისკრიმინაციული ბრძოლის დაკავშირებული აქტივობები, კანონმდებლობის ჩათვლით, ევროკავშირის მასშტაბით, შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: https://ec.europa.eu/info/policies/justice-and-fundamental-rights/combatting-discrimination/racism-and-xenophobia/combatting-antisemitism_en.

ადამიანის უფლებები არ არის აბსტრაქტული

მიმოხილვა:

ამ აქტივობის მიზანია ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან ისტორიის სხვადასხვა პერიოდის დანახვა, გაცნობიერება და ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევების განხილვა: როგორ ხდება ისინი, რა ხდის მათ შესაძლებელს, რა შედეგები მოჰყვება მათ. მოსწავლეები ჩართულნი არიან ჰოლოკოსტის პერიოდისა და დღევანდელი რეალობის ანალიზის პროცესში.

განსავითარებელი კომპეტენციები:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება
- დემოკრატიის, სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება
- პატივისცემა
- მოქალაქეობრივი აზროვნება
- დამოუკიდებლად სწავლის უნარები
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი
- მოსმენისა და დაკვირვების უნარები
- მსოფლიოს შემეცნება და კრიტიკული გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: დანართი 1, როგორც სახელმძღვანელო

ხანგრძლივობა: 3 საათი, დაყოფილია 1 საათიან პერიოდებად, ორი დავალებით 30 წუთის განმავლობაში.

რჩევები მასწავლებლებისთვის:

ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ, რომ ადამიანის უფლებები არ არის აბსტრაქტული და ეხმარება მათ, მოიფიქრონ კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ხაზს უსვამს იმას, თუ რას ნიშნავს ადამიანის უფლებები და უფლებების დარღვევა პრაქტიკაში. მნიშვნელოვანია, ავუხსნათ მოსწავლეებს, რომ ამ აქტივობის მიზანი არ არის დღევანდელი სტანდარტების გამოყენება წარსულის იმ კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, რომელშიც ხდებოდა ესა თუ ის მოვლენა. უფრო მეტიც, მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან განხილვა, რომ როდესაც ასეთ შედარებებს ვაკეთებთ, ისინი კონცეპტუალური პერსპექტივიდან არის გასაკეთებელი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დაშვებული ტანჯვის შედარება. ტანჯვა არის ძალიან პირადული, რომელიც არასოდეს არ უნდა შეფასდეს.

ამ აქტივობაში ჩართულობით მოსწავლეებს შეუძლიათ, უკეთ გაიაზრონ ადამიანის ღირსების ცნება და ის, რომ ადამიანებს ყველგან, ნებისმიერ დროს, ყოველთვის ჰქონდათ ღირსება. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა თანამედროვე დეკლარაცია არ იყო შემუშავებული მეორე მსოფლიო ომამდე, იმ ადამიანებს, რომლებიც ამ მომენტამდე ცხოვრობდნენ, ბუნებრივად გააჩნდათ ღირსება, რომელსაც პატივს სცემდნენ გარკვეულ სიტუაციებში, ზოგში კი, სამწუხაროდ, ლახავდნენ. მოსწავლეებს უნდა გავაცნობიერებინოთ, რომ ადამიანის უფლებები ჰოლოკოსტის შემდეგ არ გამოიგონეს. ადამიანის უფლებათა თანამედროვე დეკლარაცია ეფუძნება წინა ფილოსოფიურ, იურიდიულ და პოლიტიკურ ნაშრომებს.

აქტივობების აღწერა:

ნაწილი I

- 1.** მასწავლებელი იწვევს მოსწავლეებს ადამიანის უფლებების საკითხების განხილვაზე და სთხოვს მათ, გაუზიარონ ის, რაც იციან ამ კონცეფციის შესახებ. მოსწავლეების პასუხები იწერება დაფაზე ან სერთო დოკუმენტში. მასწავლებელი საუბარში ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ადამიანის უფლებები განისაზღვრება, როგორც მინიმალური სტანდარტების ნაკრები, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს, იცხოვრონ ღირსეულად. განიხილება მინიმალური სტანდარტებისა და ღირსების ცნებები, რათა მოსწავლეებმა გაიგონ მათი არსი.
- 2.** თითოეული მოსწავლე იღებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის რეზიუმეს (დანართი 1). მასწავლებელი სთხოვს, წაიკითხონ და ხაზი გაუსვან ერთ უფლებას, რომელიც მათ აინტერესებთ. შემდეგ მოსწავლეები ერთიანდებიან ჯგუფში მათ მიერ არჩეული უფლების მიხედვით (ჯგუფები არ უნდა იყოს 4-5 კაცზე მეტი. თუ ბევრმა მოსწავლემ აირჩია იგივე უფლება, შეიძლება შეიქმნას ორი ან მეტი ჯგუფი ერთსა და იმავე უფლებაზე სამუშაოდ). მოსწავლეები უპასუხებენ შემდეგ კითხვებს:
 - ა.** რატომ არის ეს უფლება თქვენთვის საინტერესო?
 - ბ.** რა იცით ამის შესახებ?
 - გ.** კიდევ რა გსურთ, იცოდეთ ამ უფლების შესახებ?
- 3.** თითოეული ჯგუფი წარმოადგენს დისკუსიის დასკვნებს და მასწავლებელიც უზიარებს მათ ადამიანის უფლებების იმ ზოგად ასპექტებს, რომლებიც აქტუალურია კლასისთვის – მაგალითად, ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებები არის უნივერსალური, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და განუშორებელი. ან ძირითადი ღირებულებები, რომლებიც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა იდეის ბირთვს.¹⁰ ასევე, მასწავლებელს შეუძლია აუხსნას მოსწავლეებს, თუ როგორ შეიქმნა და განვითარდა ადამიანის უფლებათა თანამედროვე ჩარჩო, როგორც საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია მეორე მსოფლიო ომის სისასტიკეზე.
- 4.** მასწავლებელი განმარტავს: მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა თანამედროვე ჩარჩო შემუშავდა ჰოლოკოსტის შემდეგ, ადამიანებს, რომლებიც ჰოლოკოსტამდე ცხოვრობდნენ, ბუნებრივად გააჩნდათ ღირსება. მოსწავლეების ამოცანაა, დაადგინონ ჰოლოკოსტის დროს განხორციელებული კონკრეტული ქმედებები მოცემულ ორ უფლებასთან დაკავშირებით. მოსწავლეები მუშაობენ 4-5 კაციან ჯგუფებში. ჯგუფები შეიძლება გადაწინააღმდეგოს სხვადასხვა გზით: შემთხვევითი შერჩევით; ან მოსწავლეებს შეუძლიათ, თავად აირჩიონ ორი უფლება, რომლის სწავლაც სურთ. იდეალურ შემთხვევაში, სხვადასხვა ჯგუფმა არ უნდა იკვლიოს ერთი და იგივე უფლებები. ეს დავალება შეიძლება შეასრულონ როგორც ჯგუფური სამუშაო კლასში, ან როგორც საშინაო დავალება.
- 5.** მასწავლებელი მუშაობის დაწყებამდე ერთ მაგალითს წარუდგენს მოსწავლეებს. მაგალითად, შეუძლია აირჩიოს წამებისგან, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან თავისუფლების უფლება და განიხილოს მოსწავლეებთან ერთად, თუ როგორ გადაიტანეს ებრაელებმა, ბოშებმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა და სხვა უმცირესობის ჯგუფების წევრებმა სხვადასხვა ფორმის ჩაგვრა, სასტიკი სამედიცინო ექსპერიმენტები, იძულებითი სტერილიზაცია, სასტიკი დამცირება და დეგრადაცია, აუცილებელი საკვების, წყლისა და სათანადო სანიტარული პირობების ნაკლებობა.

¹⁰ მასწავლებლები შეძლებენ დამატებითი ინფორმაციის მიღებას ევროპის საბჭოს მიერ 2020 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს „კომპასის“ მეოთხე თავიდან: <https://www.coe.int/en/web/compass/chapter-4>.

ნაწილი II

- 6.** თითოეული ჯგუფი წარმოადგენს ჰოლოკოსტის დროს ადამიანის ღირსების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების კონკრეტულ იმ მაგალითებს, რომლებიც მათ შეარჩიეს. ყოველი პრეზენტაციის შემდეგ სხვა ჯგუფებს სთხოვენ კომენტარის გაკეთებას ან სხვა მაგალითების დამატებას, რომლებიც მათ არ უხსენებიათ.
- 7.** მასწავლებელი შეაჯამებს დისკუსიას შემდეგი კითხვების საფუძველზე:
- ა.** რთული იყო ამ ქმედებების იდენტიფიცირება, რომლებიც ადამიანის ღირსებას ეწინააღმდეგება/ შეურაცხყოფს? რატომ?
 - ბ.** როგორ ფიქრობთ, რატომ მიიღეს ნაცისტებმა და მათმა თანამზრახველებმა ასეთი ზომები ადამიანის ღირსების წინააღმდეგ?
 - გ.** როგორ ფიქრობთ, რატომ იყო მათთვის ასე ადვილი ამ ზომების მიღება?
 - დ.** როგორ ფიქრობთ, რატომ არ გამოეხმაურა ამ ქმედებებს თითქმის არავინ?
 - ე.** თქვენი აზრით, ადამიანებმა იცოდნენ მაშინ ადამიანის ღირსების მნიშვნელობა?
 - ვ.** როგორ ფიქრობთ, ადამიანებს, რომლებიც მაშინ ცხოვრობდნენ, ჰქონდათ უფლება, ებრძოლათ თავიანთი ან სხვა ადამიანების უფლებებისთვის? რატომ?
 - ზ.** რა აძლევს ადამიანებს შესაძლებლობას, იბრძოლონ თავიანთი უფლებებისთვის? მასწავლებელი ან მოხალისე მოსწავლე ადგენს მოსწავლეთა იდეების ჩამონათვალს.
 - თ.** როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ადამიანის უფლებათა დეკლარაცია გარკვეული ისტორიული მოვლენების უკეთ გასააზრებლად?
- 8.** მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გააგრძელონ ჯგუფურად მუშაობა, ფოკუსირდნენ ჯგუფის მიერ შერჩეულ ორ უფლებაზე და გამოიკვლიონ კონკრეტული ქმედებები, რომლებითაც ეს უფლებები წინა პლანზე წამოიწია და დაცული იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, UDHR-ის მიღების შემდეგ. მოსწავლეებს შეუძლიათ, გაეცნონ საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებებს, ეროვნულ კანონმდებლობას/კონსტიტუციებს, ევროკავშირის ან ეროვნულ სტრატეგიებს, ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს და ა.შ.

III ნაწილი

- 9.** თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავისი კვლევის შედეგებს.
- 10.** მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რამდენად სარწმუნოა თქვენთვის ის, რომ ეს ქმედებები უზრუნველყოფდა, ადამიანებს ესარგებლათ თავიანთი უფლებებით? ზოგადი დისკუსიის შემდეგ მოსწავლეებს სთხოვენ, იმუშაონ ჯგუფურად და დაადგინონ ადამიანის უფლებების კონკრეტული დარღვევები, რომლებიც ამჟამად ხდება მათ ქვეყანაში ან სხვა ქვეყნებში.
- 11.** თითოეული ჯგუფი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტულ მაგალითებს, რომლებიც იდენტიფიცირებულია დღეს. ყოველი პრეზენტაციის შემდეგ კლასის დანარჩენ წევრებს შეუძლიათ, დაამატონ სხვა მაგალითები, რომლებიც მათთვისაა ცნობილი.
- 12.** მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას შემდეგი კითხვებით:

- ა. რამდენად რთული იყო ადამიანის უფლებების დარღვევის იდენტიფიცირება დღევანდელობაში? რატომ?
- ბ. გაგიკვირდათ თქვენი თანატოლების მიერ წარმოდგენილი ზოგიერთი მაგალითი?
- გ. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებების დაცვის არაერთი მექანიზმი არსებობს, როგორ ფიქრობთ, კვლავ რატომ არღვევენ ადამიანები სხვა ადამიანების უფლებებს?
- დ. იცით, რა უნდა გააკეთოთ, თუ თქვენი ან სხვა ადამიანების უფლებები ირღვევა?
- ე. როგორ ფიქრობთ, ადამიანებმა იციან თავიანთი უფლებები? თუ არა, რატომ?
- ვ. რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ადამიანებმა უფრო მეტი გაიგონ თავიანთი უფლებების შესახებ?
- ზ. რა შეგვიძლია ვისწავლოთ ჰოლოკოსტიდან, რაც დაგვეხმარება, უფრო მეტად დავაფასოთ ადამიანების ღირსება და პატივი ვცეთ მათ უფლებებს?

13. მნიშვნელოვანია, რომ აქტივობის მიზანი არ იყოს ტანჯვის შედარება. ამის უზრუნველსაყოფად, მასწავლებელს შეუძლია ახსნას, რომ ტანჯვა არის ძალიან პიროვნული და ის არასოდეს უნდა შევადაროთ, რადგან ტანჯვა არ არის განსაზღვრული კატეგორია. ამ აქტივობის მიზანი არ უნდა იყოს ჰოლოკოსტის ტრივიალიზაცია, მისი შედარება დისკრიმინაციულ სიტუაციებთან დღევანდელობაში. სწავლების მიზანი უნდა იყოს ადამიანის ღირსების კონცეფციის გაცნობა, ადამიანის უფლებათა კონკრეტული გამოვლინებებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების გააზრება.

შემდგომი ქმედებები:

ანალიზის უფრო მაღალ დონეზე მოსწავლეებს შეუძლიათ, გაიღრმავონ ცოდნა შემდეგი გზებით:

- ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან შეისწავლონ სხვადასხვა ჯგუფის ადამიანები ჰოლოკოსტის დროს: დამნაშავეები, მსხვერპლები, დამკვირვებლები, მაშველები და მოწინააღმდეგეები.
- გააანალიზონ ნაცისტური გერმანიის (ან ევროპის სხვა ფაშისტური მთავრობის) მიერ ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გაუქმება და ასახონ ასეთი მექანიზმების მნიშვნელობა დღეს, რა შეიძლება მომხდარიყო, თუ ისინი არ იარსებებდნენ.
- განიხილონ სხვა მექანიზმები/კანონები, რომლებიც უნდა არსებობდეს ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით.
- შეისწავლონ ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ისტორიული შემთხვევები ფართო მასშტაბით და თვალყური ადევნონ ისტორიულ მოვლენებს ადამიანის ღირსების დაცვის კუთხით (მაგ. აფრო-ამერიკელთა მონობა აშშ-ში, ბოშების მონობა რუმინეთში, კოლონიზაციის შედეგები და ა.შ.).
- აირჩიონ უფლება/მიზეზი, რომელიც მათ აინტერესებთ და შექმნან ცნობიერების ამაღლების კამპანია ამის შესახებ ან წვლილი შეიტანონ არსებულ კამპანიებში ან ქმედებებში.

დანართი 1

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მოკლე მიმოხილვა)

თავი 1 თანასწორობის უფლება	თავი 16 ქორწინებისა და ოჯახის ყოლის უფლება
თავი 2 ჩაგვრისგან დაცვა	თავი 17 საკუთრების უფლება
თავი 3 სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება	თავი 18 რწმენისა და რელიგიური კუთვნილების თავისუფლება
თავი 4 მონობისგან თავისუფლება	თავი 19 აზრისა და ინფორმაციის თავისუფლება
თავი 5 წამებისა და დამამცირებელი მოპყრობისაგან თავისუფლება	თავი 20 შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება
თავი 6 კანონის წინაშე თავისუფალი პიროვნების აღიარების უფლება	თავი 21 თავისუფალ არჩევნებში და ქვეყნის მართვაში მონაწილეობის თავისუფლება
თავი 7 კანონის წინაშე თანაბრობის უფლება	თავი 22 სოციალური უსაფრთხოების თავისუფლება
თავი 8 კომპეტენტური სასამართლოს წინაშე რემედიაციის უფლება	თავი 23 შრომისა და პროფესიული კავშირის წევრობის თავისუფლება
თავი 9 თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და გადასახლებისგან თავისუფლება	თავი 24 დასვენებისა და სიამოვნების თავისუფლება
თავი 10 თავისუფალი საჯარო მოსმენის უფლება	თავი 25 ადეკვატური საცხოვრებელი პირობების თავისუფლება
თავი 11 უდანაშაულობის პრეზუმფცია	თავი 26 განათლების თავისუფლება
თავი 12 თავისუფლება პირად, ოჯახურ სივრცეში, საცხოვრებელსა და კორესპონდენციაში ჩარევისგან	თავი 27 საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება
თავი 13 ქვეყნიდან თავისუფლად გასვლისა და შემოსვლის უფლება	თავი 28 სოციალური წესრიგის უფლება, რომელიც ასახავს ამ დოკუმენტს
თავი 14 სხვა ქვეყანაში თავაშესაფრის მიღების უფლება	თავი 29 საზოგადოებრივი მოვალეობები, რომლებიც აუცილებელია თავისუფალი და სრული განვითარებისთვის
თავი 15 ეროვნული კუთვნილებისა და მისი შეცვლის უფლება	თავი 30 თავისუფლება სახელმწიფოს ან პიროვნული ჩარევისგან ზემოაღნიშნულ უფლებებში

ფოკუსი: მოქალაქეობის უფლება

მიმოხილვა:

ამ აქტივობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს, გააცნობიერონ მოქალაქეობის უფლების მნიშვნელობა, შეისწავლონ, ისტორიის მანძილზე, თუ როგორ მიენიჭა და ჩამოართვეს მოქალაქეობა ებრაელ ხალხს და რა შედეგები მოჰყვა მის (მოქალაქეობის) გაუქმებას.

მიემართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება
- დემოკრატიის, სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება
- დამოუკიდებლად სწავლის უნარი
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი
- თანამშრომლობის უნარი
- მსოფლიოს შეცნობა და კრიტიკული გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: ინტერნეტთან წვდომა

ხანგრძლივობა: 2-3 საათი

რჩევები მასწავლებლებისთვის:

ამ აქტივობაში მოსწავლეებს მოეთხოვებათ კვლევის ჯგუფურად ჩატარება. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს, რომ მოსწავლეებმა კომფორტულად იგრძნონ თავი ჯგუფში მუშაობისას და იცოდნენ, თუ როგორ ჩაატარონ ონლაინკვლევა. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს კონკრეტული ვებსაიტების ჩამონათვალი, რომელთა საშუალებითაც შეძლებენ მეტი ინფორმაციის მოპოვებას. თუ ინფორმაცია, რომელსაც მოსწავლეები თავიანთ კვლევაში წარმოადგენენ, არ არის ზუსტი, თუ ის მომდინარეობს არასანდო წყაროებიდან და ა.შ. მასწავლებლის მოვალეობაა, დაეხმაროს მათ სანდო წყაროების იდენტიფიცირებაში. ყველაფერი, რაც ინტერნეტში ქვეყნდება, არ უნდა მივიღოთ უპირობოდ, როგორც სანდო ინფორმაცია.

აქტივობების აღწერა:

1. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს, რომ თემა, რომლის განხილვასაც აპირებენ, არის მოქალაქეობის უფლება. ისინი განიხილავენ, თუ რას ნიშნავს ეს და მასწავლებელს შეუძლია გაუზიაროს მოსწავლეებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხლი: *ყველას აქვს ეროვნების უფლება. არ შეიძლება თვითნებურად, პიროვნების სურვილის საწინააღმდეგოდ, ჩამოერთვას მოქალაქეობა. და ნებისმიერ პირს აქვს მოქალაქეობის შეცვლის უფლება.*
2. მოსწავლეები ჩაერთვებიან კვლევის პროცესში, რათა გაიგონ, თუ როგორ მიენიჭა მოქალაქეობის უფლება ებრაელებს და როგორ გააუქმა იგი გერმანიამ და ევროპის სხვა ქვეყნებმა. მასწავლებელს შეუძლია, თვითონ შეურჩიოს მოსწავლეებს კონკრეტული ქვეყნები, ან მისცეს მათ საშუალება, თავად აირჩიონ მათთვის საინტერესო ქვეყნები. მოსწავლეები, კვლევითი სამუშაოს შესრულების მიზნით, იყოფიან 4-5 კაციან ჯგუფებად, რათა მიიღონ პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- ა. როდის მიიღეს ებრაელებმა ამ ქვეყანაში მოქალაქეობის უფლება?
 - ბ. რატომ არ აძლევდნენ მათ ადრე მოქალაქეობას?
 - გ. რამ შეუწყო ხელი ამ უფლების მინიჭებას? შეგიძლიათ გაეცნოთ ინტელექტუალურ მოძრაობებს, სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს და ა.შ.
 - დ. როდის ჩამოართვეს მათ ეს უფლება? რატომ?
 - ე. რა შედეგები მოჰყვა ამ უფლების ჩამორთმევას? სხვა რა უფლებებზე იმოქმედა ამ შეზღუდვამ?
- 3.** თითოეული ჯგუფი ამზადებს პრეზენტაციას თავისი კვლევის შედეგებით და წარუდგენს მთელ კლასს.
- 4.** პრეზენტაციების შემდეგ გაიმართება შემაჯამებელი დისკუსია:
- ა. რამდენად რთული იყო ჯგუფური მუშაობისას კითხვებზე პასუხების პოვნა?
 - ბ. როგორ თანამშრომლობდით თქვენს ჯგუფში?
 - გ. გაგიკვირდათ მიღებული ინფორმაცია?
 - დ. დაგეხმარათ თუ არა ეს პროცესი ჰოლოკოსტის შესახებ თქვენი ცოდნის გამდიდრებაში? როგორ?
 - ე. დაგეხმარათ თუ არა ეს პროცესი მოქალაქეობის უფლების უკეთ გაგებაში? როგორ?
 - ვ. დღეს ყველას შეუძლია ისარგებლოს მოქალაქეობის უფლებით?

შემდგომი ქმედებები:

- მოსწავლეებს შეუძლიათ, წაიკითხონ გაეროს მოხსენებები მოქალაქეობის არქონის შესახებ და შეადარონ ვითარება მთელ მსოფლიოში, სხვადასხვა ათწლეულში ან შეადარონ სიტუაცია მოცემულ პერიოდში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.
- კლასს შეუძლია, გაეცნოს 1997 წელს ხელმოწერილ ეროვნების შესახებ ევროპულ კონვენციას.
- მოქალაქეობის უფლება, ისეთ უფლებებთან ერთად, როგორცაა მუშაობის უფლება ან საკუთრების უფლება, შეიძლება შეისწავლონ ანტისემიტობის / ბოშების წინააღმდეგ რასიზმის ისტორიასთან დაკავშირებით, რათა დადგინდეს გავლენა, რომელიც ამ უფლებების ჩამორთმევამ იქონია ებრაელებზე/ბოშებზე.

ფოკუსი: გამოხატვის თავისუფლების უფლება

მიმოხილვა:

ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა ჰოლოკოსტის დროს, მისი შეზღუდვის გზების ანალიზისა და დღევანდელი გამოხატვის თავისუფლების შესახებ მსჯელობით.

მეშარტება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება
- კულტურული მრავალფეროვნების დაფასება
- პატივისცემა
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი
- თანამშრომლობის უნარი
- ენისა და კომუნიკაციის ცოდნა და კრიტიკული გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: ხელმისაწვდომობა ინტერნეტზე ან მასწავლებლის მიერ მომზადებულ მასალაზე

ხანგრძლივობა: 1 საათი

რჩევები მასწავლებლებისთვის:

კონტექსტის მიხედვით, მასწავლებელს შეუძლია, თავად გადაწყვიტოს, დაავალოს მოსწავლეებს განხილული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოძიება თუ თვითონ გაუზიაროს მოსწავლეებს უკვე მომზადებული რესურსები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

აქტივობების აღწერა:

1. მასწავლებელი წერს დაფაზე ან არიგებს მასალას ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლის შესახებ და სთხოვს მოსწავლეებს, განიხილონ ეს თემა ოთხკაციან ჯგუფებში, დაადგინონ მიზეზები, თუ რატომაა გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვანი:

ყველას აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლება; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი სხვისი აკრძალვის გარეშე, მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი მედიის საშუალებით და საზღვრების მიუხედავად.

2. თითოეულ ჯგუფს მიეცემა ერთი მოვლენა ნაცისტურ გერმანიაში (ან ევროპის სხვა ფაშისტურ ქვეყანაში), რომელიც დაკავშირებულია გამოხატვის თავისუფლებასთან და სთხოვენ, შეისწავლონ ეს კონკრეტული მოვლენა და უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- ა. როგორ ფიქრობთ, რატომ სურდა ხელისუფლებას ხალხის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა?
- ბ. რა შედეგები მოჰყვა ამ მოვლენას/კანონს?

გერმანიის მოვლენების მაგალითებია:

- ნიგნების დანვა, 1933;
- პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრება და საკონცენტრაციო ბანაკებში გამოკეტვა, დაწყებული 1933 წლიდან;
- რედაქტორთა კანონი, 1933;
- კინოს სამართალი, 1934;
- უცხოური რადიოს მოსმენის აკრძალვა, 1939.

3. მას შემდეგ, რაც თითოეული ჯგუფი წარადგენს საკუთარ დასკვნებსა და რეფლექსიას, მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით:

- ა. რა შეგვიძლია ვისწავლოთ ნაცისტური გერმანიის მიერ დანესებული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვებიდან?
- ბ. როგორ ფიქრობთ, გამოხატვის თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერს შეუძლია რაიმეს თქმა?
- გ. თქვენი აზრით, უნდა იყოს თუ არა შეზღუდვები გამოხატვის თავისუფლებაზე?
- დ. იცით თუ არა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ?

მასწავლებელი განმარტავს, რომ ევროპაში, ადამიანის უფლებათა ევროპული ქარტიის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაა: ძალადობის ნაქმეობა; სიძულვილის ენა და რასიზმი; ჰოლოკოსტის უარყოფა და ნაცისტური იდეოლოგიის მითითება.¹¹ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, ამ საფუძვლების მიხედვით, არ განიხილება ადამიანის უფლებების დარღვევად.

4. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, იმუშაონ ჯგუფურად და გაიაზრონ, იციან თუ არა დღევანდელ ევროპაში გამოხატვის თავისუფლების რაიმე დარღვევის შესახებ. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარი ნამუშევრის დასკვნებს და მასწავლებელი რთავს მოსწავლეებს დისკუსიაში შემდეგი კითხვების დახმარებით:

- ა. როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი სიტყვის თავისუფლება?
- ბ. რა შეიძლება მოხდეს დღეს, თუ ხელისუფლება სიტყვის თავისუფლებას შეზღუდავს?
- გ. რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენ, როგორც მოქალაქეებმა, როდესაც გვესმის ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ?

შემდგომი ქმედებები:

- მოსწავლეებს შეუძლიათ, იკვლიონ კავშირი პროპაგანდასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის, ჰოლოკოსტის დროს და დღევანდელ ევროპაში.
- მოსწავლეებს შეუძლიათ, შეისწავლონ შეთქმულების თეორიების თემა, დაწყებული სიონის უხუცესთა ოქმებიდან, დღევანდელ ანტისემიტურ შეთქმულების თეორიებამდე.

¹¹ დამატებით ინფორმაციას გაცნობით აქ: <https://rm.coe.int/handbook-freedom-of-expression-eng/1680732814>.

კულტურა და თემები

კულტურული ცხოვრების უფლება / რწმენისა და რელიგიის თავისუფლება

მიმოხილვა:

ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს, გაეცნონ ჰოლოკოსტის დროს მომხდარ საკვანძო მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია ორ უფლებასთან - საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება და რწმენისა და რელიგიის თავისუფლება. ასევე, გაიაზრონ კონკრეტული გზების შესახებ, თუ როგორ ხდება ამ უფლებების დარღვევა დღევანდელ სამყაროში.

მიემართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- კულტურული მრავალფეროვნების დაფასება
- კულტურული სხვაობისა და სხვა რწმენის, მსოფლმხედველობისა და პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისთვის მზაობა
- პატივისცემა
- მოქალაქეობრივი აზროვნება
- ემპათია
- მსოფლიოს შემეცნება და კრიტიკული გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: დანართები 1 და 2 და ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე

ხანგრძლივობა: 1 საათი

რჩევები მასწავლებლებისთვის:

ეს აქტივობა უფრო ეფექტიანია, თუ მოსწავლეებს უკვე აქვთ წინარე ცოდნა ადამიანის უფლებების შესახებ ან სულ მცირე ინფორმაცია მაინც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე, განსაკუთრებით იმ ნაწილზე, სადაც მათ უნდა გაიაზრონ კავშირი განხილულ ორ უფლებასა და ადამიანის სხვა უფლებებს შორის.

დანართ 2-ში აღწერილია ერთ-ერთი მოვლენა ბიალისტოკიდან, რომელიც არც ისე ცნობილია. მასწავლებლებს შეუძლიათ მიიღონ მეტი ინფორმაცია ამ ღონისძიების შესახებ სპეციალურ ვებსაიტზე, რომელიც ასევე წარმოგიდგენთ იდეებს საგანმანათლებლო აქტივობებისთვის: <https://kopisci.org.pl/en/copyists/>.

აქტივობების აღწერა:

1. მოსწავლეები მუშაობენ 4-5 კაციან ჯგუფებში. თითოეული ჯგუფი იღებს ინსტრუქციას დანართ 1-ში და მათი ამოცანაა, განიხილონ კონკრეტული გზები, რომლებითაც ადამიანები სარგებლობენ ან შეიძლება ისარგებლონ ამ უფლებებით დღესდღეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი უნდა დაფიქრდნენ, თუ რას ნიშნავს ეს უფლება რეალურ სამყაროში.

2. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს დისკუსიის დასკვნებს. თუ ჯგუფმა უკვე წარმოადგინა გარკვეული ასპექტები, შემდეგმა ჯგუფებმა არ უნდა გაიმეორონ იგივე. კარგი იქნება, თუ დაამატებენ ზოგიერთ ისეთ ასპექტს, რომელიც არ უხსენებიათ. პრეზენტაციების შემდეგ მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- ა.** როგორ მონაწილეობთ თქვენი საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში?
- ბ.** როგორ ფიქრობთ, თქვენს საზოგადოებაში ყველას, მათ შორის, მიგრანტებსა და უმცირესობის ჯგუფების წარმომადგენლებს, შეუძლიათ, სრულად ისარგებლონ თემის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებით?
- გ.** იცით თუ არა თემის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების რაიმე დარღვევა?
- დ.** როგორ ფიქრობთ, რატომ არის საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება ადამიანის უფლება?
- ე.** ფიქრობთ, რომ შეგიძლიათ ისარგებლოთ თქვენი აზრისა და რელიგიის თავისუფლებით?
- ვ.** როგორ ფიქრობთ, თქვენს საზოგადოებაში ყველას, მათ შორის, მიგრანტებსა და უმცირესობების წარმომადგენლებს, შეუძლიათ, სრულად ისარგებლონ აზრისა და რელიგიის თავისუფლებით?
- ზ.** იცით თუ არა რწმენისა და რელიგიის თავისუფლების უფლების რაიმე დარღვევა?
- თ.** როგორ ფიქრობთ, რატომ არის რწმენისა და რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლება?

3. მოსწავლეები ბრუნდებიან თავიანთ ჯგუფებში და განიხილავენ დანართ 2-ში მოცემულ ამბავს.

- ა.** როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა ეს ამბავი?
- ბ.** იცით თუ არა ჰოლოკოსტის დროს სხვა სიტუაციების შესახებ, რომლებიც ზღუდავდნენ ადამიანების რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას ან მონაწილეობას კულტურულ ცხოვრებაში?

4. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს მოსაზრებას და მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით:

- ა.** როგორ ფიქრობთ, მსგავსმა მოვლენებმა რამდენად განაპირობა UDHR-ის მე-18 და 27-ე მუხლები? რა გზებით?
- ბ.** როგორ უკავშირდება ეს უფლებები ადამიანის სხვა უფლებებს?
- გ.** რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ყველამ შეძლოს ამ უფლებებით სრულად სარგებლობა?

შემდგომი ქმედებები:

- მოსწავლეები იკვლევენ ამ ორი უფლების დარღვევის დღევანდელ მაგალითებს ან ამ უფლებებთან დაკავშირებულ ჰოლოკოსტის პერიოდის სხვა მოვლენებს და ამზადებენ სასკოლო გამოფენას ამ საკითხის შესახებ ფოტოებით, ტექსტებით, ნახატებით და ა.შ.

დანართი 1

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

მუხლი 18

ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძობებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა სწავლებით, წესების დაცვით, აღმსარებლობითა და რიტუალების აღსრულებით.

მუხლი 27

1. ყველას აქვს უფლება, თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.
2. ყველას აქვს უფლება, დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორიც თავადაა.

დანართი 2 - მოვლენები, რომლებიც მოხდა ჰოლოკოსტის დროს

წიგნების დანვა

1933 წელს ნაცისტებმა ჩაატარეს კამპანია იმ წიგნების საზეიმო დანვის მიზნით, რომლებიც მათ „არაგერმანულად“ მიაჩნდათ. 6 მაისს სექსოლოგიის ინსტიტუტი, აკადემიური ფონდი, რომელიც იკვლევს სექსუალობას და მხარს უჭერდა ჰომოსექსუალების უფლებებს, ნაცისტების მხარდამჭერმა ახალგაზრდებმა დაიკავეს და რამდენიმე დღის შემდეგ მისი მთელი ბიბლიოთეკა დანვეს. 10 მაისს გერმანელმა სტუდენტებმა ჩაატარეს კამპანია მთელი ქვეყნის მასშტაბით, რამაც გამოიწვია ათიათასობით წიგნის დანვა ბიბლიოთეკებიდან, სინაგოგებიდან და კერძო სახლებიდან, რომელთაგან ბევრი იყო საერთაშორისოდ აღიარებული ავტორების ნამუშევრები.

Kristallnacht

1938 წლის 9-10 ნოემბერს ნაცისტებმა ჩაიდინეს ძალადობა მთელი გერმანიის ტერიტორიაზე. დაიპყრეს ავსტრია და სუდეთის ოლქი (ამჟამად ჩეხეთის რესპუბლიკის ნაწილი). განადგურდა ასობით სინაგოგა, ებრაული დაწესებულება და სასაფლაო. ასევე, გაიძარცვა და გადაიწვა ათასობით მაღაზია. მეხანძრეებმა მიიღეს ბრძანება, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩარეულიყვნენ, თუ იქნებოდა ცეცხლის სხვა შენობებზე გავრცელების საშიშროება. გერმანიის მთავრობამ ამ ინციდენტში თავად ებრაელები დაადანაშაულა და მათ ზარალის გადახდა, ქუჩების დასუფთავება აიძულა.

ასლის გამკეთებლები

პოლონეთში, ბიალისტოკში, გერმანელ ოფიცერს გაუჩნდა იდეა, ესარგებლა ნიჭიერი ებრაელი მხატვრების დიდი ჯგუფით და აიძულა ისინი, დაეხატათ ოსტატი მხატვრების ნამუშევრები. ასლები გაეგზავნა გერმანელ ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრეებს, რომლებიც მათ გერმანიასა და სხვა ქვეყნებში ყიდდნენ. მხატვრებს სხვა გზა არ ჰქონდათ, უნდა დამორჩილებოდნენ ამ ბრძანებას, რადგან ისინი გეტოში ცხოვრობდნენ და მათი სიცოცხლე ამაზე იყო დამოკიდებული. ისინი ამ საქმიანობაში არ იღებდნენ დამატებით ანაზღაურებას ან დამატებით საკვებს. ოფიცერი პატიმრებს არა ხელოვანებად, არამედ თავისუფალი შრომის განმხორციელებლებად მიიჩნევდა. იზაკ ცელნიკიერი, ერთადერთი გადარჩენილი ამ ჯგუფიდან, რომელიც იმ დროს არ ხატავდა, მაგრამ სტუდიაში დამხმარე იყო, განმარტავდა, რომ მხატვრული ფერწერის სტუდია ბიალისტოკის გეტოში მუშაობდა თითქმის ორი წლის განმავლობაში, 1941 წლის აგვისტოდან 1943 წლამდე. 24 თვის განმავლობაში, დაახლოებით, 20 მხატვრისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელიც, სავარაუდოდ, კვირაში ექვს დღეს მუშაობდა, შექმნა ათასობით ხელოვნების ნიმუში, რომლებიც ძირითადად მოიპარეს.

ცხოვრება ჰოლოკოსტამდე და შემდგომ

მემკვიდრეობა და სიცარიელე

მიმოხილვა:

ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ ჰოლოკოსტის მიერ დატოვებული სიცარიელე. მოსწავლეები სწავლობენ თავიანთი ქალაქის ებრაულ მემკვიდრეობას და აანალიზებენ ჰოლოკოსტის გავლენას ინდივიდებზე, თემზე და საზოგადოების მომავალზე.

მიემართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- კულტურული მრავალფეროვნების დაფასება
- კულტურული სხვაობისა და სხვა რწმენის, მსოფლმხედველობისა და პრაქტიკის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულებისთვის მზაობა
- გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება
- დამოუკიდებლად სწავლის უნარები
- მოსმენისა და დაკვირვების უნარები
- ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარები
- თანამშრომლობის უნარი
- მსოფლიოს შეცნობა და კრიტიკული გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: ინტერნეტთან წვდომა

ხანგრძლივობა: 3 საათი, სამ ნაწილს შორის დავალებით.

რჩევები მასწავლებლებისთვის:

ევროპაში ბევრმა მოსწავლემ არ იცის ებრაული მემკვიდრეობის შესახებ მათ ქალაქში. და შესაძლოა ის არც კი შეხვედრია ებრაულ ადამიანს. ევროპის ბევრ მხარეში, რომელიც ადრე მჭიდროდ იყო დასახლებული ებრაელებით, ამჟამად ამ ებრაული თემის შთამომავლები ძალიან ცოტაა ან საერთოდ აღარ ცხოვრობენ. როდესაც მოსწავლეები სწავლობენ ჰოლოკოსტს, ისინი ფიქრობენ ებრაელ ხალხზე წარსულში. მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ ეს აქტივობა ეხმარება მათ, გააცნობიერონ, რომ წარსული გენოციდი გავლენას ახდენს მსოფლიოს აწმყოსა და მომავალზე, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. აქტივობა გაყოფილია სამ ნაწილად. I და II ნაწილების ბოლოს მოსწავლეებს აქვთ შესასრულებელი სამუშაო, რომელიც შეიძლება მიეცეს როგორც საშინაო დავალება. მოსწავლეთა ასაკიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე, მასწავლებელმა შესაძლოა მეტი დრო მისცეს მოსწავლეებს საშინაო დავალების შესასრულებლად. ასევე, დავალების შესრულება შეიძლება საკლასო მუშაობის დროს, თითოეული ჯგუფისთვის კონკრეტული დავალების მიცემით, რათა ჯგუფებმა შეძლონ დავალების შესრულება დანიშნულ ვადებში. ისეთი აქტივობებისას, როგორებიცაა საარქივო კვლევა ან შეხვედრები ებრაულ საზოგადოებასთან, მასწავლებელს შეუძლია, დაეხმაროს მოსწავლეებს სწორ ადამიანებთან დაკავშირებაში.

აქტივობების აღწერა:

ნაწილი I

- 1.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმუშაონ 3-4 კაცთან ჯგუფებში და შეისწავლონ ებრაელების რაოდენობა, რომლებიც იმყოფებოდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ჰოლოკოსტამდე და მის შემდეგ. მასწავლებელს შეუძლია დაასახელოს ქვეყნები ან მისცეს მოსწავლეებს უფლება, თავად აირჩიონ ის ქვეყნები, რომელთა კვლევაც სურთ. თუ მოსწავლეებს არ აქვთ ინტერნეტთან წვდომა, მასწავლებელს შეუძლია, წინასწარ მოამზადოს მონაცემები და გაანაწილოს კლასში. შემდეგ მოსწავლეები იკვლევენ ებრაელების რაოდენობას, რომლებიც იმყოფებოდნენ ჰოლოკოსტამდე და მის შემდეგ მათ მშობლიურ ქალაქში (თუ მათ მშობლიურ ქალაქში ებრაელი ხალხი არ ცხოვრობდა, სხვა შესაბამის ქალაქს ირჩევენ მასწავლებელი ან თავად მოსწავლეები).
- 2.** მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ როდესაც ასეთ დიდ ციფრებზე ვსაუბრობთ, როგორც წესი, ძალიან რთულია მათი ვიზუალიზაცია და იმის გაგება, თუ რას ნიშნავს ეს რიცხვები სინამდვილეში. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გამოთქვან იდეები, თუ როგორ შეგვიძლია უკეთ გავიგოთ ამ რიცხვების სიდიდე. მოსწავლეებს შეუძლიათ გააკეთონ შედარებითი ანალიზი (მაგ. პოლონეთში დახოცილი ებრაელების რაოდენობა დღევანდელი მადრიდის მოსახლეობის ტოლია), დახატონ, გამოთვალონ პროცენტები, შექმნან გრაფიკები და ა.შ.
- 3.** მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ამ დახოცილთაგან თითოეულს ჰყავდა ოჯახი, ნათესავები, მეგობრები, კოლეგები, რომელთა უმეტესობაც ასევე დახოცეს. ეს ნიშნავს, რომ განადგურდნენ არა მხოლოდ ინდივიდები, არამედ მთელი საზოგადოებები, ასევე, ახალი ცხოვრების შექმნის შესაძლებლობა - შვილები და შვილიშვილები. მოსწავლეებს სთხოვს, გამოთვალონ ომამდე ებრაელი ხალხის პროცენტი მშობლიურ ქალაქში და რამდენი ებრაელი ცხოვრობს დღეს.
- 4.** მოსწავლეებს სთხოვს, იმუშაონ ჯგუფურად და განაგრძონ კვლევა მშობლიურ ქალაქში ებრაული თემის შესახებ. ამჯერად მათ არ უნდა გაამახვილონ ყურადღება ციფრებზე, არამედ ებრაელების შეტანილ წვლილზე ქალაქის ცხოვრებაში: ბიზნესი, ხელოვნება, მშენებლობა, განათლება, სამზარეულო და ა.შ. ან თითოეულ ჯგუფს დაავალოს კვლევის თემა ებრაულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. მოსწავლეებს ურჩევენ, დაუკავშირდნენ ებრაულ საზოგადოებას, ჩაატარონ კვლევები არქივებში, ბიბლიოთეკებში, ეწვიონ მუზეუმებს, ჩაატარონ ინტერვიუები ისტორიკოსებთან და ა.შ.

ნაწილი II

- 5.** მასწავლებელი სთხოვს თითოეულ ჯგუფს, წარმოადგინონ თავიანთი დასკვნები და წარმართავს დისკუსიას შემდეგი კითხვების საფუძველზე:
 - ა.** რამდენად რთული იყო ინფორმაციის მოძიება ებრაული თემის შესახებ?
 - ბ.** იცოდით თუ არა ამ ზოგიერთი ასპექტის შესახებ?
 - გ.** იყო თუ არა რაიმე ისეთი, რამაც გაგაკვირვათ ამ კვლევაში?
 - დ.** როგორ ფიქრობთ, აქ მცხოვრებმა სხვა მოქალაქეებმა იციან ჩვენი ქალაქის ებრაული მემკვიდრეობის შესახებ?
 - ე.** როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ უფრო მეტმა ადამიანმა გაიგოს ჩვენი ქალაქის ებრაული მემკვიდრეობის შესახებ?

6. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ იმაზე, რომ ცალკეული ადამიანების, მთელი ოჯახებისა და თემის განადგურებამ უზარმაზარი სიცარიელე დატოვა. მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, როგორ განსაზღვრავდნენ სიცარიელეს და დაფიქრდნენ, როგორ შეიძლება იყოს წარმოდგენილი, გააზრებული ან „დანახული“ ის, რაც აღარ არსებობს. მოსწავლეები მუშაობენ 4-5 კაცთან ჯგუფებში და აყალიბებენ ებრაელების განადგურების შედეგად დატოვებული სიცარიელის თავიანთ განმარტებას.
7. ყველა ჯგუფის პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში შექმნან სიცარიელის წარმოდგენები. ეს შეიძლება იყოს ნახატები, ლექსები, სიმღერები, გრაფიკული ხელოვნება და ა.შ.

III ნაწილი

8. მასწავლებელი იწვევს მოსწავლეებს, რათა მათ წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევარი – აჩვენონ, წაიკითხოთ, შეასრულონ და, საჭიროების შემთხვევაში, დააბუსტონ დეტალები და განმარტებები.
9. თითოეული ჯგუფის/მოსწავლის წარმოდგენის შემდეგ მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას შემდეგი კითხვების საფუძველზე:
 - ა. რამდენად რთული იყო სიცარიელის წარმოდგენა?
 - ბ. როგორ შეარჩიეთ სიცარიელის წარმოსახვის საშუალება (ნახატი, ლექსი და ა.შ.)?
 - გ. როგორ შეარჩიეთ თქვენი ნამუშევრის შინაარსი?
 - დ. როგორ ფიქრობთ, თქვენს ნამუშევარში წარმოჩენილია ადამიანის ღირსების პატივისცემა? რა გზით?

შემდგომი ქმედებები:

- მოსწავლეებს შეუძლიათ, შექმნან სასკოლო გამოფენა სიცარიელეზე თავიანთი წარმოდგენით და მოაწყონ დისკუსია თანატოლებთან.
- პროექტზე დაფუძნებული სწავლის მეთოდოლოგიის გამოყენებით,¹² მოსწავლეებს შეუძლიათ, ფოკუსირება მოახდინონ თავიანთ ქალაქში ებრაული თემის გარკვეული ასპექტების შესწავლაზე, როგორცაა შენობები, ადამიანები და პიროვნებები, ცხოვრებისეული ისტორიები, კანონმდებლობა - დისკრიმინაციული ან ინკლუზიური, უბნები, სამზარეულო, კულტურული თავისებურებები და ტრადიციები. ასევე, მათ შეუძლიათ, გამოიკვლიონ არქივები, გამოიკითხოთ ადამიანები, მოიწვიონ საზოგადოების წარმომადგენლები სკოლაში, შექმნან გრაფიკული გამოსახულებები, ფოტოგამოფენა, ბუკლეტი და ა.შ.
- მოსწავლეები ჩაერთვებიან აქტივობებში, რომლებიც ხელს უწყობს ებრაული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, როგორცაა ებრაული სასაფლაოების გაწმენდა და მოვლა, სინაგოგების და სხვა შენობების განახლების შესახებ პეტიციების დაწერა, ორგანიზება, ებრაულ საზოგადოებასთან პარტნიორობით, თუ ასეთი ჯერ კიდევ არსებობს, ჰოლოკოსტის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მოწყობა, მსხვერპლთა და გადარჩენილთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოების მოწყობა, ებრაული კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაციისთვის ღონისძიებების ჩატარება და ა.შ.

¹² დამატებითი დეტალებისთვის ეწვიეთ თავს მეთოდოლოგიის შესახებ.

ებრაული კულტურის შესწავლა

მიმოხილვა:

ეს აქტივობა მიზნად ისახავს, მოსწავლეებს გააცნოს ებრაული კულტურის გარკვეული ასპექტები და გაზარდოს მათი კულტურული მრავალფეროვნების დაფასება.

მიემართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- კულტურული მრავალფეროვნების დაფასება
- კულტურული სხვაობისა და სხვა რწმენის, მსოფლმხედველობისა და პრაქტიკის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულებისთვის მზაობა
- პატივისცემა
- გაურკვევლობის მიმართ შემწყნარებლობა
- დამოუკიდებლად სწავლის უნარები
- მოსმენისა და დაკვირვების უნარები
- ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარები
- ენისა და კომუნიკაციის ცოდნა და კრიტიკული გააზრება
- მსოფლიოს შეცნობა და კრიტიკული გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: დანართი 1; ებრაული თემის წევრთან შეხვედრის მომზადება.

ხანგრძლივობა: 3 საათი, გარკვეული ინტერვალებით - სავარაუდო ხანგრძლივობა 1-2 საათი ინდივიდუალური სამუშაოსთვის (სახლში); მოსწავლეები წერენ თხზულებებს.

რჩევები მასწავლებლებისთვის:

განსხვავებული კულტურის გაცნობის საუკეთესო გზა იმ ადამიანებთან ურთიერთობაა, რომლებიც ამ კულტურის წევრები არიან. სამწუხაროდ, ევროპის ბევრ ქვეყანაში ძალიან ცოტა ებრაელი დარჩა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ებრაული თემის წარმომადგენლები უმეტეს ქალაქში მცირეა, ისინი მაინც ინარჩუნებენ თავიანთ ტრადიციებს და შეუძლიათ დაეხმარონ მოსწავლეებს, გაეცნონ მათ. თუ ებრაული თემის წევრთან პირადად შეხვედრა შეუძლებელია, შეიძლება მოეწიოს ონლაინ შეხვედრა სხვა ქალაქიდან ან თუნდაც სხვა ქვეყნიდან.

ვიზიტისთვის მომზადების მიზნით, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებთან ებრაული კულტურისა და იუდაიზმის გარკვეული ასპექტების განხილვა. მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს, რა შეისწავლოს მოსწავლეებთან ვიზიტის წინ, მათი ინტერესის მიხედვით. ეს აქტივობა გვთავაზობს ზოგიერთი მთავარი დღესასწაულის შესახებ დისკუსიას, როგორც ამოსავალ წერტილს. შესაძლოა მოსწავლეები უკვე იცნობდნენ დანართში აღწერილ დღესასწაულებს. ამ შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია, აირჩიოს ებრაული კულტურის სხვა ასპექტები. შესაძლოა, მოსწავლეებმა ძალიან ცოტა იციან ებრაული კულტურის შესახებ და მასწავლებელს შეიძლება დასჭირდეს დანართში ნახსენები ზოგიერთი ასპექტის ახსნა - მაგალითად, რა არის იდიში. იმისათვის, რომ მოსწავლეები ჩაერთონ ამ აქტივობებში, არ არის აუცილებელი, მასწავლებელი იყოს ებრაული კულტურის ექსპერტი. თუ მოსწავლეები სვამენ კითხვებს, რომლებზეც მასწავლებელი ვერ პასუხობს, კლასს შეუძლია

იმსჯელოს, სად შეიძლება ამ კითხვებზე პასუხების პოვნა და ინფორმაციის რომელი წყაროა სანდო. მასწავლებელს ასევე შეუძლია აჩვენოს ფოტოები ან ვიდეო, რომლებიც ასახავს დანართში წარმოდგენილ დღესასწაულებს. დანართში დღესასწაულები ჩამოთვლილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ებრაული კალენდრის მიხედვით.

როგორც ყოველთვის, კულტურასთან დაკავშირებულ ზოგად ასპექტებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს შევახსენოთ მრავალფეროვნება, რომელიც არსებობს ებრაულ კულტურაში: ებრაული საზოგადოების ყველა წევრი არ არის ერთნაირი წესებისა და ტრადიციების მიმდევარი; ზოგიერთი ტრადიცია დამახასიათებელია მსოფლიოს გარკვეულ ნაწილში მცხოვრებთათვის, მაგრამ არა დანარჩენებისთვის და ა.შ.

აქტივობების აღწერა:

ნაწილი I

1. მასწავლებელი აცნობებს მოსწავლეებს, რომ ისინი აპირებენ, ჩაერთონ აქტივობების სერიაში ებრაული კულტურის გაცნობის მიზნით და ამ აქტივობების დასასრულს ისინი ინდივიდუალურად დაწერენ ესეებს. ესეების მიზანი არ არის მოსწავლეების გამოცდა მათ მიერ ნასწავლ ინფორმაციაში, არამედ ის არის საშუალება, მოსწავლეები დაფიქრდნენ, თუ რისი სწავლა და გაგება სურთ შემდგომში.
2. მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, რა იციან იუდაიზმის, ებრაული კულტურისა და ტრადიციების შესახებ. ე.წ. გონებრივი რუკა შეიძლება შეიქმნას დაფაზე ან გაზიარებულ დოკუმენტში.
3. შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში. თითოეულ ჯგუფს აქვს დავალება, შეისწავლოს დანართ 1-ში აღწერილი ერთ-ერთი დღესასწაული. თუ მათ აქვთ წვდომა ინტერნეტზე, მათ შეუძლიათ, მოგვიანებით შეისწავლონ ეს დღესასწაული და მოემზადონ თავიანთი თანატოლებისთვის წარსადგენად. თითოეული ჯგუფი მთელ კლასს წარუდგენს მათ მიერ შესწავლილ დღესასწაულს. თუ თანატოლებს აქვთ შეკითხვები, ისინი ჩაწერენ მათ და განიხილავენ ყველა პრეზენტაციის შემდეგ.
4. მასწავლებელი გამართავს დისკუსიას შემდეგი კითხვების საფუძველზე:
 - ა. იცოდით თუ არა ამ ტრადიციების შესახებ? რომლები?
 - ბ. გაგაკვირვათ რაიმემ, რაც დღეს ისწავლეთ?
 - გ. არის რამე ისეთი, რაც თქვენი კულტურის მსგავსია?
 - დ. არის რამე, რაც ვერ გაიგეთ? რა?
 - ე. კიდევ რა გსურთ იცოდეთ ებრაული კულტურის შესახებ?
5. მოსწავლეებს ურჩევენ, დაწერონ კითხვები და მოიფიქრონ სხვა რამ, რაც მათ სურთ იცოდნენ ებრაული კულტურის შესახებ, რათა მოემზადონ ებრაული თემის წევრთან შესახვედრად.

ნაწილი II

6. ებრაული თემის წევრთან შეხვედრა მასწავლებელმა წინასწარ უნდა დაგეგმოს. სპიკერი შეიძლება მიიწვიონ სკოლაში, ან მოსწავლეებს შეუძლიათ ეწვიონ ებრაულ საზოგადოებას და დაესწრონ პრეზენტაციას. შეხვედრის ფორმატი შეიძლება იყოს: პრეზენტაცია, რასაც მოჰყვება კითხვა-პასუხი, ან ის შეიძლება დაიწყოს უშუალოდ მოსწავლეების კითხვებით. ამ აქტივობის დროს კარგი შესაძლებლობაა, რომ მოინახულოთ სინაგოგა და გაიგოთ მეტი, თუ როგორ ტარდება მსახურება ან სხვა რამე ტრადიციული რიტუალი სინაგოგაში.
7. ამ შეხვედრის დასასრულს მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს დავალებას, დაწერონ ესე ებრაულ კულტურაზე. თითოეულ მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა, წაიკითხოს თავისი ესე აქტივობის შემდეგ ნაწილში.

III ნაწილი

8. მოსწავლეები წაიკითხავენ ესეებს სამკაცრიან ჯგუფებში. მას შემდეგ, რაც მოსწავლე წაიკითხავს თავის ესეს, სხვები გამოთქვამენ თავიანთ აზრს. თუ მოსწავლეები არ იცნობენ კონსტრუქციული უკუკავშირის ტექნიკას, მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეები, ყურადღება გაამახვილონ დადებით ასპექტებზე და შესთავაზოს მათ, გამოიყენონ ისეთი წინადადებები, როგორებიცაა:
 - ა. რაც გავიგე, როცა შენს ესეს კითხულობდი, არის ის, რომ...
 - ბ. ერთი ასპექტი, რომელიც ძალიან მომეწონა შენს ესეში, არის...
 - გ. მესმის, რომ შენს ესეში გინდოდა ფოკუსირება...? მართალი ვარ?
 - დ. თუ უფრო განავრცობ შენს ესეს, ვფიქრობ, საინტერესო იქნება, უფრო დეტალურად, დაწვრილებით წარმოადგინო შემდეგი ასპექტი...
9. მასწავლებელი რთავს კლასს რეფლექსიაში შემდეგი კითხვების საფუძველზე:
 - ა. როგორი იყო თქვენთვის ებრაული კულტურის გაცნობა?
 - ბ. რა იყო ყველაზე საინტერესო?
 - გ. კიდევ რა გსურთ იცოდეთ ებრაული კულტურის შესახებ? რა შეგიძლიათ გააკეთოთ ამ ინფორმაციის მისაღებად?
 - დ. როგორ ფიქრობთ, კიდევ ვინ უნდა ისწავლოს ებრაული კულტურის შესახებ? შეგიძლიათ დაეხმაროთ მათ სწავლაში?

დანართი 1 - ზოგიერთი მთავარი ებრაული დღესასწაული

შაბათი

შაბათი აღნიშნავს კვირის მეშვიდე დღეს. ეს არის ფიზიკური და სულიერი სიამოვნების დღე, რათა გავიხსენოთ სამყაროს შექმნის მიზანი, არსი და მასში ადამიანის როლი. როდესაც ღმერთმა დაისვენა ექვს დღეში სამყაროს შექმნის შემდეგ, ებრაელებიც ისვენებენ თავიანთი საქმისგან. ბევრი ებრაელი ესწრება მსახურებას სინაგოგაში შაბათს. შაბათის შემოსვლა - ყოველ პარასკევს მზის ჩასვლამდე - აღინიშნება სანთლის დანთების რიტუალით. ამ დღეს აღნიშნავენ ოჯახთან ერთად ყოფნით და შაბათის გამორჩეული კერძების მიერთებით. მღერიან, სწავლობენ და ზეიმობენ ერთად. ებრაული დღე დაღამებიდან დაღამებამდე გრძელდება, რაც ნიშნავს, რომ შაბათი პარასკევს საღამოს იწყება და შაბათ საღამომდე გრძელდება. შაბათის ტრადიციული მისალმება არის “შაბატ შალომი”(რაც ნიშნავს “კარგ შაბათს”) ან “გუთ შაბს”, რაც იმავეს ნიშნავს იდიშზე.

როშ ჰაშანა

როშ ჰაშანა არის ებრაული ახალი წელი, რომელიც აღინიშნება ებრაული თვის ტიშრეის პირველ დღეს, რომელიც, ჩვეულებრივ, დგება სექტემბრის დასაწყისში. დღესასწაული ორ დღეს გრძელდება. მსახურებაზე შოფარის ხმა რომ ჰაშანას ცენტრალური ნაწილია. პირველი დღის შუადღისას პურის ნატეხებს ბუნებრივად გამდინარე წყალში, ყრიან ცოდვებისაგან განწმენდის მიზნით. მეორე დამეს მიერთმევენ ახალ ხილს, სიახლის სიმბოლოს ან თაფლში დასველებულ ვაშლს. რომ ჰაშანას ყველაზე გავრცელებული მისალოცი არის “შანა თოვა” (კარგი წელი) ან უფრო გრძელი ვერსია, “შანა ტოვაჰ უმტუკა” (კარგი და ტკბილი წელი გქონდეთ).

იომ კიპური

იომ კიპური ანუ გამოსყიდვის დღე ითვლება ებრაელთა უწმინდეს დღესასწაულად. ეს დღეა ცხოვრებაზე ფიქრისა და პატიების სათხოვნელად, ამქვეყნიური სამყაროსგან განშორებისა და ღვთაებრივთან ურთიერთობისთვის. ებრაელები ამ დღეს მარხულობენ და სინაგოგაში ლოცულობენ. იომ კიპურის საღამო იწყება კოლ ნიდრეით, განცხადებით, რომელიც სამჯერ მეორდება, ყველა აღთქმისა და ფიცის შენდობას ითხოვს, რათა ახალი წელი სუფთა ფურცლით დაიწყოს. ამ დღეს უყურებენ, როგორც შესაძლებლობას, რომ შეიცვალოს დამოკიდებულებები და ქცევები და სამყარო ყველასთვის უკეთესი გახდეს.

ჰანუკა

ჰანუკა არის დღესასწაული, რომელიც პატივს მიაგებს მაკაბელთა (ებრაელი მეომრების) გამარჯვებას მეფე ანტიოქესზე, რომელმაც ებრაელებს აუკრძალა რელიგიის აღსრულება. რვა დღე-ღამის განმავლობაში ანთებენ სანთლებს, მღერიან სიმღერებს, ბავშვები იღებენ საჩუქრებს და მიერთმევენ გემრიელ კერძებს, ებრაელთა ერთ-ერთი ყველაზე სასიხარულო დღესასწაულის აღსანიშნავად. ყოველ ღამე თითო სანთელს ანთებენ სპეციალურ მენორაში - სასანთლე ცხრა სანთლის

ადგილით - ყოველ ღამეს თითო დამატებით დამხმარე სანთელი. ჰანუკა აღინიშნება კისლევის 25-ე დღეს (ებრაული კალენდრის მეცხრე თვე), რომელიც ჩვეულებრივ ნოემბრის ბოლოს - დეკემბრის შუა რიცხვებშია.

ფესახი

ფესახი აღნიშნავს ძველი ეგვიპტიდან ებრაელთა მონობისგან გამოსნას. ფესახის დღესასწაული ერთ-ერთი დიდი ზეიმი და რვა დღის განმავლობაში აღინიშნება. სპეციალური საკვები, სახელად სედერი, მხოლოდ პირველ და ზოგჯერ მეორე ღამეს არის დაშვებული. დღესასწაულის ყველაზე მნიშვნელოვანი კერძია მაცა, რომელიც მხოლოდ ფქვილითა და წყლით მომზადებული პურია. მზადდება საფუარის გარეშე, ბრტყელია და დიდ კრეკერს ჰგავს. ეს არის შეხსენება იმ პურის შესახებ, რომელიც ისრაელელებმა თან წაიღეს, როცა ეგვიპტიდან გამოიქცნენ თავისუფლებისთვის. ფესახს დღესასწაულობენ მარტში ან აპრილში. ის ასევე გაზაფხულის დღესასწაულია.

პურიმი

პურიმი იხსენებს ესთერის ისტორიას, რომელმაც სპარსეთში მცხოვრები ებრაელები განადგურებისგან იხსნა. ჰამანმა, მეფის მთავარმა მრჩეველმა, დაარწმუნა მეფე, რომ ებრაელები სამეფოს საფრთხეს უქმნიდნენ. მეფემ გულუბრყვილოდ დაუჯერა მას და ჰამანს მიანიჭა ებრაელების განადგურების ძალაუფლება. მეფის ცოლი, ესთერი, ებრაელი ქალი იყო, თუმცა მან მეფეს თავისი წარმომავლობა დაუმალა. როდესაც მან შეიტყო ჰამანის შეთქმულების შესახებ, მოაწყო შეხვედრა ქმართან და გაუმხილა, რომ ებრაელი იყო და დაარწმუნა მეფე, შეეჩერებინა ჰამანის გეგმა. პურიმს აღნიშნავენ ოჯახთან და მეგობრებთან ერთად, ტკბილეულითა და ნამცხვრებით, საჩუქრების გაცვლითა და ღარიბებისთვის მოწყალების გაცემით. ბავშვებს სიამოვნებთ პურიმის ისტორიის პერსონაჟების სამოსის ჩაცმა და საკარნავალო თამაშები. პურიმი აღინიშნება ებრაული თვის ადარის მე-14 დღეს, რომელიც ჩვეულებრივ მარტში მოდის.

ბოშების კულტურის შესწავლა

მიმოხილვა:

ეს აქტივობა მიზნად ისახავს, მოსწავლეებს გააცნოს ბოშათა კულტურის გარკვეული ასპექტები, რათა მათ მეტი შეიტყონ მათი კულტურული მრავალფეროვნების შესახებ.

მიემართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- კულტურული მრავალფეროვნების დაფასება
- კულტურული სხვაობისა და სხვა რწმენის, მსოფლმხედველობისა და პრაქტიკის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულებისთვის მზაობა
- პატივისცემა
- გაურკვევლობის მიმართ შემწყნარებლობა
- დამოუკიდებლად სწავლის უნარები
- მოსმენისა და დაკვირვების უნარები
- ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარები
- ენისა და კომუნიკაციის ცოდნა და კრიტიკული გააზრება
- მსოფლიოს შეცნობა და კრიტიკული გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: დანართები 1 და 2; ბოშათა თემის წევრთან შეხვედრის მომზადება ან ბოშათა ხელოვნების ნიმუშების გამოფენაზე, პერფორმანსზე და ა.შ. დასწრება

ხანგრძლივობა: 3 საათი, გარკვეული ინტერვალებით და სავარაუდო ხანგრძლივობა - 30 წუთი სახლში ინდივიდუალური მუშაობისთვის.

რჩევები მასწავლებლებისთვის:

აქტივობების ეს სერია მოიცავს შეხვედრას ბოშათა თემის წევრთან ან ვიზიტს ბოშათა კულტურულ ღონისძიებაზე დასასწრებად. სპიკერი შეიძლება მიიწვიონ სკოლაში, ან მოსწავლეებმა შეიძლება მოინახულონ ბოშათა ასოციაცია და იქ დაესწრონ პრეზენტაციას. თუ მასწავლებელი აირჩევს მოსწავლეების წაყვანას ბოშათა კულტურულ ღონისძიებაზე, საჭიროა წინასწარ დაწვრილებით გაიგოს ყველაფერი ამ ღონისძიების შესახებ. საყურადღებოა, რომ ღონისძიება მართლაც იყოს ორგანიზებული ბოშა ხელოვანების მიერ. მნიშვნელოვანი რესურსი, რომელიც მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ ბოშათა კულტურის გასაცნობად, არის RomArchive,¹³ საერთაშორისო ციფრული არქივი ბოშათა ხელოვნებისა და კულტურის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული არქივები ხშირად ასახავს ბოშებს სტერეოტიპულად, RomArchive ყურადღებას ამახვილებს ავთენტურ ნარატივებზე. თავად ბოშების მიერ შექმნილი კონტენტის მეშვეობით, RomArchive ქმნის ცოდნის სანდო წყაროს, რომელიც საფუძველს უდებს ახალი ნარატივების გაჩენას, რომლებშიც ასახულია ბოშათა იდენტობების მრავალფეროვნება.

¹³ RomArchive: <https://www.romarchive.eu/en/>.

სამწუხაროდ, ევროპაში ბევრ ადამიანს ჯერ კიდევ აქვს სხვადასხვა სტერეოტიპი და ცრურწმენა ბოშების მიმართ. ეს ხელს უშლის მათ ბოშებთან ღია და გულახდილ დიალოგს. აქტივობები, რომლებიც ეხება სტერეოტიპებსა და ცრურწმენებს, რომლებიც წარმოდგენილია ამ სახელმძღვანელოს წინა თავში, დაეხმარება მოსწავლეებს, დაძლიონ ზოგიერთი სტერეოტიპი. ბოშა თემის წარმომადგენლებთან შეხვედრა, რომლებსაც შეუძლიათ, წარმოადგინონ და განიხილონ თავიანთი კულტურის ასპექტები, მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, ჩაერთონ ინტერკულტურულ დიალოგში და ჩამოიყალიბონ თავიანთი მოსაზრებები კულტურული მრავალფეროვნებისა და ადამიანის ღირსების პატივისცემის მიმართ.

როგორც ყოველთვის, როდესაც ვსაუბრობთ კულტურასთან დაკავშირებულ ზოგად ასპექტებზე, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს შევახსენოთ ბოშათა კულტურაში არსებული მრავალფეროვნება. კერძოდ, ყველა ადამიანი, რომელიც თავს ბოშად მიიჩნევს, არ მისდევს ერთსა და იმავე კულტურულ პრაქტიკასა და რწმენას; ზოგიერთი ტრადიცია დამახასიათებელია მსოფლიოს გარკვეულ ნაწილში მცხოვრები ბოშებისთვის, და არა ყველასთვის.

აქტივობების აღწერა:

ნაწილი I

1. მასწავლებელი აცნობებს მოსწავლეებს, რომ აპირებენ, ჩაერთონ აქტივობების სერიაში ბოშათა კულტურის გაცნობის მიზნით.
2. მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, თუ რა იციან ბოშათა კულტურისა და ისტორიის შესახებ. ჩამონათვალი გონებრივი იერიშით შეიძლება შეიქმნას დაფაზე ან გაზიარებულ დოკუმენტში.
3. შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში. თითოეულ ჯგუფს ევალება დანართ 1-ში მოცემული ტექსტის წაკითხვა და კითხვებზე პასუხების მომზადება. მოსწავლეებს შეუძლიათ, მოიძიონ პასუხები ინტერნეტში, თუ არ იციან ისინი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მცირე ჯგუფებში განიხილავენ ტექსტს და კითხვებს, პასუხებს გაუზიარებენ მთელ კლასს. თუ ოთხი ჯგუფია, თითოეულ ჯგუფს შეუძლია წარმოადგინოს პასუხი რვა კითხვიდან ორზე, რათა ყველა კითხვა დაიფაროს და მოსწავლეებმა არ გაიმეორონ უკვე ნათქვამი.
4. მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას კლასში შემდეგი კითხვების საფუძველზე:
 - ა. იცოდით იმ საკითხების შესახებ, რაზეც დღეს ვისაუბრეთ? რა საკითხები იყო თქვენთვის ნაცნობი?
 - ბ. გაგაკვირვავთ რაიმემ, რაც დღეს ისწავლეთ?
 - გ. არის რამე, რაც ვერ გაიგეთ? რა?
 - დ. კიდევ რა გსურთ იცოდეთ ბოშების კულტურის შესახებ?
5. შემდეგი ნაწილი შედგება ქვემოთ მოცემული აქტივობებისგან:
 - ბოშათა თემის წევრთან შეხვედრისას, მასწავლებელი მოუწოდებს მოსწავლეებს, ჩამოწერონ ის საკითხები, რაც მათ სურთ, რომ იცოდნენ ბოშათა კულტურის შესახებ.
 - ბოშური ხელოვნების გამოფენის მონახულება, ბოშათა კულტურულ ღონისძიებაზე დასწრება.

ნაწილი II

- 6.** მასწავლებლის მიერ დაგეგმილია შეხვედრა ბოშათა თემის წევრთან. შეხვედრის ფორმატი შეიძლება იყოს: პრეზენტაცია, რასაც მოჰყვება კითხვა-პასუხი, ან შეხვედრა შეიძლება დაიწყოს უშუალოდ მოსწავლეების კითხვებით. ამ შემთხვევაში, მომხსენებელს შეუძლია დაამატოს ის ინფორმაცია, რომელზეც მოსწავლეებს არ უსაუბრიათ დისკუსიისას.
- 7.** ამ შეხვედრის დასასრულს, მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს ორ დავალებას შემდეგი შეხვედრისთვის:
- წაიკითხონ დანართი 2 და ხაზი გაუსვან იმ ასპექტებს, რომელთა განხილვაც სურთ აქტივობის შემდეგ ნაწილში;
 - მოიძიონ ბოშათა კულტურული ღონისძიებები თავიანთ ქალაქში/ქვეყანაში - თეატრი, მუსიკა, გამოფენები, მუზეუმები, ბოშების ასოციაციების მიერ ორგანიზებული ღონისძიებები და სხვ.

III ნაწილი

- 8.** მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს შეხვედრის შემდგომი რეფლექსიისთვის:
- ა. როგორ გრძნობდით თავს შეხვედრის დროს?
 - ბ. რა იყო ყველაზე საინტერესო, რაც ისწავლეთ?
 - გ. რამე გაგიკვირდათ შეხვედრის დროს?
 - დ. რა ასპექტების განხილვა გსურთ მიჰელა დრავანთან ინტერვიუდან გამომდინარე?
 - ე. ემთხვევა თუ არა მისი ხედვა ბოშათა კულტურის შესახებ-ის (პიროვნების სახელი) შეხედულებებს? რა კუთხით?
 - ვ. შეიცვალა თუ არა თქვენი წარმოდგენა ბოშათა თემის შესახებ ამ აქტივობების შემდეგ? როგორ?
- 9.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია ბოშების კულტურული ღონისძიებების/ინსტიტუციების შესახებ, რომლებიც მათ აღმოაჩინეს კვლევისას. ამის შემდგომ მასწავლებელი სვამს შემდეგ კითხვებს:
- ა. რომელია თქვენთვის ყველაზე საინტერესო მოვლენა წარმოდგენილი ინფორმაციიდან?
 - ბ. შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს ღონისძიებები ბოშა ხელოვანების მიერ არის შექმნილი თუ მითვისებულია?
 - გ. ადრე თუ დასწრებიხართ ბოშათა კულტურულ ღონისძიებებს?
 - დ. როგორ ფიქრობთ, როცა მომავალში ბოშათა კულტურულ ღონისძიებებს დაესწრებით, თქვენი შეხედულებები განსხვავებული იქნება?
 - ე. კიდევ რა გსურთ, იცოდეთ ბოშების კულტურის შესახებ? რა შეგიძლიათ გააკეთოთ ამ ინფორმაციის მისაღებად?
 - ვ. როგორ ფიქრობთ, კიდევ ვინ უნდა ისწავლოს ბოშათა კულტურის შესახებ? შეგიძლიათ დაეხმაროთ მათ სწავლაში?

დანართი 1 - ბოშათა კონგრესი¹⁴

1960-იან წლებში დაიწყო ბოშების მოძრაობის გააქტიურება საერთაშორისო დონეზე. 1971 წელს ლონდონში ჩატარდა ბოშათა პირველი მსოფლიო კონგრესი. მას ესწრებოდნენ მონაწილეები 14 ქვეყნიდან, რომლებიც გაემგზავრნენ ამ უნიკალურ ღონისძიებაზე თავიანთი საერთო ეთნიკური იდენტობის დასადასტურებლად. სავარაუდო პირველი ნაბიჯები გადაიდგა ომამდე, 1931 წლის კონგრესზე ბუქარესტში. ბოშების დროშა მიღებულ იქნა 1971 წლის კონგრესზე, ბოშების ჰიმნთან ერთად, სახელწოდებით „გელემ, გელემი“. დროშა შედგება მწვანე და ლურჯი ფონისგან (წარმოადგენს ცასა და დედამიწას) და 16 წვეტიან წითელ ჩაკრას (რომელიც სიმბოლოა ბოშა ხალხის მოხეტიალე ტრადიციისა და ინდოეთისადმი პატივისცემისა). სიმღერა ეხება ბოშების მომთაბარე ტრადიციას, ასევე ჰოლოკოსტის დროს განხორციელებულ დევნას. დევიზი *Opre Roma!* გახდა ბოშათა მოძრაობის პოლიტიკური კრედო და მისი ბრძოლა სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისთვის. კონგრესზე განხილულ ასპექტებს შორის იყო ისეთი სიტყვების გამოყენების აკრძალვის აუცილებლობა, როგორცაა *cigani*, *Zigeuner*, *gipsy*, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გულისხმობდა ლანძღვას, მარგინალიზაციასა და გარიყულობას. შეთანხმდნენ, რომ ტერმინი „Roma“ იყო ამ არასწორი სახელების ჩანაცვლების საუკეთესო გამოსავალი. დღემდე, ევროპის სხვადასხვა კუთხეში ცხრა ბოშათა კონგრესი მოეწყო.

1. რა არის არასწორი ტერმინი?
2. რას ნიშნავს სიტყვა Roma ბოშურ ენაზე?
3. რა სიტყვები იცით ბოშური ენიდან?
4. რას ნიშნავს „ოპრე რომა“?
5. რა სიტყვებია ბოშათა ჰიმნში?
6. რატომ არის ინდოეთისადმი პატივისცემა გამომხატული ბოშების დროშაზე?
7. როდის აღინიშნება ბოშათა ეროვნული დღე? რატომ აირჩიეს ეს თარიღი?
8. რას ნიშნავდა რკინის ფარდა?

¹⁴ მოცემული ტექსტი ეფუძნება ევროპის საბჭოს დოკუმენტს ბოშების შესახებ: <https://www.coe.int/en/web/roma-and-travellers/roma-historyfactsheets> და გრათან პუქსონის, პარვარდ FXB-ს მონვეული მწერლის მიერ შექმნილ ტექსტს: <https://fxb.harvard.edu/2019/04/25/london-1971-the-first-world-roma-congress/>.

დანართი 1 – ინტერვიუ მიჭაელა დრაგანთან ¹⁵

რა მიგაჩნიათ ბოშათა კულტურის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებად?

ბოშების კულტურა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც თავად ჩვენ, ბოშები. ბევრს ჰგონია, რომ ბოშების კულტურა ტრადიციულია, ფოლკლორული, რომ ეს ყველაფერი ფერად სამოსში ცეკვას და ხალისიან მუსიკას გულისხმობს მხოლოდ, მაგრამ სინამდვილეში ის ბევრად უფრო კომპლექსურია. ბოშების კულტურა ასევე არის თანამედროვე, ფუტურისტული. ეს არის კულტურა, რომელიც მუდმივად ვითარდება.

ბოშების კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს იდენტობასთან და ჩაგვრის ისტორიასთან. სწორედ ამიტომ ის „საუბრობს“ ჩვენს გამოცდილებაზე, მაგალითად, რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ისტორიის მანძილზე ბოშების კულტურა შთააგონებდა დომინანტურ კულტურას იმ ქვეყნებში, სადაც ბოშები იმყოფებოდნენ. სამწუხაროდ, ეს წვლილი იშვიათად არის აღიარებული, ან მითვისებულია მეინსტრიმული კულტურის მიერ, ან წარმოდგენილია სტერეოტიპული გზებით, დაყვანილია „ბოშების ტრადიციამდე“ ან ბოშების შესახებ კლიშეებამდე.

როგორ შეძლეს ბოშებმა, შეენარჩუნებინათ თავიანთი კულტურა ცრურწმენების, რასიზმის, გარიყულობისა და პოგრომების მიუხედავად, რომლებიც იყო - და, გარკვეულწილად, დღესაც არის - ევროპის ქვეყნებში?

მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა კულტურამ შეგვინარჩუნა გამძლეობა. ჩვენ წინააღმდეგობა გავუწიეთ და ვაგრძელებთ გადარჩენასა და ბრძოლას, რადგან ჩვენს კულტურაში შეგიძლიათ იპოვოთ უამრავი სიხარული და სიყვარული სიცოცხლის მიმართ. ჩვენ გვიყვარს ჩვენი კულტურა, გვიყვარს დღესასწაულების აღნიშვნა და ერთად შეკრება. მთელი ჩვენი საზოგადოება ერთი დიდი ოჯახია და ყველაფერს ვუბიარებთ ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს საზოგადოებაში არის იერარქიები და უსამართლობაც კი, ჩვენი კულტურის არსი ყოველთვის იყო ერთობა. ჩვენ ჩვენს ბრძოლას ჩვენი კულტურით გამოვხატავთ. მიუხედავად ყველა ჩაგვრისა, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, ჩვენ კვლავ აქ ვართ და ვამაყობთ იმ კულტურით, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს იდენტობას.

შეგიძლიათ აგვიხსნათ, რატომ არის ბოშათა თემი ასეთი მრავალფეროვანი?

მრავალფეროვანია, რადგან ჩვენ სხვადასხვა ჯგუფი ვართ, იმის მიხედვით, თუ რა სამუშაოს ასრულებდნენ ჩვენი წინაპრები წარსულში და დღესაც. ჩვენ ვართ მჭედლები, ოქრომჭედლები, მუსიკოსები, ყვავილების გამყიდველები და ა.შ. ჩვენ შეგიძლია ვისაუბროთ ბოშური ენის სხვადასხვა დიალექტზე, იმის მიხედვით, თუ რომელ ჯგუფს ვეკუთვნით. ტრადიციული ბოშების ჩაცმულობა შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა თემში. ყველა ბოშა არ იცვამს ტრადიციულ ტანსაცმელს და ყველა არ საუბრობს ბოშურად. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ბოშები არიან.

თქვენ შექმენით ახალი ჟანრი, სახელად Roma Futurism. ვთხოვთ გაგვიზიაროთ რას ნიშნავს ეს კონცეფცია და როგორ გამოიხატება ის.

ბოშების ფუტურიზმი არის კულტურული კონცეფცია, რომელიც მე განვაავითარე 2018 წელს, როდესაც მივხვდი, რომ არ არსებობს ბოშური ხელოვნება, რომელიც წარმოგვადგენს მომავალში, რომ არ არსებობს სამეცნიერო ფანტასტიკური ბოშური ხელოვნება. ამ ახალ ჟანრზე მთელი

¹⁵ მიჭაელა დრაგანი არის მულტიდისციპლინური არტისტი, სცენარისტი, მსახიობი და Giuvlipen Theatre Company-ს, პირველი დამოუკიდებელი ბოშური ფემინისტური თეატრის თანადამფუძნებელი რუმინელი.

ზაფხული ვმუშაობდი ჰონგ კონგის რეზიდენციაში და ასე განვმარტავ მას: ბოშების ფუტურში ქმნის ურთიერთქმედებას ბოშათა კულტურას, ტექნოლოგიასა და სულიერებას შორის. იგი აერთიანებს სამეცნიერო ფანტასტიკის ელემენტებს, ბოშების ისტორიას, ფანტაზიას, ბოშების სუბკულტურას, მაგიურ რეალიზმს, კრეატიულ ტექნოლოგიას მაგიურ პრაქტიკებთან და სამკურნალო რიტუალებთან.

ის ჰგავს ბოშათა ისტორიას, იმ თვალსაზრისით, რომ მოიცავს გენეტიკურად გადმოცემული ტკივილისგან და თაობათშორისი ტანჯვისგან განკურნებას, რაც წინაპრებისგან თუ ჰოლოკოსტისა და მონობის მსხვერპლთაგან გადმოგვეცემოდა.

მე გამოვხატე ბოშების ფუტურში ხელოვნების სხვადასხვა ფორმით, როგორცაა თეატრალური სპექტაკლი - Romacene: The Age of Witch, ექსპერიმენტული ფილმი - The future is a safe place hidden in my braids და მუსიკალურ ალბომში TechnoWitches, რომელიც შეიქმნა მხატვარ ნიკო ჯ.-სთან ერთად.

რისი გაკეთება შეუძლიათ სხვებს (არაბოშებს) ბოშათა კულტურის გაგებისა და პოპულარიზაციისთვის?

სამწუხაროდ, ბოშების კულტურის შესახებ სტერეოტიპული ხელოვნების პროდუქტების სიმრავლეა და ხალხმა, უბრალოდ, უნდა შეწყვიტოს მისი მოხმარება. ხალხი შეიძლება იყოს უფრო პროაქტიული ბოშების კულტურის შესახებ სტერეოტიპების მიღმა გაცნობაში და იმის გაგებაში, რომ არავის აქვს უფლება, ჩვენი სახელით ილაპარაკოს - განსაკუთრებით გულდასაწყვეტი დუმილის ისტორიის შემდეგ - და რომ არავის აქვს უფლება, მიითვისოს* ჩვენი კულტურა. ადამიანებმა, რომლებიც მუშაობენ ხელოვნებასა და კულტურაში და არიან მაღალ პოზიციებზე ხელისუფლებაში, უნდა მისცენ მეტი სივრცე და წარმოჩენის შესაძლებლობა ბოშა ხელოვნებს და ხელი შეუწყონ ჩვენს თანამედროვე ხელოვნებას.

.....

* კულტურული მითვისება ხდება მაშინ, როდესაც დომინანტური ჯგუფის წევრები იღებენ არადომინანტური ჯგუფის კულტურულ ელემენტებს ექსპლუატაციურად, პატივისცემის გარეშე ან სტერეოტიპული გზით. მაგალითად, როდესაც დომინანტური ჯგუფის წევრები ფინანსურ ან სოციალურ სარგებელს იღებენ არადომინანტი ჯგუფის კულტურიდან; როცა ზედმეტად ამარტივებენ ამ კულტურას ან არასერიოზულად ეპყრობიან; როდესაც აცალკევებენ კულტურის ელემენტს მისი საწყისი მნიშვნელობიდან.

მსხვერპლები, გადარჩენილები, მეზობლები

ინდივიდუალური ისტორიები – ამოსავალი წერტილი ისტორიის გასაგებად

ინდივიდუალური ისტორიები ეხმარება მოსწავლეებს, დაინახონ და გაიგონ ისტორია ადამიანური, და არა პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური ან სხვა პერსპექტივიდან. კინო, ვიდეოჩვენებების გამოყენება სწავლებაში არა მხოლოდ ძლიერი გზაა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა და გადარჩენილთა დასამახსოვრებლად, არამედ მოსწავლეების თანაგრძნობისა და უსამართლო და არაადამიანური ქმედებების გავლენის მიმართ უფრო ღრმა გაგება-გააზრების გასავითარებლად. ტრადიციულად, ისტორიის შესწავლისას, ვიდეორესურსები გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესის დასასრულს, როგორც ისტორიის წიგნებიდან, არქივებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული ნასწავლის დანამატი. ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მიდგომა გვთავაზობს პროცესს, რომელიც მუშაობს პირიქით: მოსწავლეები იწყებენ ინდივიდუალური ისტორიიდან და შემდეგ ატარებენ კვლევას, რათა გაიგონ უფრო ზოგადი სოციალური და ისტორიული კონტექსტი, რომელშიც განვითარდა კონკრეტული ამბავი.

ამ თავში წარმოდგენილია ორი ამბავი, ერთი ჰოლოკოსტს გადარჩენილი ებრაელისა და ერთი ბოშას შესახებ. ამ ისტორიებში მოსწავლეები იკვლევენ ადგილობრივ კონტექსტს, რომელშიც ეს ამბები მოხდა. მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს იგივე მიდგომა სხვა ისტორიების შერჩევისას, მათი მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს ამბავი ქვეყნიდან, სადაც მოსწავლეები ცხოვრობენ ან ევროპის სხვა ქვეყნიდან. თუ მასწავლებელი თანამშრომლობს¹⁶ სხვა ქვეყნის მასწავლებელთან, მან შეიძლება აირჩიოს ამბავი ამ კონკრეტული ქვეყნიდან.

ასია რაბერმანი

მიმოხილვა:

ამ აქტივობაში მოსწავლეები იკვლევენ, თუ როგორ განვითარდა ჰოლოკოსტი ევროპის კონკრეტულ ნაწილში, ჰოლოკოსტის გადარჩენილის ჩვენებაზე დაფუძნებით.

მიემართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება
- პატივისცემა
- ემპათია
- საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება
- ისტორიის ცოდნას და კრიტიკული გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

¹⁶ ჰოლოკოსტისა და ადამიანის უფლებების განათლების სპეციალისტებს შორის თანამშრომლობის ეროვნული და საერთაშორისო დაოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <https://www.intercultural.ro/en/booklet-collaboration-holocaust-human-rights-educators/>.

რესურსები და მასალები:

- ასია რაბერმანის ისტორია თითოეული მოსწავლისთვის
- ინტერნეტზე წვდომა

ხანგრძლივობა: 2 საათი

რჩევები მასწავლებლებისთვის:

ეს აქტივობა მოიცავს ჰოლოკოსტს გადარჩენილის ჩვენებას, რომელსაც შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს მოსწავლეებზე. მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მოსწავლეთა ემოციურ მდგომარეობას. აქტივობა კარგი შესაძლებლობაა, დაეხმაროს მოსწავლეებს, გააცნობიერონ კავშირი პირად ამბებსა და ისტორიას შორის. მხოლოდ ფაქტებისა და ციფრებით სწავლა ვერ გამოიწვევს წარსულის ემპათიურ გააზრებას. ამავდროულად, ცალკეული ისტორიების შესწავლამ, ზოგადი კონტექსტის ცოდნის გარეშე, შეიძლება წარსულის შეზღუდულ ან დამახინჯებულ გაგებად მიგვიყვანოს.

აქტივობების აღწერა:

მოსწავლეები ეცნობიან მასალას ასია რაბერმანის ისტორიიდან. მათ სთხოვენ, წაიკითხონ და შემდეგ 4-5 კაციან ჯგუფებში ჩაერთონ შემდეგ ორ პროცესში: პირველ რიგში, ასიას კონტექსტის შესწავლა და შემდეგ მის ამბავზე დაფიქრება.

1. ასიას კონტექსტის კვლევა:

- ა. როგორი იყო ცხოვრება მიზოჩისა და რივნიში ომამდე?
- ბ. რა ისტორიული მოვლენებია აქტუალური ევროპის ამ ნაწილისთვის ომის დროს?
- გ. რა მოიმოქმედეს ებრაელების წინააღმდეგ მიზოჩისა და რივნიში და როდის?
- დ. როგორ იმოქმედა ასიაზე ამ ქმედებებმა?

მოსწავლეები წარმოადგენენ დასკვნებს და განიხილავენ უფრო დიდ ჯგუფში.

2. დაფიქრდით ასიას ისტორიაზე შემდეგი კითხვების დახმარებით:

- ა. როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდა ასია, როდესაც ყველა მისი თანატოლი მას უგულვებელყოფდა?
- ბ. როგორ ფიქრობთ, რატომ უგულვებელყოფდნენ მას?
- გ. როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდნენ ასიას მშობლები, როდესაც გადანყვითეს მისი გადაცემა გაბორების ოჯახისთვის?
- დ. როგორ ფიქრობთ, რატომ დასთანხმდა მცხობელი ასიას დახმარებაზე?
- ე. როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდა ასია, როცა კაბინეტში იმალებოდა და უკრაინელი თანამშრომლის სიტყვები მოისმინა?
- ვ. როგორ ფიქრობთ, რატომ გადანყვითეს გაბორების ოჯახმა ასიას დახმარება?
- ზ. როგორ ფიქრობთ, რატომ გადანყვითეს ასიამ და მისმა ძმამ პალესტინაში გადასვლა?

- 3.** ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს და მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით:
- ა.** როგორ დაგეხმარათ ეს აქტივობა ჰოლოკოსტის გააზრებაში?
 - ბ.** როგორ დაგეხმარათ ეს აქტივობა ადამიანის გაცნობაში?
 - გ.** ბავშვის რა უფლება/უფლებები დაირღვა ასიას სიუჟეტში?
 - დ.** რა შეგვიძლია ვისწავლოთ პირადი ისტორიებიდან, რასაც ვერ ვისწავლით აკადემიური ისტორიის წიგნებიდან? რა შეგვიძლია ვისწავლოთ აკადემიური ისტორიის წიგნებიდან, რასაც ვერ ვისწავლით პირადი ისტორიებიდან?

შემდგომი ქმედებები:

- მოსწავლეებს შეუძლიათ ნახონ ასიას ჩვენების ჩანაწერი: <https://youtu.be/lPopK4ehzGE>
- მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან პრეზენტაცია მიზოჩის რაიონში ჰოლოკოსტისა და ასიას ამბის შესახებ.
- შესაძლებელია თანამშრომლობითი პროექტების შემუშავება ნებისმიერი ქვეყნის მასწავლებელსა და მიზოჩის რეგიონის მასწავლებლებს შორის. ამ პროექტებში, ერთ ქვეყანაში მოსწავლეებს შეუძლიათ შეისწავლონ ჰოლოკოსტს გადარჩენილთა ისტორია სხვა ქვეყანაში და გაცვალონ რეგიონის თანატოლებთან.

ასია რაბერმანის ისტორია¹⁷

ასია 11 წლის იყო, როცა ნაცისტები მის მშობლიურ ქალაქ მიზოჩში (ამჟამად, უკრაინა) შევიდნენ. იგი ცხოვრობდა დედასთან, რომელიც ფარმაცევტი იყო, მამასთან, რომელიც სოფლის მეურნეობის ინჟინერი გახლდათ და ძმასთან, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტი იყო.

ის გაიზარდა ლიბერალურ და გონებაგახსნილ ოჯახში, სავსე იყო „ბევრი სიყვარულით, განათლებით, ჰუმანისტური ღირებულებებით. მისი ოჯახი ებრაულ თემს მიეკუთვნებოდა, მაგრამ არ მისდევდა რელიგიურ წესებს და ასიმილირებული იყო პოლონურ კულტურაში.

ასია სკოლაში ძალიან პოპულარული გოგონა იყო და ბევრი მეგობარიც ჰყავდა. ასე იყო 1939 წლის ივნისის ბოლომდე, როდესაც ებრაულ საზოგადოებაში გავრცელდა ქორები იმის შესახებ, რომ რაღაც დიდი საშინელება მზადდებოდა ებრაული თემის წარმომადგენლების წინააღმდეგ.

მისმა მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ ასიას გადარჩენისთვის საუკეთესო ვარიანტი იყო მისი დამალვა კათოლიკურ ოჯახში ომის დასრულებამდე. მარია და ჯოზეფ გაბორი ასიას მშობლებთან მეგობრობდნენ და ძალიან უყვარდათ იგი. მათ შვილი არ ჰყავდათ და შესთავაზეს მისი წაყვანა და თავის ქალიშვილად გაზრდა. თუ მისი მშობლები ომს გადაურჩებოდნენ, მარია და იოსები მას უკან დააბრუნებდნენ. 1942 წლის 10 ოქტომბერს ასია უნდა გადასულიყო გაბორების ოჯახთან ერთად, მშობლიური ქალაქიდან 18 კილომეტრის მოშორებით, მაგრამ არ სურდა მშობლების გადაწყვეტილებას დამორჩილებოდა. მას სურდა მათთან რაც შეიძლება დიდხანს დარჩენა. როდესაც გაბორები მივიდნენ მის წამოსაყვანად, მიუხედავად იმისა, რომ ბარგი ჩალაგებული ჰქონდა, ასიამ გადაწყვიტა, რომ ის მშობლებთან დარჩენილიყო. ტიროდა და ყვიროდა და ვერ დაარწმუნეს, რომ წასულიყო. მიუხედავად ამისა, დედამ მარია გაბორს გაატანა ერთ-ერთი ჩემოდანი - „თუ გადაიფიქრა...“.

ორი დღის შემდეგ „დასუფთავების აქცია“ დაიწყო გეტოში, სადაც ის და მისი მშობლები ცხოვრობდნენ. „ჩვენ სამივე ერთად ვერ ვიქნებით, გაქცევა მოგიწევს“ - უთხრა დედამ. საბედნიეროდ, მათი სახლი გეტოს პირას იყო. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, სადაც „არიული ნაწილი“ იწყებოდა, ცხოვრობდა მცხობლის ოჯახი, რომელიც მეგობრობდა ასიას ოჯახთან. მშობლებმა უთხრეს, რომ იქ გაქცეულიყო და მან ეს გააკეთა. როდესაც ქუჩაში გარბოდა, უკან ძლიერი სროლის ხმა გაისმა. მაშინვე გონებაში გაუელვა მშობლის დახვრეტის ფიქრმა, მაგრამ ეყო ძალა, უკან არ მოეხედა.

სულ რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა შევიდა მცხობლის სახლში, ვიღაცამ დააკაკუნა კარზე. მცხობელმა ასია კაბინეტში დამალა და კარი გააღო. ეს იყო უკრაინელი თანამშრომელი, რომელიც ნასვამი იყო და მიზოჩში ნაცისტების ჩასვლის აღსანიშნავად მოვიდა. კაბინეტის შიგნიდან ასიამ მოისმინა კაცის ნათქვამი: „ისინი აქ ხოცავენ ებრაელებს და ძალიან ბედნიერი ვარ ამის გამო. მომეცი არაყი, ამის აღსანიშნად უნდა დავლიოთ, რომ ბოლოს და ბოლოს მიზოჩშიც დადგა ეს დღე“. მერე წავიდა და თქვა, რომ ბევრი სამუშაო ჰქონდა, ყველა ებრაელი უნდა მოეკლა.

მცხობელმა ასია საწყობში დამალა. ჩასვა ცარიელ ყუთში, რომელიც იდო ორი სხვა ყუთის თავზე, მიწიდან დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლეზე. მისცა პური და უთხრა, იქ წოლილიყო, სანამ თვითონ არ მიაკითხავდა. ასია იხსენებს, რომ ფიქრობდა: „რაც იქნება, იქნება. გავიგონე ახალგაზრდების ხმები, რომლებიც გამოაგდეს სახლებიდან და მათ მოუწიათ წასულიყვნენ ბაზარში და იქიდან ხევებში (...) სოსეოკიში (ტყე რივნესთან). სწორედ იქ დავდიოდით ზაფხულობით ერთად პიკნიკზე“. იგი იწვა იქ 48 საათზე მეტხანს და იმეორებდა ერთ ლოცვას, რომელსაც დედა ასწავლიდა ებრაულად, მიუხედავად იმისა, რომ არ ესმოდა მისი შინაარსი: „ჩვენო ერთადერთო ღმერთო. გთხოვ, დამეხმარო“.

¹⁷ ტექსტი ეფუძნება TOLI სემინარებისათვის ევროპის სახვადასხვა ქვეყანაში ასია რაბერმანის მიერ გადმოცემულ ზეპირი ისტორიის ჩანაწერს.

ყუთში ხევში წაყვანილი ხალხის ხმა ჩაესმა: „ხალხის ხმა გავიგე, ერთი გოგოს ხმაც კი ვიცანი „ნუ მომკლავ. მე მინდა სიცოცხლე. ნება მომეცით, ვიცოცხლო! მე მინდა ვიცხოვრო“. ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, ასიას მაინც ესმის ხანდახან, ღამით, როცა ვერ იძინებს: „გთხოვ, არ მომკლა!“ ბგერების გარდა ასიამ იგრძნო სპეციფიკური სუნი: „ცეცხლის სუნი ვიგრძენი. სხეულები დაწვეს. უცნაურია. მე არ შემიძლია ამის ახსნა. ხალხის დაწვას ჰგავს“. რამდენიმე წლის შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ სანამ ის ყუთში იმალებოდა, ზოგიერთმა ებრაულმა ოჯახმა ხევში შიშვლად დახვრეტილი შვილების ნახვას საკუთარ სახლებში გამოიწვია ამჯობინა. ოჯახები ელოდნენ სიკვდილს ცეცხლის ალში გახვეულ ადგილებში, სადაც ოდესღაც მათი სახლები იდგა.

ორი დღის შემდეგ მცხოვრები დაბრუნდა. იგი დაეხმარა მას ქალაქიდან გასვლაში და გაუშვა ბუდერაჟის მიმართულებით, სადაც გაბორების ოჯახი ცხოვრობდა. თერთმეტი წლისამ მოახერხა ღამით 18 კილომეტრის გავლა დამოუკიდებლად და ბოლოს მივიდა იმ ადგილას, რომელიც მისი ახალი სახლი უნდა გამხდარიყო. მათ მიერ შეთხზული ამბავი, თუ გესტაპო დაკითხვას დააპირებდა, იყო ის, რომ ასია იყო მარია გაბორის ნათლული და რომ მისი მამა იყო პოლონელი პოლიციელი, რომელიც რუსებმა ციმბირში გააგზავნეს.

მაგრამ იმისათვის, რომ ეს გეგმა განხორციელებულიყო, გაბორები უნდა გადასულიყვნენ რივნეში, უფრო დიდ ქალაქში, სადაც ასიას არავინ იცნობდა. რივნეში ასია დადიოდა საჯარო სკოლაში და კათოლიკურ ეკლესიაში, ისევე როგორც მისი ასაკის სხვა გოგონები. 1944 წელს, 2 თებერვალს, რივნე აიღო წითელმა არმიამ და დარჩა საბჭოთა კონტროლის ქვეშ. ასია იხსენებს, რომ ყოველ ღამე მიმდინარეობდა დაბომბვები, ძარცვა და ძალადობა.

მძარცველებმა არც ასიას მეორე ოჯახი დაინდეს. ერთ დღეს, როდესაც მარია გაბორი რივნედან ბუდერაჟში მიემგზავრებოდა რაიმე საკვების საყიდლად, მისი ეტლი გაძარცვეს და ის და მისი მეეტლე მოკლეს. როცა გაიგო, რომ მისი ცოლი გარდაცვლილი იყო, სანამ ასიას რამეს ეტყოდა, იოსებმა თავი მოიკლა. „მე დავკარგე მეორე მშობლები, რომლებიც ასე კარგები იყვნენ ჩემთვის და ამ სახლში მართო ვიყავი ძალღთან ერთად. (...) მეშინოდა. მე მეგონა, რომ მსოფლიოში ერთადერთი ებრაელი ვიყავი“.

საბოლოოდ, ასია ძმამ იპოვა, რომელიც ომის დროს ტაშკენტში სტუდენტი იყო და უკან დაბრუნება მოახერხა. მათ გაიგეს, რომ მათი მშობლები დახოცეს. გადაწყვიტეს, ეპოვათ გზა პალესტინაში გადასასვლელად. გარკვეული დრო გაატარეს ავსტრიაში ლტოლვილთა ბანაკში, შემდეგ ერთი წელი იტალიაში და ნახევარი წელი კვიპროსში. ამ მოგზაურობაში ასია შეხვდა თავის მომავალ ქმარს და ისინი იყვნენ ერთ-ერთი პირველი წყვილი, ვინც დაქორწინდა ისრაელში. მათ ერთობლივი ცხოვრება ნულიდან დაიწყო. ასია იხსენებს თავის ქორწილში საქმელს: „ჩვენ გვექონდა სენდვიჩები“. ორივე სწავლობდა იერუსალიმში, შემდეგ კი გადავიდა ჰაიფაში, სადაც იგრძნო, რომ რაღაცას მიაღწიეს. იხსენებს მაშინდელ ფიქრებს: „ჩვენ საკუთარ ქვეყანაში ვცხოვრობთ. მიგვიღეს, სტუმრები არ ვართ და მიხარია. აქ ვარ საკუთარ სახლში. მე მაქვს უფლება, დავიცვა თავი. მე ვმუშაობ, მიმიღეს, ვარ საჭირო და შემიძლია ჩემი წვლილი შევიტანო ბავშვების დახმარებაში, ჩვენი ქვეყნის აშენებასა და საბოლოოდ მიმღებლობაში“.

ასია საუბრობს ფიქრებზე, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე არ შორდებოდა და აიძულებდა საკუთარ თავს, ეკითხა: “როგორ ვიყო ბედნიერი, როცა ამდენი ადამიანი მოკლეს? მთელი ცხოვრება ორი “რატომ“-ით უნდა ვიცხოვრო. რატომ სძულდა ხალხს ებრაელები იმდენად, რომ მათი დახოცვა სურდათ? მეც ხომ ისეთივე თვალეები და ხელები მაქვს, როგორც თქვენ ყველას, განსხვავებული ვარ? და მეორე “რატომ“ არის: რატომ ვარ აქ თქვენთან? ამდენი წლის შემდეგ მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, გადამარჩინეს, არ მომკლეს, რატომ?”

მეორე „რატომ“-ზე პასუხის გაცემა ასიამ სცადა იმით, რომ თავისი ცხოვრება მიუძღვნა ფსიქოლოგიური აშლილობის მქონე ბავშვებთან მუშაობას.

იუსტინიან ბაღვა

მიმოხილვა:

ამ აქტივობაში მოსწავლეები იკვლევენ ბოშების ჰოლოკოსტს გადარჩენილის ჩვენებებს, როგორც სანყის წერტილს ჰოლოკოსტის დროს ბოშების დევნის საკვლევად.

მიმართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება
- კულტურული სხვაობის, სხვა რწმენის, მსოფლმხედველობისა და გამოცდილების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულებისთვის მზაობა
- პატივისცემა
- მოქალაქეობრივი აზროვნება
- პასუხისმგებლობა
- გაურკვევლობის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება
- მოსმენისა და დაკვირვების უნარები
- ემპათია
- მსოფლიოს შეცნობა და კრიტიკული გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები:

- იუსტინიან ბაღვას ამბავი ერთად თითოეული მოსწავლისთვის
- ინტერნეტზე წვდომა

ხანგრძლივობა: 2 საათი

რჩევები მასწავლებლებისთვის:

ეს აქტივობა მოიცავს ჰოლოკოსტს გადარჩენილის ჩვენებას, რომელსაც შეუძლია, დიდი გავლენა მოახდინოს მოსწავლეებზე. მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მოსწავლეთა ემოციურ მდგომარეობას. აქტივობა კარგი შესაძლებლობაა, დაეხმაროს მოსწავლეებს, გააცნობიერონ კავშირი პირად შეხედულებებსა და ისტორიას შორის. მხოლოდ ფაქტებისა და ციფრების სწავლა ვერ აღძრავს მათში ემპათიას წარსულში მომხდარი მოვლენების მიმართ. ამავდროულად, ცალკეული ისტორიების შესწავლამ, ზოგადი კონტექსტის ცოდნის გარეშე, შეიძლება გამოიწვიოს წარსულის დამახინჯებული გაგება. მოსწავლეებმა შეიძლება ბევრი რამ არ იცოდნენ ბოშების ისტორიის შესახებ. მაგალითად, შეიძლება საჭირო გახდეს გარკვეული დროის დათმობა ბოშების მონური მდგომარეობის შესწავლისთვის, რომელიც თითქმის 500 წელი გაგრძელდა.

აქტივობების აღწერა:

მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას იუსტინიან ბაღვას შესახებ. მათ უნდა წაიკითხონ ტექსტი და შემდეგ 4-5 კაციან ჯგუფებში ჩაერთონ ორ აქტივობაში. ჯერ შეისწავლიან იუსტინიანის ამბავს და შემდეგ იმსჯელებენ ამ ისტორიის ირგვლივ.

1. შეისწავლეთ იუსტინიანის ამბის კონტექსტი:

- ა. როგორი იყო ბოშათა ცხოვრება ბუქარესტში/რუმინეთში ომამდე?
- ბ. რა ისტორიული მოვლენებია აქტუალური ევროპის ამ ნაწილისთვის ომის დროს?
- გ. რა ზომები მიიღეს ბოშების წინააღმდეგ და როდის?
- დ. როგორ მოხდა, რომ ზოგიერთი ბოშა რუმინეთის ჯარში საბრძოლველად გაგზავნეს და სხვები კი გადაასახლეს?
- ე. როგორ იმოქმედა იუსტინიანზე განვითარებულმა მოვლენებმა და ბოშების წინააღმდეგ გატარებულმა კონკრეტულმა ზომებმა?

მოსწავლეები წარმოადგენენ დასკვნებს და განიხილავენ უფრო დიდ ჯგუფში.

2. დაფიქრდით იუსტინიანეს ისტორიაზე შემდეგი კითხვების დახმარებით:

- ა. როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდა იუსტინიანი, როცა მამამისი ომში უნდა წასულიყო?
- ბ. როგორ ფიქრობთ, როგორ გრძნობდა თავს ის, როცა იძულებული გახდა, დაეტოვებინა სახლი?
- გ. წარმოგიდგენიათ, როგორი იყო მისთვის იმ მატარებელში ყოფნა, სადაც ხალხს საკვები და წყალი არ ჰქონდა და ამის გამო ბევრი დაიღუპა? რას იფიქრებდა? რა შეიძლება ეგრძნო?
- დ. როგორ ფიქრობთ, რატომ მიატოვა იუსტინიანის მამამ ჯარი და წავიდა დნესტრისპირეთში ოჯახთან შესახვედრად?

3. ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს და მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას შემდეგი კითხვების მოშველიებით:

- ა. რამდენად დაგეხმარათ ეს აქტივობა ჰოლოკოსტის შესახებ ცოდნის მიღებაში?
- ბ. რამდენად დაგეხმარათ ეს აქტივობა ადამიანის ბუნების უკეთ გაცნობაში?
- გ. ბავშვის/ადამიანის რა უფლება/უფლებები დაირღვა იუსტინიანის შემთხვევაში?
- დ. რა შეგვიძლია ვისწავლოთ პირადი ისტორიებიდან, რასაც ვერ ვისწავლით აკადემიური ტიპის ისტორიის წიგნებიდან? რა შეგვიძლია ვისწავლოთ აკადემიური ტიპის ისტორიის წიგნებიდან, რასაც ვერ ვისწავლით პირადი ისტორიებიდან?

შემდგომი ქმედებები:

- მოსწავლეებს შეუძლიათ ნახონ სხვა გადარჩენილი ბოშების ჩანაწერები შემდეგ ლინკზე - <https://iwitness.usc.edu/home>
- მოსწავლეებს შეუძლიათ გააკეთონ პრეზენტაცია დნესტრისპირეთში ბოშების დეპორტაციის შესახებ.
- შესაძლებელია თანამშრომლობითი პროექტების შემუშავება ორი სხვადასხვა ქვეყნის მასწავლებლებს შორის. ამ პროექტებში, ერთ ქვეყანაში მოსწავლეებს შეუძლიათ შეისწავლონ ჰოლოკოსტს გადარჩენილთა ისტორიები და გაცვალონ რეგიონის სხვა თანატოლებთან.

იუსტინიან ბადეას ამბავი¹⁸

იუსტინიან ბადეა დაიბადა ბუქარესტში, 1931 წლის 21 დეკემბერს. მამამისი ჯარში გაიწვიეს 1941 წელს. რამდენიმე თვის შემდეგ ხელისუფლებამ შეკრიბა დედამისი და ძმები, სხვა ბოშებთან ერთად და გადაიყვანეს პრეფექტურაში, საკვების გარეშე. იქიდან წაიყვანეს რკინიგზის სადგურზე და ორი დღის განმავლობაში გამოკეტეს პირუტყვის გადასაყვან ვაგონებში, წყლისა და საკვების გარეშე. ამ ორი დღის განმავლობაში ბევრი ადამიანი დაიღუპა. Tighina-ში¹⁹ მატარებელი რამდენიმე საათით გაჩერდა და ჟანდარმებმა ვაგონები გახსნეს, რომ ჰაერი შემოსულიყო, თუმცა მატარებლიდან არავის უშვებდნენ. მატარებელმა მოძრაობა გააგრძელა გრიგორესტისკენ და იქიდან კი ბოშები ვაგონებით ბოგდანოვაში გადაიყვანეს.

ზამთარი ძალიან მკაცრი იყო. ბოშებს არც შეუა ჰქონდათ, არც სამოსი, არც არაფერი. ბევრი ადამიანი გარდაიცვალა სიცივისა და შიმშილისგან. გაზაფხულზე იუსტინიანის მამამ მათი პოვნა შეძლო. მან გაიგო, რომ ისინი დეპორტირებული იყვნენ და ფრონტი დატოვა, რათა მოეძებნა ოჯახის წევრები. ყველას აიძულებდნენ, დილიდან დაღამებამდე დაემუშავებინათ მიწის ნაკვეთები და ვინც ვერ მუშაობდა, ისინი რუმინელმა ჟანდარმებმა დახვრიტეს. შემოდგომაზე, როცა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები აღარ იყო საჭირო, ხალხი გადაიყვანეს ვარვალოკაში, მდინარე ბუგთან. ვინც საკმარისად სწრაფად ვერ დადიოდა, ჟანდარმები სცემდნენ ან ხოცავდნენ.

გადარჩენილებმა საბოლოოდ მიაღწიეს ტირასპოლს, სადაც ისინი ბანაკში გამოკეტეს. ერთ დღეს იუსტინიანის მამამ იპოვა წყვილი ფეხსაცმელი და, მიუხედავად იმისა, რომ მისი ოჯახის არცერთ წევრს ფეხსაცმელი არ ჰქონდა, ჩათვალა, რომ მათთვის უკეთესი იყო, ფეხსაცმელი გაეყიდა და ფული საჭმელად გამოეყენებინათ. ერთ ღამეს მან სცადა ღობეზე ასვლა, რომ გასულიყო და ფეხსაცმელი გაეყიდა, მაგრამ ღამის დაცვამ დაინახა და ესროლა.

ოთხი წელი დნესტრისპირეთში ყოფნის შემდეგ იუსტინიანი და დედამისი გაათავისუფლეს და მათ შეძლეს სახლში წასვლა, ბესარაბიელი ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით, რომლებმაც ცოტაოდენი ფული მისცეს და რკინიგზის სადგურამდე მიიყვანეს. როცა ბუქარესტში ჩავიდნენ, ნახეს, რომ მათი სახლი დანგრეულიყო. დედამისმა მთელი ცხოვრება ქმრისა და შვილების გლოვაში გაატარა. იუსტინიან ბადეამ აპატია დამნაშავეებს ჩადენილი, მაგრამ ვერასოდეს გაიგო, თუ რატომ მოუწია ასეთი ტანჯვა, მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის იყო გარკვეული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი.

¹⁸ ტექსტი ეფუძნება იუსტინიან ბადეას ინტერვიუს, რომელიც გამოქვეყნდა 200- წელს, ტიმიშოარას ინტერკულტურული ინსტიტუტის მიერ, შემდეგ კრებულში: „უმცირესობები: იდენტობა და თანაარსებობა“.

¹⁹ პატარა ქალაქი, რომელიც ასევე ცნობილია Bender-ის სახელწოდებით, დღევანდელი მოლდოვის ტერიტორიაზე.

წინააღმდეგობა

მიმოხილვა:

ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს, დაფიქრდნენ წინააღმდეგობის გააზრებაზე და გაეცნონ სხვადასხვა ფორმას, რომელსაც იყენებდნენ ებრაელები ჰოლოკოსტის დროს, მათ შორის, შეიარაღებულ და უიარაღო წინააღმდეგობას.

მიემართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება
- პატივისცემა
- მოქალაქეობრივი აზროვნება
- პასუხისმგებლობა
- გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი
- ემპათია
- საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება
- მსოფლიოს შეცნობა და კრიტიკული გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: დანართი 1

ხანგრძლივობა: 2 საათი

რჩევები მასწავლებლებისთვის:

ჰოლოკოსტის შესახებ სწავლისას, მოსწავლეებს შეიძლება დარჩეთ შთაბეჭდილება, რომ ებრაელები უბრალოდ უმწეო მსხვერპლები იყვნენ, რომლებსაც არ ჰქონდათ გამბედაობა ან საშუალება, რომ ებრძოლათ. შემდეგი აქტივობები ეხმარება მათ, შეიცვალონ შეხედულება, რომ ებრაელები უბრალო პასიური მსხვერპლნი იყვნენ. სინამდვილეში, ხალხმა იპოვა სხვადასხვა გზით წინააღმდეგობის გაწევის ძალა. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ებრაელებმა თავიდან არ იცოდნენ ნაცისტებისა და მათი თანამზრახველების გეგმები. ბევრს გაუჭირდა იმ ქორების დაჯერება, რომლებიც ვრცელდებოდა საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ. რამდენიმე ადამიანს შეეძლო შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ წინააღმდეგობა ასევე წარმოიშვა ისეთი ფორმებით, რომლებიც არ უკავშირდებოდა იარაღს. მოსწავლეებს შეიძლება გაუკვირდეთ უიარაღო წინააღმდეგობაზე საუბარი, მაგრამ რეფლექსიის მეშვეობით ისინი მეტს გაიგებენ წინააღმდეგობის შესახებ.

აქტივობების აღწერა:

ნაწილი I

1. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ რას ნიშნავს მათთვის სიტყვა „წინააღმდეგობა“. სიტყვა იწერება დაფაზე ან გაზიარებულ დოკუმენტში და მასწავლებელი ან მოხალისე მოსწავლე წერს მის გარშემო გამოთქმულ იდეებს.

2. მასწავლებელი კლასს ყოფს ოთხ ჯგუფად. თითოეული ჯგუფი იღებს დანართ 1-დან, შეიარაღებული წინააღმდეგობიდან და სულიერი წინააღმდეგობიდან თითო მაგალითს. მოსწავლეთა ამოცანაა, წაიკითხონ მასალა, განიხილონ მაგალითები და მოემზადონ სხვა ჯგუფში წარსადგენად. ორი ჯგუფი, რომელიც სწავლობდა სხვადასხვა მასალას, იკრიბება და თითოეული ჯგუფი წარმოადგენს წინააღმდეგობის თავის მაგალითებს.
3. ყველა ჯგუფი იკრიბება და მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას შემდეგი კითხვების საფუძველზე:
 - ა. იცოდით თუ არა ჰოლოკოსტის დროს წინააღმდეგობის ამ ფორმების შესახებ?
 - ბ. იყო რაიმე გასაკვირი თქვენთვის ამ მაგალითებში? კონკრეტულად, რა?
 - გ. როგორ ფიქრობთ, რატომ გადაწყვიტა ხალხმა წინააღმდეგობის განწევა?
 - დ. როგორ ფიქრობთ, სჯეროდათ მათ, რომ შეიარაღებული წინააღმდეგობა წარმატებული იქნებოდა? რატომ?
 - ე. როგორ ფიქრობთ, რატომ არიან ჩართული ადამიანები სულიერ წინააღმდეგობაში?
 - ვ. რატომ გაუჭირდა ხალხს წინააღმდეგობის განწევა?
 - ზ. რა ასპექტებმა შეუწყო ხელი წინააღმდეგობას ზოგიერთ სიტუაციაში?
 - თ. იცით თუ არა წინააღმდეგობის სხვა ფორმები/მაგალითები, უკვე განხილულის გარდა? რომლები?
 - ი. რა შეგვიძლია ვისწავლოთ ებრაული წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებისგან?
 - კ. როგორ გამოვიყენოთ ეს ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში?
 - ლ. დაგუბრუნდეთ წინააღმდეგობის შესახებ ჩვენს საწყის ცოდნას, დაამატებდით/შეცვლიდით რამეს?

ნაწილი II

4. მოსწავლეები უბრუნდებიან თავიანთ ჯგუფებს და, წინააღმდეგობის განახლებული დეფინიციის საფუძველზე, უნდა მოიფიქრონ წინააღმდეგობის კონკრეტული მაგალითები ჩვენს დღევანდელ საზოგადოებაში ან უახლესი, ჰოლოკოსტის შემდგომი ისტორიიდან. მასწავლებელს შეუძლია ეს დავალება მისცეს გაკვეთილზე, ან როგორც საშინაო დავალება I და II ნაწილებს შორის. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს 1-2 მაგალითს და განმარტავს:
 - ა. რატომ თვლიან ამას წინააღმდეგობის ფორმად?
 - ბ. რას ფიქრობენ, რის მიღწევას ცდილობდნენ/შეეცადნენ ამ კონკრეტულ წინააღმდეგობაში ჩართული ადამიანები?
 - გ. იყო/იქნება ეს ფორმა წარმატებული? რატომ?
5. თითოეული ჯგუფის წარდგენის შემდეგ მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით:
 - ა. რამდენად რთული იყო დღევანდელი თუ უახლესი ისტორიის წინააღმდეგობის მაგალითების მოფიქრება?

- ბ. რა მნიშვნელობა აქვს ამ წინააღმდეგობებს? ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ყველა მაგალითისთვის ისინი ერთნაირია თუ არის განსხვავებები?
- გ. რა შეგვიძლია ვისწავლოთ წინააღმდეგობების ამ ფორმებისგან?
- დ. როგორ გამოვიყენოთ ეს სწავლა ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- ე. დავუბრუნდეთ წინააღმდეგობის ჩვენს განმარტებას, დაამატებდით/შეცვლიდით რამეს?

შემდგომი ქმედებები:

- მოსწავლეები იკვლევენ წინააღმდეგობის სხვა ფორმებს, როგორცაა:
 - ებრაული მემკვიდრეობის შენარჩუნების მცდელობები: წიგნები, თორები და რელიგიური საგნები, ოჯახის ფოტოები. საინტერესო მაგალითია “ქალაქის ბრიგადა” ვილნიუსში.
 - ინტელექტუალური წინააღმდეგობა ებრაელებისა და არაებრაელებისგან, როგორცაა თეთრი ვარდების წინააღმდეგობა, იატაკქვეშა ახალგაზრდული მოძრაობის ქალი კურიერები.
 - Mandatory Palestine-ის ებრაელი პარაშუტისტები.
 - წინააღმდეგობა წერილების მეშვეობით.
- მოსწავლეები იკვლევენ წინააღმდეგობის სხვა მაგალითებს გაკვეთილზე განხილული კატეგორიებიდან.

დანართი 1 - ებრაელთა წინააღმდეგობის ფორმები ჰოლოკოსტის დროს

ა. შეიარაღებული წინააღმდეგობა

1. აჯანყებები

შეიარაღებული წინააღმდეგობა მოეწყო 100-ზე მეტ გეტოში. ყველაზე დიდი აჯანყება მოხდა ვარშავის გეტოში. ვარშავის გეტოში 400 000-ზე მეტი ებრაელი იმყოფებოდა. ათიათასობით ადამიანი დაიღუპა დაავადებითა და შიმშილით, ასობით ათასი გადაასახლეს ტრებლინკასა და სხვა ბანაკებში. 1943 წლის აპრილში, როდესაც ებრაელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს დეპორტაციას, შეიპყრეს SS და პოლიციის წევრები და ათობით მათგანი დახვრიტეს. აჯანყება ოთხი კვირა გაგრძელდა. 7000-ზე მეტი ებრაელი მოკლეს, დანარჩენი კი გადაასახლეს სხვადასხვა ბანაკში, რადგან ვარშავის გეტო ლიკვიდირებული იქნა და მის ადგილას მცირე საკონცენტრაციო ბანაკი შეიქმნა. წინააღმდეგობა ხორციელდებოდა სხვა ნაცისტურ ბანაკებშიც, მათ შორის, ტრებლინკას, სობიბორისა და აუშვიც-ბირკენაუში.

2. პარტიზანები

დაახლოებით, 20 000-30 000 ებრაელი მთელ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში იბრძოდა ჰოლოკოსტის დროს, როგორც ებრაელი პარტიზანი. უმეტესობა ჩვეულებრივი ხალხი იყო, ბევრი მათგანი იყო მოზარდი, რომლებიც გაიქცნენ გეტოებიდან და სამუშაო ბანაკებიდან. ისინი შეუერთდნენ არაებრაულ პარტიზანულ ჯგუფებს, თუმცა ხშირად უხდებოდათ თავიანთი იუდაიზმის დამალვა ანტისემიტიზმის გამო. ანტისემიტიზმის გამოვლინების მაღალი დონის ადგილებში ისინი ქმნიდნენ სრულიად ებრაულ პარტიზანულ ჯგუფებს. მიუხედავად იმისა, რომ არაებრაულ პარტიზანებს შეეძლოთ უკან დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში, ებრაელებს წასასვლელი არსად ჰქონდათ. ისინი ცხოვრობდნენ მძიმე პირობებში - რეალური თავშესაფრის გარეშე.

პარტიზანები იბრძოდნენ და გადარჩნენ ორგანიზებული ჯგუფების შექმნის გზით. მათ ჰქონდათ ცოტა იარაღი და მცირე საბრძოლო მასალა, მაგრამ შეძლეს, მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანათ ნაცისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან მათ იცოდნენ ადგილობრივი გარემოს გეოგრაფიული თავისებურებები და თუ როგორ გამოეყენებინათ რელიეფი საკუთარი უპირატესობისთვის. ყველაზე წარმატებული პარტიზანული აქტივობები ღამით, სიბნელეში და ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით ხორციელდებოდა.

ბ. სულიერი წინააღმდეგობა

3. განათლება, კულტურა და რელიგია

ზოგადი განათლება, რეგულარული სწავლის ფორმით, აკრძალული იყო ებრაელებისთვის აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ნაწილში. მაგრამ ზოგიერთ გეტოში, მიუხედავად სავალალო პირობებისა, დაარსდა საიდუმლო სკოლები, რომლებიც ხშირად შენიღბული იყო სამზარეულოების ან სხვა სოციალური დაწესებულებების სახით. ებრაელებმა წიგნები მრავალ გეტოში გადაიტანეს და მიწისქვეშა ბიბლიოთეკები გახსნეს. აქტივისტებმა პრადის მახლობლად, ტერეზიენშტადტის გეტოში დააარსეს 60 000 ტომიანი ბიბლიოთეკა.

გეტოში მცხოვრები ბავშვების უმეტესობა ვერ სწავლობდა სკოლაში, რადგან ისინი იძულებულნი იყვნენ, ემუშავათ ან ეზრუნათ უმცროს და-ძმებზე. ზოგიერთ ბავშვს უფროსები ასწავლიდნენ დახურულ კარს მიღმა, საკუთარი სახლში საიდუმლოდ. მასწავლებლების, შესაფერისი ადგილების, წიგნების,

საწერი მასალის მოძიების პრობლემებს ემატებოდა შიმშილი, გათბობის ნაკლებობა, იძულებითი შრომა. ეს ყოველივე განათლებას რთულ ამოცანად აქცევდა, მაგრამ ყველა აცნობიერებდა, რომ განათლება იყო გადარჩენისა და სიცოცხლის ერთადერთი გზა.

შიმშილის, გადატვირთული საცხოვრებელი ფართებისა და ტანჯვის მიუხედავად, გეტოში მცხოვრები ებრაელები არ თმობდნენ კულტურასა და რელიგიას. ისინი აწყობდნენ კონცერტებს, ლექციებს, თეატრალურ და სხვა სახის მხატვრულ დადგმებს. რელიგიური მსახურება გეტოების უმეტესობაში აკრძალული იყო, მაგრამ ბევრი ებრაელი ლოცულობდა და რიტუალებს ფარულად ატარებდა. ეს აქტივობები ეხმარებოდა ადამიანებს კულტურული და რელიგიური იდენტობის შენარჩუნებაში, სულიერი კომფორტისა და მაღალი ზნეობის შენარჩუნებაში.

4. მოვლენებისა და გამოცდილებების დოკუმენტირება

ებრაელები ცდილობდნენ, დაეფიქსირებინათ ის, რაც განიცადეს ან ნახეს ჰოლოკოსტის დროს სხვადასხვა გზით: დღიურების შენახვით, ლექსების წერით, ხატვით ფერწერასა თუ გრაფიკაში, ფარული ფოტოების გადაღებით და ა.შ. უმეტეს შემთხვევაში, ეს დოკუმენტაცია ინდივიდუალური იყო, მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში, ჰქონდა ორგანიზებული სახეც. მაგალითად, ვარშავის გეტოში ემანუელ რინგელბუმმა მოაწყო დოკუმენტების კოლექცია სხვა ისტორიკოსებთან, მწერლებთან, რაბინებთან და სოციალურ მუშაკებთან ერთად, რომლებიც ეძღვნებოდა გეტოში ცხოვრების ქრონიკას. არქივის აღმოჩენილი ნაწილი (კოდური სახელწოდებით Oneg Shabbat, რაც ნიშნავს შაბათის სიხარულს) შეიცავს 6000-ზე მეტ დოკუმენტს, და მოიცავს ესეებს, დღიურებს, ნახატებს და სხვა არტეფაქტებს, რომლებიც შეგროვდა 1939 წლის სექტემბრიდან 1943 წლის იანვრამდე.

დამცველები, დამკვირვებლები, თანამშრომლები

დამცველები

მიმოხილვა:

ეს აქტივობა მიზნად ისახავს, განაწილოს მოსწავლეები, გახდნენ უფრო ყურადღებიანი მაღალი მნიშვნელობის გამბედაობის მქონე ადამიანების ქმედებების შესახებ რეფლექსიისას.

მიემართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება
- პატივისცემა
- პასუხისმგებლობა
- ემპათია

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: დანართი 1

ხანგრძლივობა: 1 საათი

რჩევები მასწავლებლებისთვის:

ამ აქტივობაში მოსწავლეები იკვლევენ გამბედაობის სანიმუშო მაგალითებს. იმისათვის, რომ უკეთ ჩაერთონ ამ აქტივობაში, მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ წინარე ცოდნა ჰოლოკოსტის შესახებ. აქტივობა კარგი დასაწყისია პროექტზე დაფუძნებული სწავლებისთვის, რომელიც იკვლევს ადამიანის უფლებებს აქტივისტის პერსპექტივიდან. მასწავლებელი ფასილიტაციას უწევს მოსწავლეებისთვის საინტერესო თემის განხილვას და მის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

აქტივობების აღწერა:

1. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შექმნან 4-5 კაციანი ჯგუფები და თითოეულ ჯგუფს ურიგებს მასალას მაშველებისა და აქტივისტების შესახებ. მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მაგალითები დანართი 1-დან ან მოამზადოს სხვა მაგალითები, რომლებიც მისი მოსწავლეების ინტერესებს შეესაბამება. მოსწავლეებს ევალებათ, წაიკითხონ მასალა და განიხილონ მონაწილე პირები და მათი ქმედებები შემდეგი კითხვების საფუძველზე:

- ა. რას აფასებდა ეს ადამიანი?
- ბ. რისი მიღწევა სურდა მას?
- გ. რა გააკეთა ამ ადამიანმა მის მისაღწევად?
- დ. რა გავლენა მოახდინა ამ ადამიანის ქმედებებმა?

1. რისკავს თუ არა ის რაიმეს ამ ქმედებების განხორციელებით? თუ ასეა, როგორ ფიქრობთ, რა უბიძგებდა მას ამ რისკებისკენ?

თუ მასწავლებელს სურს, მეტი დრო დაუთმოს ამ აქტივობას, მოსწავლეებს შეიძლება სთხოვოს, შეაგროვონ მეტი ინფორმაცია მაშველების/აქტივისტების შესახებ კითხვების განხილვის პროცესამდე.

2. თითოეული ჯგუფი გაუზიარებს დანარჩენ კლასს გარკვეულ ინფორმაციას ჯგუფში განხილულ მაშველ(ებ)ის/აქტივისტ(ებ)ის შესახებ და მათ რეფლექსიას დასმულ კითხვებზე.
3. მასწავლებელი ხელს უწყობს დისკუსიას ქვემოთ მოცემულ კითხვებზე დაყრდნობით. პასუხი ზოგიერთ კითხვაზე ან რამდენიმე საკვანძო სიტყვაზე შეიძლება დაწერონ დაფაზე ან გაზიარებულ დოკუმენტში:
 - ა. რა შეგვიძლია ვისწავლოთ იმ პირებისგან, რომლებმაც გადანყვიტეს სხვა ადამიანების დასაცავად ზომების მიღება?
 - ბ. რის შეცვლა შეუძლია ერთ ადამიანს?
 - გ. რა კომპეტენციები სჭირდება მაშველს/აქტივისტს?
 - დ. დღევანდელი უფლებადამცველობის რა მაგალითები იცით?
 - ე. რა ბარიერები შეიძლება შეხვდეს უფლებადამცველებს?
 - ვ. როგორ შეგიძლიათ იმოქმედოთ ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით?

შემდგომი ქმედებები:

- ამ გაკვეთილიდან დაწყებული, მოსწავლეებს შეუძლიათ გააგრძელონ მაშველებისა და აქტივისტების თემის შესწავლა. მათ ასევე შეუძლიათ დაიწყონ ქმედებები ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით. პროექტზე დაფუძნებული სწავლის მიდგომის გამოყენებით, მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეები ჩართოს შემდეგ პროცესში:

1. თემის შერჩევა

- მოსწავლეები ირჩევენ ერთ სოციალურ საკითხს, რომელზეც ისურვებდნენ მეტი ინფორმაციის მიღებას. თემის არჩევისას, გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკი და წინარე გამოცდილება. მაგალითად, პროცესი შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:
- თითოეული მოსწავლე ანონიმურად გვთავაზობს თემას და იმ თემას შეისწავლიან, რომელსაც უმეტესობა აირჩევს.
- მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში, თითოეული ჯგუფი გვთავაზობს ერთ ან მეტ თემას, შემდეგ ხდება კენჭისყრის პროცესი საბოლოო თემის შესარჩევად.

2. კვლევა

- მოსწავლეები იკვლევენ არჩეულ თემას.
- მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში და თითოეული ჯგუფი იკვლევს განსხვავებულ ასპექტს ან იყენებს კვლევის სხვადასხვა მეთოდს (არქივი, მედია, ექსპერტები, რიგით მოქალაქეებთან გასაუბრება და ა.შ.). მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ

ყველამ მიიღოს ისეთი დავალება, რომლის შესრულებისას თავს კომფორტულად იგრძნობს.

- თითოეული ჯგუფი სხვებს უზიარებს თავის დასკვნებს ისე, რომ მთელ კლასს ჰქონდეს ინფორმაცია არჩეული თემის შესახებ.

3. მოქმედება

- მოსწავლეები ადგენენ გზებს, რომლითაც მათ შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ცნობიერების ამაღლებაში და/ან ამ პრობლემის გადაჭრაში. მათ შეუძლიათ, წამოიწყონ ონლაინკამპანია, კამპანია თავიანთ სკოლაში, დაწერონ პეტიცია, მოიზიდონ სახსრები, მოახერხონ საზოგადოების მობილიზება ნებაყოფლობითი სამუშაოსთვის და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა გადაწყვიტონ, რისი გაკეთება სურთ. მასწავლებლის როლი არის პროცესის წარმართვა და არა შედეგების განსაზღვრა ან/და კონტროლი.

4. საჯარო პრეზენტაცია

- მოსწავლეები აწყობენ პროექტის საჯარო პრეზენტაციას, რათა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევარი. მათ შეუძლიათ პრეზენტაციაზე მოიწვიონ სკოლის სხვა მოსწავლეები და მასწავლებლები, მშობლები, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრები და ექსპერტები, რომლებთანაც ისინი ურთიერთობდნენ კვლევის დროს.

5. რეფლექსია

- მოსწავლეები ჩართულნი არიან რეფლექსიის პროცესში, რომელიც ეფუძნება შემდეგ კითხვებს:

o პროცესთან დაკავშირებული კითხვები:

- როგორ იყო ორგანიზებული ჯგუფური მუშაობა?
- როგორ მოიძიეთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია?
- როგორ მიაწოდეთ ინფორმაცია დანარჩენ კლასელებს?
- როგორ წარმართეთ ცნობიერების ამაღლების/პრობლემის გადაჭრის ნაწილი?
- როგორ თანამშრომლობდით თქვენი ჯგუფის წევრებთან?
- როგორ მოამზადეთ და მოაწყვეთ საჯარო პრეზენტაცია?
- რა მოგეწონათ ყველაზე მეტად?
- რა არ მოგეწონათ?
- იყო რამე ისეთი, რამაც გაგაკვირვათ?
- რას გააკეთებდით განსხვავებულად სამომავლოდ ასეთ პროექტში?

o საბოლოო შედეგებთან დაკავშირებული კითხვები:

- რას ფიქრობთ თქვენი მუშაობის შედეგებზე: სამოქმედო ნაწილზე?
- რას ფიქრობთ თქვენი მუშაობის შედეგებზე: საჯარო პრეზენტაციაზე?
- რას ფიქრობთ თქვენი მუშაობის შედეგებზე: თქვენი პროექტის გავლენაზე სხვა ადამიანებზე?

დანართი 1

ვიორიკა აგარინი (1886-1979) იყო ადგილობრივი წითელი ჯვრის თავმჯდომარე რუმინეთში, ქალაქ რომანში. 1941 წლის ზაფხულში, მას შემდეგ, რაც რუმინეთი მეორე მსოფლიო ომში ჩაება, ის ხშირად იყო რკინიგზის სადგურზე და ზრუნავდა დაჭრილ ჯარისკაცებზე, რომლებიც აღმოსავლეთის ფრონტიდან მოდიოდნენ. 2-3 ივლისის ღამეს, სადგურიდან შორს, რკინიგზის დალუქული ვაგონებიდან ისმოდა კვნესა და შველას ითხოვდნენ. ასობით ებრაელი, იაშის პოგრომს გადარჩენილი, შეყრილი იყო „სიკვდილის მატარებლის“ ვაგონებში, საკვებისა და წყლის გარეშე. ზაფხულის ცხელი მზის ქვეშ, დალუქულ ლითონის ვაგონებში მრავალი დღის განმავლობაში მგზავრობის შემდეგ ბევრი მათგანი დაიღუპა და გადარჩენილები კი საშინლად იყვნენ დასუსტებულები. როგორც ადგილობრივი, ასევე, გერმანელი ჟანდარმები არ აძლევდნენ ნებას, მიეღოთ წყალი, რამდენიმე მათგანი, ვინც წყლის მოპოვებას ცდილობდა, დახვრიტეს.

ვიორიკა აგარინი ამტკიცებდა, რომ წითელ ჯვარს უნდა შეეთავაზებინა დახმარება მგზავრებისთვის და დაარწმუნა რუმინეთის არმიის ოფიცრები, გაეხსნათ ვაგონების კარები. დალუპულთა ცხედრები მატარებლიდან გადმოსავნეს და გადარჩენილებს წყლის, საკვების მიღებისა და დაბანის საშუალება მისცეს. აგარინის დაჟინებული მოთხოვნისა და დახმარების წყალობით, ზოგიერთი მგზავრი გადაურჩა მგზავრობას კალარაშის სამუშაო ბანაკში. უფრო მეტიც, მისი ქმედებების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, წითელი ჯვრის სხვა ფილიალებმა მეტი გამბედაობა გამოიჩინეს, უფრო აქტიურად მოქმედებდნენ და ეხმარებოდნენ ადამიანებს.

გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ ის აღიარებულ იქნა, როგორც Righteous Among the Nations.

ირენა სენდლერი (1910-2008) იყო პოლონელი სოციალური მუშაკი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დახმარებას სთავაზობდა ვარშავის ებრაელ მოქალაქეებს და ეხმარებოდა მათ ებრაელი ბავშვების ვარშავის გეტოდან ფარულად გაყვანაში.

როგორც კი ნაცისტური ოკუპაცია დაიწყო, ირენამ სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალურ დეპარტამენტში თავისი პოზიციით ისარგებლა, რამდენიმე სანდო მეგობრის მხარდაჭერით, დაიწყო ყალბი დოკუმენტების დამზადება ებრაული ოჯახებისთვის და მათთვის უსაფრთხო ადგილების მოძიება. 1940 წელს ვარშავის გეტოში თითქმის 500 000 ებრაელის დაპატიმრების შემდეგ სენდლერმა განაგრძო ჰუმანიტარული მხარდაჭერა. ვინაიდან გერმანელებს დაავადებების გავრცელების ეშინოდათ, მან მოახერხა სპეციალური ნებართვის მოპოვება, რომელიც საშუალებას აძლევდა გეტოში შესულიყო სანიტარული პირობების შესამოწმებლად. სენდლერმა და სხვა მოხალისეებმა მოახერხეს მედიკამენტების, ტანსაცმლის, საკვებისა და სხვა პროდუქტების ჩუმად შეტანა და გეტოში მცხოვრები ობოლი ბავშვების გადარჩენა. უფროს ბავშვებს კათოლიკურ ლოცვებს ასწავლიდნენ და ახლომდებარე კათოლიკურ ეკლესიაში შეაპარეს. როდესაც შენობაში შევიდნენ, მათ ტანსაცმელს ყვითელი ვარსკვლავი მოაცილეს და გასასვლელი კარიდან გამოვიდნენ, როგორც პოლონელი კათოლიკე ბავშვები, ახალი იდენტობით. უმცროსი ასაკის ბავშვები ჩამალეს ხელსაწყოების კოლოფებში ან სხვა უფრო მოხერხებული გზებით გამოაპარეს გეტოდან. სენდლერი ძალღონა ერთად დადიოდა, რომ თუ მიმალული ბავშვები მცველების ახლო მყოფ სამალავში ატირდებოდნენ, ის ძალღს ცოტას დაარტყამდა და მისი ძაღლიც, ნაცისტების ძაღლებთან ერთად, ყეფას დაიწყებდა.

სენდლერმა 2500 ებრაელი ბავშვი გადაარჩინა და მოახერხა მათი სახელებისა და ადგილების სიის დამალვა. მან არაფერი არ გაამჟღავნა თავისი საქმიანობის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც გესტაპომ დააპატიმრა და აწამა.

1965 წელს იგი ისრაელის სახელმწიფომ აღიარა, როგორც Righteous Among the Nations.

მართა შარბი (1905-1999) და უეიტსტილ შარბი (1902-1983) იყვნენ ამერიკელი მოხალისეები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, თავიანთი ეკლესიის მისიით იმყოფებოდნენ ევროპაში, რათა დახმარებოდნენ ლტოლვილებს გადარჩენაში. ისინი 1939 წლის თებერვალში გაემგზავრნენ პრაღაში და ჩაერთნენ როგორც უშუალოდ ადგილზე დახმარების, ასევე, ებრაელებისა და სხვა შვეინროებული პირების ემიგრაციაში წასვლაში. ჩეხოსლოვაკია ნაცისტების კონტროლის ქვეშ მოექცა 1939 წლის 15 მარტს და, მიუხედავად იმისა, რომ შარბები გესტაპოს ეჭვის სამიზნენი იყვნენ, მათ მოახერხეს იქ დარჩენა აგვისტოს დასაწყისამდე და დაეხმარნენ ლტოლვილებს საიმიგრაციო დოკუმენტაციების მომზადებაში, დაურიგეს მათ ფული და საჭირო ნივთები. ასევე, დაეხმარნენ ლტოლვილ ინტელექტუალებს დასაქმებაში. ამერიკაში გასასვლელი ვიზები მათ საშუალებას აძლევდა, გაეკეთებინათ მოკლე ვიზიტები საზღვარგარეთ და ამ გზით ისინი თან ახლდნენ ლტოლვილებს და ხელს უწყობდნენ მათ დაბინავებას. ეს ყოველივე კი სერიოზულ რისკს მოითხოვდა. დადგენილია, რომ ისინი დაეხმარნენ 3500-მდე ადამიანს: სხვადასხვა პროფესიის მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს, რომელთაგან ბევრი ებრაელი იყო. მას შემდეგ, რაც მათ დატოვეს ჩეხოსლოვაკია, განაგრძეს მუშაობა ლტოლვილთა საქმეზე შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში.

2006 წელს იად ვაშემ აღიარა მართა და უეიტსტილ შარბი, როგორც Righteous Among the Nations.

ჩიუნე სუგიჰარა (1900-1986) იყო იაპონიის კონსული კაუნასში, ლიტვა. იაპონია იყო შესაძლო მარშრუტი ებრაელებისთვის, რომლებიც ცდილობდნენ, გაქცეულიყვნენ ევროპიდან, მაგრამ იაპონიის მთავრობას ჰქონდა საიმიგრაციო კრიტერიუმები, რომლებსაც ლტოლვილების უმეტესობა ვერ აკმაყოფილებდა. იცოდა რა, რომ განმცხადებლებს საფრთხე ემუქრებოდა, სუგიჰარამ გასცა ათდღიანი ვიზა ებრაელებზე, რომლებსაც სურდათ, იაპონიის გავლით გამგზავრებულიყვნენ შეერთებულ შტატებში. ეს კი მან გააკეთა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მკაცრი ბრძანების საწინააღმდეგოდ. წესში განსაზღვრული იყო, რომ ვიზები უნდა მიეღოთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც უკვე ჰქონდათ ვიზა მესამე ქვეყნიდან და იაპონია იქნებოდა სატრანზიტო ქვეყანა. 1940 წლის 4 სექტემბრამდე, სანამ საკონსულო დაიხურებოდა, ის დღეში 18-დან 20 საათამდე მუშაობდა ვიზების გასაცემად. ცარიელ ფურცლებსაც კი გასცემდა მხოლოდ საკონსულოს ბეჭდით და ხელმოწერით. მან იცოდა, რომ რასაც აკეთებდა, დაუმორჩილებლობა იყო, მაგრამ რამდენიმე ათასი ადამიანის გადარჩენა შეძლო.

1984 წელს იად ვაშემ ჩიუნე სუგიჰარა აღიარა როგორც Righteous Among the Nations.

ელეონორ რუზველტი (1884-1962) იყო შეერთებული შტატების პირველი ლედი თორმეტი წლის განმავლობაში. იგი მხარს უჭერდა ებრაელ ლტოლვილებს და ისრაელის სახელმწიფოს შექმნას. 1939 წელს ელეონორ რუზველტმა საჯაროდ დაუჭირა მხარი კანონის მიღებას, რომელიც ნებას რთავდა 14 წლამდე 20 000 გერმანელი ლტოლვილი ბავშვის შემოყვანას შეერთებულ შტატებში. სამწუხაროდ, ამ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირეს. მომდევნო წელს მისი ორგანიზებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი მთავრობის წარმომადგენლების, სოციალურ მუშაკებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. მათ შეიმუშავეს ლტოლვილი ბავშვების გადარჩენის კოორდინირებული გეგმა. ამ შეხვედრის შედეგად შეიქმნა სპეციალური კომიტეტი და ასობით ობოლი და უპატრონო ევროპელი ბავშვი ჩამოიყვანეს აშშ-ში, მათ შორის, ებრაელი ლტოლვილი ბავშვები.

ელეონორ რუზველტი იყო გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე და უდიდესი როლი ითამაშა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შემუშავებასა და მიღებაში.

ინდივიდუალური გადაწყვეტილებები

მიმოხილვა:

აქტივობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს მომხდარი ფაქტებისა და მოვლენების უკეთ გააზრებაში. ამ აქტივობაში მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, გაიაზრონ და დაფიქრდნენ მისაღებ ქცევებზე, რაც დაეხმარებათ მათ, განივიტარონ საჭირო კომპეტენციები და იყვნენ წინდახედულები.

მიემართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება
- კულტურული განსხვავებულობის, სხვა რწმენის, მსოფლმხედველობისა და გამოცდილების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულებისთვის მზაობა
- პატივისცემა
- მოქალაქეობრივი აზროვნება
- პასუხისმგებლობა
- თავდაჯერებულობა
- დამოუკიდებლად სწავლის უნარები
- მოსმენისა და დაკვირვების უნარები
- ემპათია
- მოქნილობისა და ადაპტაციის უნარები
- საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: დანართი 1

ხანგრძლივობა: 2 საათი

რჩევები მასწავლებლებისთვის:

ეს აქტივობა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ ღირებულებებსა და ემოციებზე, როგორც გარკვეული ქცევის გამაძლიერებლებზე ან წინაღობებზე. ჰოლოკოსტის შესახებ დისკუსიის დროს მოსწავლეებს შესაძლოა ჰქონდეთ ტენდენცია, იფიქრონ მხოლოდ ცალსახად „კარგ ან ცუდ“ ქცევებზე. მაგალითად, ნაცისტებზე, რომლებიც გასცემდნენ ან ასრულებდნენ ბრძანებებს მოკვლის შესახებ. ან გმირებზე, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდეს და მრავალი ადამიანი გადაარჩინეს დაღუპვას. თუმცა, არსებობს განსხვავებული ქცევებიც, რომლებმაც ამა თუ იმ გზით, ხელი შეუწყო მოვლენების განვითარებას. ამ ტიპის აქტივობების საშუალებით, მოსწავლეებს შეუძლიათ, არ კონცენტრირდნენ მხოლოდ ჰოლოკოსტის ცენტრალურ ფიგურებზე, როგორცაა, მაგალითად, შიტლერი, და დაფიქრდნენ ჩვეულებრივი ადამიანების, საჯარო მოხელეებისა და სხვა დაბალი რანგის თანამდებობის პირების ქცევაზე.

აქტივობის დროს მასწავლებელი არ უნდა ელოდოს კონკრეტულ სწორ ან მცდარ პასუხებს, ან დაახარისხოს ისინი, არამედ მოსწავლეებს მისცეს საშუალება, მეტი დრო დაუთმონ მორალური პასუხისმგებლობებისა და მისი სხვადასხვა ხარისხისა და ფორმის შესახებ მსჯელობას. დღევანდელ საზოგადოებაში, განსაკუთრებით სოციალური მედიის გავლენით, არსებობს პოლარიზაციისადმი მიდრეკილება და ეს შეიძლება იყოს ძალიან გამოსადეგი მოსწავლეებისთვის, ისწავლონ აზროვნება ცალსახა კატეგორიზაციის გარეშე.

საქმიანობის აღწერა:

ნაწილი I

1. მასწავლებელი იწვევს მოსწავლეებს სამუშაოდ 4-5 კაციან ჯგუფებში, თითოეულ ჯგუფს ურიგებს დანართ 1-ს, განმარტავს, რომ ეს ეხება ადამიანების სხვადასხვა ტიპის ქცევას ჰოლოკოსტის დროს. მოსწავლეებს სთხოვს, გააანალიზონ მასალაში წარმოდგენილი თითოეული ქცევა და უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- ა.** როგორ ფიქრობთ, რამ უბიძგა ამ ადამიანს ასე მოქცევისკენ?
- ბ.** როგორ ფიქრობთ, იცოდა თუ არა ამ კონკრეტულმა ადამიანმა, რა შედეგები მოჰყვებოდა მის ქმედებებს? როგორ ფიქრობთ, მას საერთოდ აინტერესებდა ეს საკითხი?
- გ.** როგორ ფიქრობთ, შეეძლო ამ ადამიანს სხვანაირად მოქცევაც? როგორ? რა მოხდებოდა, სხვანაირად რომ მოქცეულიყო?
- დ.** რა მოხდებოდა, თუ მეტი/ნაკლები ადამიანი მოიქცეოდა ამ ადამიანის მსგავსად?

2. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს აუხსნას, რომ ყველა ეს ქცევა გამოავლინეს ადამიანებმა ჰოლოკოსტის დროს. მაგალითად, იყვნენ ადამიანები, რომლებმაც უარი თქვეს მკვლელობაში მონაწილეობაზე და ამის გამო არც კი დაისაჯნენ, რადგან ისინი, უბრალოდ, გადაანაწილეს სხვა მოვალეობებზე. დანართში ბოლო მაგალითი უკავშირდება ფოტოს, რომელზე აღბეჭდილია ადამიანი, რომელიც არ ესალმება ნაცისტებს. მოგვიანებით გაირკვა, რომ ფოტოზე გამოსახული პირი ავგუსტ ლანდმესერია.

3. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ იმ მიზეზებზე, რის გამოც ადამიანები, ზოგადად, ირჩევენ გარკვეულ ქცევას, როდესაც ხედავენ, რომ სხვა ადამიანებს უსამართლოდ ექცევიან ან საფრთხეში აგდებენ. თითოეული მოსწავლე იღებს სხვადასხვა ფერის ორ პოსტერს და სთხოვს მენყვილეს ერთ პოსტერზე ჩამოწეროს მიზეზები, თუ რატომ დგანან ადამიანები უსამართლობის წინაშე უმოქმედოდ, ხოლო მეორეზე, თუ რატომ ეწინააღმდეგებიან უსამართლობას. პოსტერები გამოფენილია ოთახის ორ მხარეს და მოხალისე მოსწავლე კითხულობს მთელი კლასისთვის. მასწავლებელი აჯამებს თითოეული მხარის მოსაზრებებს და მართავს დისკუსიას შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- ა.** როგორ ფიქრობთ, რატომ არის უფრო ადვილი გვერდზე გადგომა, ვიდრე უსამართლო სიტუაციებში პროტესტის გამოხატვა?
- ბ.** რისი ეშინია ხალხს? გამართლებულია ეს შიში?
- გ.** რა კომპეტენციები სჭირდებათ ადამიანებს, რომ გახდნენ უსამართლობის წინააღმდეგ უფრო აქტიური მებრძოლები?
- დ.** როგორ შეიძლება ამ კომპეტენციების განვითარება?

მასწავლებელს შეუძლია დაწეროს მოსწავლეების პასუხები ბოლო ორ კითხვაზე და გამოიყენოს ისინი გაკვეთილის მეორე ნაწილში.

4. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, დაწერონ მოკლე ესე, დაწყებული რაულ ჰილბერგის ციტატით: **„კრიტიკულ მომენტებში თითოეული ინდივიდი იღებს გადაწყვეტილებებს და... ყოველი გადაწყვეტილება ინდივიდუალურია“.**

ნაწილი II

- 5.** მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ ესეები სამკაცრიან ჯგუფებში. ესეების წაკითხვის შემდეგ დანარჩენები უზიარებენ თავიანთ შეხედულებებს. თუ მოსწავლეები არ იცნობენ კონსტრუქციული უკუკავშირის ტექნიკას, მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, ყურადღება გაამახვილონ დადებით ასპექტებზე და შესთავაზოს მათ, გამოიყენონ ასეთი წინადადებები:
- ა.** რაც გავიგე, როცა შენ კითხულობდი შენს ესეს, არის ის, რომ...
 - ბ.** ერთი ასპექტი, რომელიც ძალიან მომეწონა შენს ესეში არის...
 - გ.** მე მესმის, რომ თქვენ ამ თემას მიუდევით ...? მართალი ვარ?
 - დ.** თუ თქვენ კიდევ განავრცობთ თქვენს თხზულებას, ვფიქრობ, საინტერესო იქნება, უფრო დეტალურად გამოკვეთოთ იდეა, რომ...
- 6.** მასწავლებელი ანაწილებს მოსწავლეებს 4-5 კაციან ჯგუფებში და ავალეს მათ, მოიფიქრონ, კონკრეტულად რისი გაკეთება შეუძლიათ თავიანთი კომპეტენციებისა და პიროვნული განვითარების მიზნით. მასწავლებელს შეუძლია ჩართოს მოსწავლეები დისკუსიაში, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი არ აღიქვამენ მთავარ ფიგურას/ადამიანს, როგორც მხოლოდ ერთადერთ პასუხისმგებელს კრიზისში. ადამიანებს, რომლებიც ერთგულნი არიან ადამიანის უფლებებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე, თუნდაც თავიანთი ყოველდღიური ქცევით, მოსაზრებებით, სხვა ადამიანების მიმართ მოპყრობით, რითიც აირიდევენ უსამართლობას.
- 7.** ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთი დისკუსიის ძირითად ასპექტებს და მასწავლებელი სთხოვს მათ, დაბრუნდნენ თავიანთ ჯგუფში და შეადგინონ უფრო დეტალური გეგმა - არა მხოლოდ ის, რისი გაკეთებაც სურთ განსხვავებულად, არამედ კონკრეტულად როგორ აპირებენ მოქცევას. ცხადია, რომ ჩვენი ჩვევების შეცვლას დრო და ძალისხმევა სჭირდება, ყოველ შემთხვევაში, თავიდან მაინც. სწორედ ამიტომ, კონკრეტული გეგმის შედგენა („ყოველ ოთხშაბათს ვაპირებ ჩემი პირველი შესვენების / ლანჩის დრო გავატარო ადამიანებთან, რომლებიც ჩემგან განსხვავებულად აღიქვამენ საკითხებს, რათა ვისწავლო მათგან/მათ შესახებ“) უკეთესია, ვიდრე ზოგადი გეგმის. მოსწავლეებს შეუძლიათ კიდევ ერთხელ გაიაზრონ თავიანთი ქმედებების სია – და დაამატონ ისეთი რამ, რაც შთაგონებულია სხვა ჯგუფების პრეზენტაციებით.

შემდგომი ქმედებები:

- მასწავლებლებს შეუძლიათ, მოსწავლეებს ურჩიონ, რომ გაეცნონ სტენლი მილგრამის მიერ 1961 წელს ჩატარებულ ექსპერიმენტს მორჩილების შესახებ ან ზიმბარდოს ციხის ექსპერიმენტს, რომელიც ჩატარდა ფილიპ ზიმბარდოს მიერ 1971 წელს, რათა შეესწავლათ კონტექსტის გავლენა ქცევაზე.²⁰
- მასწავლებლებს შეუძლიათ, მოსწავლეები ჩართონ წერითაქტივობაში, რომელიც უკავშირდება ედვარდ იაშინსკის ციტატას. ის იყო იდიში პოეტი, რომელიც გადაურჩა ჰოლოკოსტს, მაგრამ გარდაიცვალა როგორც პოლიტპატიმარი პოლონეთში: „ნუ გეშინია შენი მტრების, რადგან მათ შეუძლიათ მხოლოდ შენი მოკვლა. ნუ გეშინია შენი მეგობრების, რადგან მათ მხოლოდ შენი ღალატი შეუძლიათ. გეშინოდეთ მხოლოდ გულგრილი ადამიანების, რომლებიც ნებას რთავენ მკვლელებსა და მოღალატეებს, უსაფრთხოდ იარონ დედამიწაზე“.

²⁰ ამ საკითხის შესახებ ინფორმაციის მოძიება მასწავლებლებს შეუძლიათ როგორც აკადემიურ პუბლიკაციებში, ასევე, საგანმანათლებლო ვიდეოებსა და ფილმებში.

დანართი 1

- 1.** მეზობელი, რომელიც უყურებს, თუ როგორ აგროვებენ და ასახლებენ ებრაელებს;
- 2.** პირი, რომელიც ძარცვავს გადასახლებულ ებრაელთა სახლს;
- 3.** პირი, რომელიც მალავს ებრაელებს საკუთარ სახლში;
- 4.** პირი, რომელიც ამხელს ებრაელ ხალხს ნაცისტებთან;
- 5.** ინჟინერი, რომელიც აპროექტებს კრემატორიუმს;
- 6.** მერი, რომელიც იტყუება და ამბობს, რომ მის სოფელში ბოშა არ არის, რათა დაიცვას ისინი დეპორტაციისგან;
- 7.** პირი, რომელიც უარს ამბობს მკვლევლობის ქვედანაყოფში მონაწილეობაზე (Einsatzgruppe);
- 8.** პირი, რომელიც უარს ამბობს ნაცისტურ მისაღმებაზე საჯარო ღონისძიების დროს.

ლტოლვილები - ადრე და ახლა

მიმოხილვა:

აქტივობა მიზნად ისახავს მოსწავლეების ჩართვას იმის გააზრებაში, თუ როგორ აღიქვამდნენ და ეპყრობოდნენ ებრაელ ლტოლვილებს შოლოკოსტის დროს, რათა უკეთ გააცნობიერონ სხვადასხვა ქვეყნისა და საერთაშორისო საზოგადოების საერთო პასუხისმგებლობა ლტოლვილების დაცვაში.

მიემართება დემოკრატიული კულტურის შემდეგ კომპეტენციებს:

- პატივისცემა
- მოქალაქეობრივი აზროვნება
- პასუხისმგებლობა
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება
- თანამშრომლობის უნარები
- მსოფლიოს შეცნობა და კრიტიკული აღქმა

მონაწილეთა რაოდენობა: 10-30

რესურსები და მასალები: დანართი 1

ხანგრძლივობა: 1 საათი

რჩევები მასწავლებლებისთვის:

მოსწავლეებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული წარმოდგენები თავიანთ ქვეყანაში ლტოლვილების შესახებ, განსაკუთრებით, თუ ისინი ცხოვრობენ ისეთ ადგილებში, სადაც ძლიერია პოპულისტური, ანტილტოლვილთა პროპაგანდა. მათ ასევე შეიძლება ჰქონდეთ ცრურწმენები მსოფლიოს გარკვეული კუთხიდან ჩამოსულ ადამიანებთან დაკავშირებით. თუ ეს ასეა, მასწავლებლები უნდა დაეხმარონ მოსწავლეებს, გააცნობიერონ, რატომ არის ცრურწმენები ნეგატიური. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ აქტივობები იდენტობისა და სტერეოტიპების შესახებ.

აქტივობის აღწერა:

1. მასწავლებელი ყოფს კლასს ოთხ ჯგუფად. თითოეული ჯგუფი განიხილავს მასალას დანართ 1-ში აღწერილი ერთ-ერთი მოვლენის შესახებ. მოსწავლეებს სთხოვენ, წაიკითხონ მასალა და განიხილონ შემდეგი ასპექტები:
 - ა. როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა ეს მოვლენა ასე?
 - ბ. ვინ იყო პასუხისმგებელი?
 - გ. რა შედეგები მოჰყვა?
 - დ. რა შეიძლებოდა სხვანაირად გაკეთებულიყო?
2. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს შესწავლილ მოვლენას და კითხვებზე რეფლექსიას. შემდეგ მოსწავლეები ერთგებიან საკლასო დისკუსიაში ქვემოთ მოცემულ კითხვებზე დაყრდნობით:
 - ა. იყო თუ არა ისეთი რამ, რაც გაგიკვირდათ თქვენ მიერ შესწავლილ მოვლენებში ან თანატოლების მიერ წარმოდგენილ მოვლენებში? კონკრეტულად, რა?

- ბ. როგორ ფიქრობთ, რამდენად მართებული იყო ლტოლვილებზე უარის თქმის მიზეზები სხვადასხვა ქვეყნის მიერ? რატომ?
 - გ. რამდენად აღიქმებოდნენ ებრაელები ამ პროცესში თანაბარი ღირსების მქონე ადამიანებად? რატომ?
- 3.** მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, იციან თუ არა, რას ნიშნავს ტერმინი „ლტოლვილი“.
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები პასუხობენ, მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს, რომ 1951 წლის ლტოლვილთა კონვენციის თანახმად, ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტით, ლტოლვილი განისაზღვრება როგორც:
- ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია ან არ სურს დაბრუნდეს წარმოშობის ქვეყანაში რასის, რელიგიის, ეროვნების, კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნის საფუძვლიანი შიშის გამო.*
- 4.** მასწავლებელი ასევე აკონკრეტებს, რომ ადამიანებს, რომლებმაც დატოვეს თავიანთი ქვეყანა და ითხოვეს მფარველობას სხვა ქვეყანაში, მაგრამ ჯერ კიდევ არ არიან ლეგალურად აღიარებული ლტოლვილებად, უნოდებენ თავშესაფრის მაძიებლებს. თავშესაფრის მოთხოვნა ადამიანის უფლებაა, რაც ნიშნავს, რომ ყველას უნდა მიეცეს უფლება, შევიდეს სხვა ქვეყანაში თავშესაფრის სათხოვნელად. ადამიანებს, რომლებიც არ არიან ლტოლვილები ან თავშესაფრის მაძიებლები, მაგრამ ცდილობენ შევიდნენ ან იცხოვრონ სხვა ქვეყანაში, მიგრანტებს უწოდებენ.
- 5.** მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას შემდეგი კითხვების საფუძველზე:
- ა. როგორია, თქვენი აზრით, ზოგადი დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანაში ლტოლვილებისა და მიგრანტების მიმართ? და ზოგადად, ევროპაში?
 - ბ. ვინ ზრუნავს ლტოლვილებზე?
 - გ. ვის არ აინტერესებს ლტოლვილები?
 - დ. განიხილება თუ არა ლტოლვილები თანაბარი ღირსების მქონე ადამიანებად? ვინ ხედავს მათ ასე და ვინ არა?
 - ე. თვლიან თუ არა ქვეყნები, რომ ზოგიერთი ლტოლვილი სხვებზე მეტად იმსახურებს მხარდაჭერას? რატომ? რამდენად შეესაბამება ეს ადამიანის უფლებათა პრინციპებს?
 - ვ. რა ისწავლა ევროპამ (და ზოგადად მსოფლიომ) ჰოლოკოსტისგან ლტოლვილებთან დაკავშირებით?
 - ზ. რა უნდა ისწავლოს ევროპამ (და მსოფლიომ) ლტოლვილებთან დაკავშირებით?

შემდგომი ქმედებები:

- მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიკვლიონ და გააანალიზონ დამატებით ერთი ან მეტი მოვლენა, რომელიც დაკავშირებულია ებრაელ ლტოლვილებთან, რომლებიც ცდილობდნენ გაქცევას ევროპიდან.
- მოსწავლეებს შეუძლიათ მოიძიონ თავიანთ რეგიონებში ის ორგანიზაციები, რომლებიც მხარს უჭერენ ლტოლვილებს და მათთან ერთად მოხალისეებად მუშაობენ.

დანართი 1

ევანიის კონფერენცია

1938 წლის 6-15 ივლისს, საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ევიან-ლე-ბეეში, 32 ქვეყნის დელეგატი შეიკრიბა, რათა განეხილათ ებრაელი ლტოლვილების საკითხი, რომლებიც ცდილობდნენ გერმანიიდან და ავსტრიიდან გაქცევას. შეხვედრას ასევე ესწრებოდა 24 მოხალისე ორგანიზაციის წარმომადგენელი, დამკვირვებლის სტატუსით, და ასობით ჟურნალისტი. დელეგატებმა თანაგრძნობა გამოხატეს ნაცისტების მსხვერპლი ებრაელების მიმართ, მაგრამ არც ერთ ქვეყანას, გარდა დომინიკის რესპუბლიკისა, არ სურდა ებრაელი ლტოლვილების მიღება. საფრანგეთი (და მრავალი სხვა ქვეყანა) აცხადებდა, რომ მან უკვე მიიღო ძალიან ბევრი ლტოლვილი. ისეთი ქვეყნები, როგორცაა კანადა ან ავსტრალია, აცხადებდნენ, რომ ებრაელი ლტოლვილების მიღება ქვეყანაში შიდა „რასობრივ“ პრობლემას შექმნის. ბრიტანეთი ამტკიცებდა, რომ ის უკვე კომპაქტურად იყო დასახლებული და ჰქონდა უმუშევრობის პრობლემა, ამიტომ მას არ შეეძლო ლტოლვილების უფრო დიდი რაოდენობის მიღება. შეერთებულმა შტატებმა კონფერენციის დაწყებამდეც თქვა უარი ლტოლვილთა მიღების წლიური კვოტის გაზრდაზე. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი არ ესწრებოდა კონფერენციას. ითვლება, რომ მიზეზები, რის გამოც დომინიკის რესპუბლიკას სურდა ლტოლვილების მიღება, უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ ქვეყნის ლიდერმა: (ა) უბრძანა თავის ჯარისკაცებს ათასობით ჰაიტელის ხოცვა-ჟლეტა ერთი წლის წინ და იმედოვნებდა, რომ ეს ჟესტი დაეხმარებოდა მას საკუთარი იმიჯის აღსადგენად საერთაშორისო დონეზე; (ბ) იმედოვნებდა, რომ ებრაელებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ქორწინება მოსახლეობის კანის ფერის „გათეთრებას“ გამოიწვევდა.

გემი „სენტ-ლუისი“

გემი „სენტ-ლუისზე“, რომელსაც 937 მგზავრი გადაჰყავდა, უმეტესობა ებრაელი ლტოლვილი იყო, რომელიც ითხოვდა თავშესაფარს გერმანიაში ნაცისტების დევნიდან შევიწროების შემდეგ. გემი ჰამბურგიდან გავიდა კუბის მიმართულებით, 1939 წლის მაისში. მიუხედავად იმისა, რომ მგზავრებს ჰქონდათ ლეგალური ტურისტული ვიზა კუბაში, ადგილობრივი კანონის შესაბამისად, რომელიც ცოტა ხნის წინ შეიცვალა, გემს ეკრძალებოდა ჰავანას ნავსადგურში შესვლა. კაპიტანი გუსტავ შროდერი ერთი კვირის განმავლობაში ცდილობდა, დაეყოლიებინა კუბის ხელისუფლებას, თუმცა უშედეგოდ და მან გემი წაიყვანა ფლორიდის სანაპიროსკენ, შეერთებულ შტატებში შესვლის ნებართვის იმედით. თუმცა აშშ-ის ხელისუფლებამაც უარი უთხრა მას დოკის უფლებაზე, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ პრეზიდენტს მიმართეს. ივნისის დასაწყისში კაპიტანს სხვა გზა არ ჰქონდა, უკან უნდა გაბრუნებულიყო ევროპისკენ, ანტვერპენში, ბელგიაში, 908 მგზავრით.

დიდი ბრიტანეთი დათანხმდა 288 (32%) მგზავრის მიღებაზე. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, დანარჩენ 619 მგზავრს ანტვერპენში ჩასვლის უფლება მისცეს. საფრანგეთმა მიიღო 224 ლტოლვილი (25%), ბელგიამ 214 (23%) და ნიდერლანდებმა 181 (20%). გემი ჰამბურგში მგზავრების გარეშე დაბრუნდა. მომდევნო წელს, ნაცისტური ოკუპაციის შემდეგ, 1940 წლის მაისში, ამ ქვეყნებში დასახლებული ყველა ებრაელი მაღალი რისკის ქვეშ იყო, მათ შორის, ბოლო დროს მიღებული ლტოლვილებიც. კვლევამ დაადგინა, რომ კონტინენტურ ევროპაში დაბრუნებულთაგან 254 (29%) ადამიანი მოკლეს ჰოლოკოსტის დროს.

„სტრუმა“

გემი „სტრუმა“ 1941 წლის 12 დეკემბერს კონსტანციიდან, რუმინეთიდან, თითქმის 800 ებრაელ ლტოლვილთან ერთად გავიდა პალესტინის მიმართულებით, სტამბოლის გავლით. გემი ცუდ მდგომარეობაში იყო და მისი ძრავა რამდენჯერმე გაფუჭდა. გემი 15 დეკემბერს სტამბოლში ჩავიდა. ბრიტანელი დიპლომატები და თურქი ოფიციალური პირები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მგზავრების ბედზე. ბრიტანეთის მთავრობა მართავდა პალესტინის ტერიტორიას და არ სურდა ებრაელი ლტოლვილების დიდი რაოდენობის იქ განსახლება. ბრიტანელი დიპლომატები მოუწოდებდნენ თურქეთის მთავრობას, ხელი შეეშალა გემისთვის მოგზაურობის გაგრძელებაში. თურქეთის ხელისუფლებამ უარი თქვა მგზავრების მიღებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი საკვები.

ორი თვის შემდეგ, 1942 წლის 23 თებერვალს, გემი ჩრდილოეთ სტამბოლში გადაიყვანეს. 24 თებერვალს საბჭოთა წყალქვეშა ნავმა თვითმობრავი ქურვით გაანადგურა ის, რადგან შეცდომით მტრის გემად აღიქვა. ეს იყო შავი ზღვის ყველაზე დიდი სამოქალაქო საზღვაო კატასტროფა მეორე მსოფლიო ომის დროს. გადარჩა მხოლოდ ერთი ადამიანი.

1939 წლის თეთრი წიგნი

1920 წლიდან 1948 წლამდე ბრიტანეთის მთავრობა მართავდა გეოპოლიტიკურ ერთეულს, სახელწოდებით Mandatory Palestine, რომელიც შეიქმნა ერთა ლიგის მიერ განსაზღვრული გარკვეული პირობებით. 1939 წელს, თეთრი წიგნი, რომელიც გამოქვეყნდა ბრიტანეთის მთავრობის მიერ, გაცხადდა მისი პოლიტიკა პალესტინის სამომავლო სტატუსთან დაკავშირებით. დოკუმენტის მიხედვით, უარყოფილ იქნა დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს შექმნა და შეიზღუდა ებრაელთა იმიგრაცია 75 000 ადამიანამდე, ხუთი წლის განმავლობაში. ბრიტანეთის პოლიტიკის საპასუხოდ, ებრაელები ცდილობდნენ, არაღელვარულად შესულიყვნენ Mandatory Palestine-ში. ადამიანებს, რომლებიც დააკავეს, ბანაკებში აჩერებდნენ. ომის დროს საიმიგრაციო პოლიტიკა არ შერბილებულა და ის ძალაში დარჩა 1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე.

მეხსიერების შესწავლა ადამიანის ღირსების პერსპექტივიდან

როდესაც მოსწავლეები სტუმრობენ მუზეუმებსა და მემორიალებს საგანმანათლებლო მიზნით, ისინი შეიძლება გადაიტვიტონ როგორც ინფორმაციით, ასევე, ემოციებით. მათთვის საკითხის არსის გაცნობიერება არის საუკეთესო საშუალება, დაუკავშირონ ისტორია დღევანდელობასა და საკუთარ ცხოვრებას. ჩვენ მათ ვთავაზობთ, რომ ეს ჩარჩო აგებული იყოს ადამიანის ღირსების პატივისცემის გარშემო, როგორც გზა, რომელიც დაეხმარება მათ, განივითარონ სამყაროს დაბალანსებული აღქმა და მზად იყვნენ, მონაწილეობა მიიღონ თანასწორი, დემოკრატიული და ინტერკულტურული საზოგადოებების მშენებლობაში.

იმის მიხედვით, თუ რა სიღრმეებში ჩასვლას აპირებს მასწავლებელი მოსწავლეებთან, განათლებისადმი ინტერდისციპლინურმა მიდგომამ შესაძლოა

სხვადასხვა ფორმა მიიღოს. არ აქვს მნიშვნელობა, როგორ დაიგეგმება ან წარიმართება ვიზიტი, პროცესი უნდა იყოს კარგად მომზადებული და უფრო მართო საგანმანათლებლო პროცესთან ინტეგრირებული.

ხშირად მასწავლებლები აწყობენ ვიზიტს სასწავლო პროცესის ბოლოს, მაგრამ ეს შეიძლება ყოველთვის არ იყოს საუკეთესო ვარიანტი. სწავლის დასაწყისში მუზეუმის ან მემორიალური ადგილის მონახულება შეიძლება დაეხმაროს მოსწავლეებს, უკეთ დააკავშირონ მათ მიერ შესწავლილი ინფორმაცია ვიზიტის დროს მიღებულ ინფორმაციას. ასევე, ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეები მეტ დროს დაუთმობენ ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებას. სასურველია, რომ მუზეუმი მონახულონ სასწავლო პროცესის დასაწყისში და გამოიყენონ, როგორც ამოსავალი წერტილი ჰოლოკოსტისა და ადამიანის უფლებების შესწავლისთვის (დამოკიდებულია მუზეუმზე, რა თქმა უნდა). გასათვალისწინებელია, რომ მემორიალური ადგილის მონახულება მოითხოვს საფუძვლიან მომზადებას როგორც ინტელექტუალურად, ასევე, ემოციურად. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა უკეთ შეიმეცნონ მემორიალური ადგილის მნიშვნელობა, მათ მონახულებამდე უნდა გააცნობიერონ კონკრეტული ადგილის როგორც ზოგადისტორიული, ისე ლოკალური კონტექსტი. ვიზიტის შემდეგ მნიშვნელოვანია რეფლექსიის პროცესი, რომლის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს, უკეთ გაიგონ, თუ რა ნახეს, კრიტიკულად გაიაზრონ მოწოდებული ინფორმაცია და დააკავშირონ ის დღევანდელ რეალობასთან.

იმ მიზნის მიღწევაში, რომ მუზეუმებისა და მემორიალური ადგილების მონახულებით გაულვივდეთ მოსწავლეებს ადამიანის ღირსების პატივისცემა, მასწავლებელს დაეხმარება ქვემოთ მოცემული აქტივობები:

❖ **სამუზეუმო ექსპონატის შესწავლა ადამიანის უფლებების კუთხით**

ჰოლოკოსტის მუზეუმი, ებრაელთა ისტორიის მუზეუმი, ბოშათა ისტორიის მუზეუმი, თანასწორობის მუზეუმი ან ნებისმიერი სხვა მუზეუმი შესაძლებელია მოვინახულოთ ადამიანის უფლებების შესწავლის მიზნით. საგანმანათლებლო პროცესი, რომელიც მოიაზრებს ადამიანის უფლებებს, როგორც ისტორიის გაგების საფუძველს, შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

- 1.** მასწავლებელი როცა დარწმუნდება, რომ მოსწავლეებს კარგად აქვთ გააზრებული ადამიანის უფლებები, გეგმავს მუზეუმში ვიზიტს. მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ ჯგუფურად ან წყვილებში. თითოეულმა ჯგუფმა/წყვილმა უნდა გაამახვილოს ყურადღება ერთ კონკრეტულ უფლებაზე და „ადგილზე“ მაგალითებში, სადაც ეს უფლება წარმოჩინდება დადებითად ან უარყოფითად. მოსწავლეებმა შეიძლება თავად აირჩიონ რომელიმე უფლება, რომელზეც სურთ ფოკუსირება.

მაგალითად, მუზეუმის კურატორს შეუძლია აჩვენოს მოსწავლეებს, თუ როგორ არ აძლევდნენ ებრაელებს გილდიაში ყოფნის ან გარკვეული პროფესიის დაუფლების უფლებას.

2. ვიზიტის შემდეგ მასწავლებელი რეფლექსიის პროცესის ნაწილს უთმობს გამოფენის შესწავლას ადამიანთა უფლებების პერსპექტივიდან. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს მაგალითებს, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ უფლებასთან, რომელიც შეისწავლეს ვიზიტის დროს და კლასი ჩართულია რეფლექსიის პროცესში შემდეგი კითხვების საფუძველზე:

- ადვილი იყო თუ რთული იმ ფაქტების იდენტიფიცირება, რომლებიც დაკავშირებული იყო მათ მიერ შერჩეულ უფლებასთან? რატომ?
- თქვენ მიერ მოძიებული მაგალითები იყო თუ არა დაკავშირებული ისეთ შემთხვევებთან, როდესაც ადამიანები სარგებლობდნენ თავიანთი უფლებით ან როდესაც მათი უფლებები შეზღუდული იყო?
- შეამჩნიეთ თუ არა სხვა სიტუაციები, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს იმ უფლებებთან, რომლებიც არ ჰქონდათ არჩეული ჯგუფებს? რომლები?
- იყო თუ არა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ისეთი რამ, რამაც გაგაკვირვათ?
- რამდენად დაგეხმარათ ეს აქტივობა იმის გაგებაში, თუ რატომ გადაწყვიტა საერთაშორისო საზოგადოებამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შემუშავება?
- შეძლეს თუ არა ჩვენმა საზოგადოებებმა წინსვლა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით? როგორი პროგრესია?

ამ მიდგომამ ასევე შეიძლება გაზარდოს მოსწავლის უნარი, კონცენტრირდეს ვიზიტზე, რადგან კონკრეტული ამოცანის შესრულება მას პროცესის უფრო აქტიურ მონაწილედ აქცევს.

❖ ადგილის შესწავლა ინდივიდუალური პერსპექტივიდან

დღიურის ან ჩვენების კითხვა ეფექტური საშუალებაა მოსწავლეებისთვის, რომ გაეცნონ ისტორიის გარკვეულ პერიოდს და გაუჩნდეთ თანაგრძნობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მაშინ ცხოვრობდნენ. სიუჟეტის ფიზიკურ სივრცესთან დაკავშირებამ, რომელშიც ის მოხდა, შეიძლება კიდევ უფრო გაუმძაფროს მოსწავლეებს წარსულის ანმეოსთან დაკავშირების უნარი. საგანმანათლებლო პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ადგილის შესწავლას ინდივიდის თვალთ, შეიძლება დაიწყოს დღიურის ან ჩვენების წაკითხვით და შემდეგ გაგრძელდეს ამ დღიურში/ჩვენებაში აღწერილი ფიზიკური სივრცის მონახულებით. მაგალითად, თუ მოსწავლეები წაიკითხავენ ჰოლოკოსტის დროს დეპორტირებული ადამიანის დღიურს/ჩვენებას, მასწავლებელს შეუძლია შეიმუშაოს შემდეგი აქტივობები:

- 1.** დღიურის/ჩვენების კითხვისას, მოსწავლეები იწერენ ქალაქის კონკრეტულ ადგილებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომლებიც აღწერილია. მაგალითად, სადაც ჰოლოკოსტამდე პირი დადიოდა სკოლაში, მუშაობდა, ხვდებოდა მეგობრებს, ატარებდა თავისუფალ დროს და ა.შ. სად იმალებოდა პირი, სად წაიყვანეს ის დეპორტაციის მიზნით, სად იყო დაკავებული ის დეპორტაციამდე და ა.შ.
- 2.** დღიურის/ჩვენების წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ მიღებულ ინფორმაციას, სვამენ კითხვებს, მართავენ დისკუსიას მთელ კლასში ან მცირე ჯგუფებში. შემდეგ ისინი მუშაობენ ჯგუფურად, რათა დაადგინონ მასალაში აღნიშნული სხვადასხვა ადგილის მდებარეობა.

3. შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან ექსკურსიის რუკა თავიანთ ქალაქში, ჰოლოკოსტის გადარჩენილის (ან მსხვერპლის) კვალზე. მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოაქვეყნონ თავიანთი ტური ონლაინ, მათ შეუძლიათ, შექმნან QR კოდები, რათა მსურველებმა დამოუკიდებლად გაიარონ ტური, მათ შეუძლიათ მოაწიონ ტურები თავიანთი თანატოლებისა და მათი მშობლებისთვის.

4. რეფლექსია შეიძლება აიგოს შემდეგი კითხვების საფუძველზე:

- რას გრძნობდით, როცა კეთების პროცესში იყავით ჩართული?
- რა იყო ყველაზე რთული?
- რა იყო ყველაზე საინტერესო?
- დაგეხმარათ თუ არა ამ ტურის შექმნის პროცესი დღიურის/ჩვენების უკეთ გაგებაში? როგორ?
- იცოდით, რომ ეს ადგილები ჰოლოკოსტთან დაკავშირებულ მოგონებებს ინახავენ?
- მასალაში აღწერილი ზოგიერთი შენობა/ადგილი დღესაც არსებობს? რა დანიშნულება აქვს ახლა?
- რა შეგვიძლია ვისწავლოთ კონკრეტული ადგილის/შენობის დათვალიერებისას?

ამ მიდგომამ შეიძლება გაზარდოს მოსწავლეების ინტერესი საკუთარი ქალაქის ისტორიის მიმართ. დიდი ალბათობით, ისინი აღმოაჩენენ, რომ ისინი ხშირად დადიოდნენ ამ ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია ჰოლოკოსტთან, მაგრამ მათ არასოდეს უფიქრიათ ამასზე.

❖ ადამიანის ღირსების პატივისცემა მუხსიერების კონტექსტებში

ამ სახელმძღვანელოში შემოთავაზებული პირველი აქტივობა ფოკუსირებულია კონკრეტულად ადამიანის ღირსებაზე. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს, გააანალიზონ ის საშუალებები, რომელთა დახმარებითაც ადამიანის ღირსება ფასდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მედიაში, წიგნებსა და ფილმებში, ისევე როგორც ისეთ ადგილებში, რომლებიც მიზნად ისახავს წინარე მუხსიერების შენახვასა და შენარჩუნებას. მუზეუმის მონახულებისას, მოსწავლეებს შეუძლიათ დასვან რამდენიმე ძირითადი კითხვა:

- მუზეუმი ებრაელებს ან ბოშებს მხოლოდ ჰოლოკოსტის მსხვერპლად წარმოაჩენს თუ ხაზს უსვამს მათ ღირსებასა და მიღწევებს?
- გამოფენაზე ჰოლოკოსტის მსხვერპლთა სახელებია თუ მხოლოდ დამნაშავეების? რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანების სახელების ხსენება?
- რამდენად ეთიკურია მკვდარი ან გაძვალტყავებული ადამიანების (შიშველი) ფოტოების წარდგენა? როგორ იგრძნობ თავს, შენი ან მშობლების, ბებების ან ბაბუების ასეთი ფოტო რომ ნახო?
- დაგეხმარათ თუ არა ეს ვიზიტი ადამიანის ღირსების უფრო დეტალურ გაგებაში? როგორ?
- როგორ ფიქრობთ, ადამიანებს, რომლებიც ამ მუზეუმს სტუმრობდნენ, მისი დატოვების შემდეგ უფრო მეტად დააფასებენ თუ არა ადამიანის ღირსებასა და უფლებებს? რატომ?

❖ **რა არის გამოვლენილი და რა არის დაფარული**

მოსწავლეებს, რომელთა კომპეტენციები დემოკრატიული კულტურისა და ჰოლოკოსტის ისტორიის ცოდნის შესახებ უფრო მაღალია, შეუძლიათ, ჩაერთონ, მივიწყებული მოვლენების კრიტიკული გააზრების პროცესში. შეუძლიათ ეწვიონ მუზეუმს ან მემორიალს და ყურადღება მიაქციონ არა მხოლოდ იმას, რაც არის წარმოდგენილი, არამედ იმასაც, რაც ყურადღების მიღმაა დარჩენილი. მაგალითად:

- მოსწავლეებს შეუძლიათ, შეისწავლონ კონკრეტულად, როგორ არის შეტანილი ბოშების გენოციდი გამოფენაში, ასახული სხვადასხვა ხელოვნების ნიმუშში და ა.შ. დიდი ხნის განმავლობაში ბოშათა გენოციდი არ ყოფილა ნაკვლევადი და არც მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი ნიმუშები არსებობდა. სიტუაცია ბოლო დროს შეიცვალა, გაჩნდა უფრო მეტი მკვლევარი, ხელოვანი და ზოგიერთი პოლიტიკოსიც კი დაინტერესდა. მიუხედავად ამისა, კაცობრიობის მეხსიერებაში ბევრი ხარვეზია, რომელთა ამოცნობაც მოსწავლეებს შეუძლიათ. მათ შეუძლიათ განიხილონ მიზეზები და გამოთქვან იდეები ცვლილებების შესახებ.
- მოსწავლეებს შეუძლიათ, გააკეთონ მემორიალური ადგილებისა და მუზეუმების ინვენტარიზაცია, რომლებიც ეძღვნება ჰოლოკოსტს, ებრაელთა, ბოშათა, უმცირესობების თემის ისტორიას. მათ შეუძლიათ შეადარონ, წარსულის გახსენების რა გზებს ირჩევს სხვადასხვა ქვეყანა. ეს აქტივობა ეფექტიანია, თუ მასწავლებელი ჩართულია საერთაშორისო თანამშრომლობით პროექტში. ორი განსხვავებული ქვეყნის მოსწავლეებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ განსხვავებული ხედვები. ადამიანის უფლებათა პერსპექტივის გამოყენება და კრიტიკულ ანალიზში ჩართვა დაეხმარება მოსწავლეებს, უფრო მეტად ობიექტურები იყვნენ.

სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული რესურსები და გაიდლაინები

ეს არის ჰოლოკოსტზე და ადამიანის უფლებებზე შექმნილი უფასო რესურსების მოკლე სია:

- IHRA რეკომენდაციები ჰოლოკოსტის შესახებ სწავლა-სწავლებაზე <https://www.holocaustremembrance.com/resources/educational-materials/ihra-recommendations-teaching-and-learning-about-holocaust>
- ვად ვაშემის სასწავლო რესურსები <https://www.yadvashem.org/education/educational-materials.html>
- ამერიკის შეერთებული შტატების ჰოლოკოსტის მემორიალური მუზეუმი - ჰოლოკოსტის ენციკლოპედია <https://encyclopedia.ushmm.org/en>
- ევროკავშირის ადამიანის ძირითადი უფლებების სააგენტო – წარსულით მიღებული გაკვეთილები, სწავლება უკეთესი მომავლისთვის: სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/1218-Handbook-teachers-holocaust-education_EN.pdf
- ევროსაბჭო – გვაქვს უფლება, გვახსოვდეს. სახელმძღვანელო ბოშათა გენოციდის შესახებ ახალგაზრდების განათლებისთვის <https://www.coe.int/en/web/youth-roma/right-to-remember>
- ევროსაბჭო – კომპასი: ადამიანის უფლებების შესახებ განათლების სახელმძღვანელო ახალგაზრდებისთვის <https://www.coe.int/en/web/compass>
- OSCE-ODIHR – ანტისემიტობის შესახებ: მასწავლებლის დამხმარე წიგნი <https://www.osce.org/odihhr/441146>
- ისტორიის პირისპირ – ბიბლიოთეკის რესურსი <https://www.facinghistory.org/resource-library>
- iWitness – Teaching with Testimonies <https://iwitness.usc.edu/activities>
- წარსულის გამოძახილი და რეფლექსია <https://echoesandreflections.org>
- წარსულის გამოძახილი – ასწავლე და ისწავლე ჰოლოკოსტის შესახებ <https://www.eternamechoes.org/gb>

ბიბლიოგრაფია

Adorno, T. W. (2005 [1966]). Education after Auschwitz. In *Critical models: Interventions and catchwords* (pp. 191-204). New York: Columbia University Press.

Aalai, A. (2020). College student reactions to Holocaust education from the perspective of the theme of complicity and collaboration. *Journal of Transformative Education*, 18(3), 209-230. DOI: 10.1177/1541344620914863

Ambrosewicz-Jacobs, J. & Szuchta, R. (2014). The intricacies of education about the Holocaust in Poland. Ten years after the Jedwabne debate, what can Polish school students learn about the Holocaust in history classes? *Intercultural Education*, 25(4), 283-299. DOI: 10.1080/14675986.2014.926156

Barrett, M. (2020). The Council of Europe's Reference Framework of Competences for Democratic Culture: Policy context, content and impact. *London Review of Education*, 18(1), 1-17. <https://doi.org/10.18546/LRE.18.1.01>

Chrysochoou, X., & Barrett, M. (2017). Civic and political engagement in youth: Findings and prospects. *Zeitschrift fur Psychologie*, 225(4), 291-301. <https://doi.org/10.1027/2151-2604/a000315>

Cook, P. (2021). Culture before content: Generating empathy through testimony. In J. Lemberg & A. Pope IV (Eds.), *Becoming a Holocaust Educator: Purposeful Pedagogy through Inquiry* (pp. 41-49). New York: Teachers College Press; National Writing Project.

Cranton, P. (2002). Teaching for transformation. *New Directions for Adult and Continuing Education*, 2002(93), 63-71. DOI: 10.1002/ace.50

Hoggan, C. D. (2015). Transformative learning as a metatheory: Definition, criteria, and typology. *Adult Education Quarterly*, 66(1), 57-75.

Kent, R. (2016). Roman Kent's Speech at UNESCO's Holocaust Remembrance Day event on January 27, 2016, available at: <https://www.unesco.org/en/articles/holocaust-survivor-roman-kent-speaks-out-dangerous-power-words>

Knox, L. (2019). Scholars push back on Holocaust Museum's rejection of historical analogy. *The Chronicle of Higher Education*, 65(37), 1-4.

Lemberg, J. (2021). Professional development in Holocaust education: Using inquiry to approach difficult subjects. In J. Lemberg & A. Pope IV (Eds.), *Becoming a Holocaust Educator: Purposeful Pedagogy through Inquiry* (pp. 111-119). New York: Teachers College Press; National Writing Project.

Lemberg, J. & Pope IV, A. (2021). Introduction. In J. Lemberg & A. Pope IV (Eds.), *Becoming a Holocaust Educator: Purposeful Pedagogy through Inquiry* (pp. 1-20). New York: Teachers College Press; National Writing Project.

Lenz, C. (2016). Human rights education and history education. A congeniality of souls? In C. Lenz, S. Brattland & L. Kvande (Eds.), *Crossing borders: Combining human rights education and history education*. Berlin- Münster-Wien- Zürich- London: Lit Verlag.

Misco, T. (2009). Teaching the Holocaust through case study. *The Social Studies*, 100(1), 14-22. DOI: 10.3200/TSSS.100.1.14-22

Nestian-Sandu, O. & Lyamouri Bajja, N. (2018). T-kit 4 – Intercultural Learning. Council of Europe Publishing, Strasbourg. Accessed May 24, 2022: <https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/t-kit-4-intercultural-learning>

Polgar, M. (2018). Holocaust and human rights education: Good choices and sociological perspectives. Emerald Publishing Limited.

Rus, C. (2019). The Reference Framework of Competences for Democratic Culture. In G. Elia, S. Polenghi & V. Rossini (Eds.), *La scuola tra saperi e valori etico-sociali*. Pensa MultiMedia Editore.

Tibbitts, F. (2016). Combining history learning and human rights education in secondary school education. In M. Lücke, F. Tibbitts, E. Engel & L. Fenner (Eds.), *CHANGE: Handbook for history learning and human rights education* (pp. 91-113). Wochenschau Verlag. Kindle Edition.

Totten, S. & Feinberg, S. (2001). *Teaching and studying the Holocaust*. Boston: Allyn and Bacon.

van Driel, B. (2010). Some reflections on the connection between Holocaust education and intercultural education. *Intercultural Education*, 14(2), 125-137. DOI: 10.1080/14675980304572

Wegner G. (1998). What lessons are there from the Holocaust for my generation today? Perspectives on civic virtue from middle-school youth. *Journal of Curriculum and Supervision*, 13(2), 167-83.

Wiesel, E. (1993). Elie Wiesel's remarks at the dedication ceremonies for the United States Holocaust Memorial Museum. Accessed May 24, 2022: <https://www.ushmm.org/information/about-the-museum/mission-and-history/wiesel>

Zagray Waren, W. (2021). Teaching for humanity. In J. Lemberg & A. Pope IV (Eds.), *Becoming a Holocaust Educator: Purposeful Pedagogy through Inquiry* (pp. 102-110). New York: Teachers College Press; National Writing Project.

ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელსაც ეს სახელმძღვანელო გთავაზობთ, აერთიანებს ჰოლოკოსტის შესახებ განათლების, ადამიანის უფლებების განათლებისა და ინტერკულტურული განათლების მიდგომებს, იმისათვის, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს, ისწავლონ წარსულის შესახებ, გაიაზრონ, როგორ უკავშირდება წარსული აწმყოს და მიიღონ მონაწილეობა დემოკრატიული და ინტერკულტურული საზოგადოებების განვითარებაში, სადაც ყველა ინდივიდი შეძლებს იცხოვროს ღირსეულად.

როდესაც წარსულს ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან ვაკვირდებით, უკეთ შევძლებთ გავიგოთ, რამ გახადა შესაძლებელი, მომხდარიყო ისეთი მოვლენები, როგორც ჰოლოკოსტია, როგორ ფუნქციონირებდა პროპაგანდა და როგორ იქნა სრულად უგულებელყოფილი ებრაელი ხალხის - და სხვა ჯგუფებს მიკუთვნებული ხალხის - უფლებები. ამავე დროს, ჰოლოკოსტის პერსპექტივიდან ჩვენ შეგვიძლია გავიაზროთ, რომ დღეს აუცილებელია მოქმედება, თუ ირღვევა ან რისკის ქვეშ დგება ჩვენი საზოგადოებების ნებისმიერი ჯგუფის წარმომადგენლის უფლებები. ეს მიდგომა მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას და უნარს, შეაფასონ ევროპულ საზოგადოებებსა თუ ყველგან, მთელ მსოფლიოში გავრცელებული პოპულისტური მესიჯები. ასევე, ამაღლებს მათ ცნობიერებას სხვადასხვა ჯგუფის მიმართ უსამართლო დამოკიდებულებებისა და სათანადო ქმედებების საჭიროების შესახებ.



სახელმძღვანელოს შესახებ უკუკავშირის
გაზიარებისა თუ აქ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაზე
დაყრდნობით ორგანიზებული კონფერენცია-
სემინარების შესახებ დამატებითი ინფორმაციის
მიღების მიზნით, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ აქ:
onestian@tolinstitute.org

Funded by:



on the basis of a decision
of the Bundestag

With assistance from the Conference on Jewish Material Claims Against Germany,
sponsored by the German Federal Ministry of Finance
and the Foundation Remembrance, Responsibility and Future